www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 24 იანვარი, 2003 წელი. №22 (234)

ფასი 50 თეთრი

# ნინო ბურჯანაძის ვიზიტის საიდუმლო თემატიკა



რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის დასკვნითი დღე კონტრასტული გამოდგა. საქართველოს დელეგაცია ჯერ სახელმწიფო დუმის მემარჯვენე ძალებს შეხვდა, შემდეგ - რუს კომუნისტებს. ერთი შეხედვით, რუსეთის მემარჯვენეებთან ქართველ პოლიტიკოსებს სასაყვედურო არაფერი აქვთ. ამიტომ მათთან დისკუსია სიმწვავეს მოკლებული იყო. არც ზიუგანოვთან საუბარს დაუტოვებია მძიმე შთაბეჭდილება. ქართული დელეგაციის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ეს ის ზიუგანოვი აღარ არის. უკანასაკნელი დღის ასეთმა ნეიტრალურმა ფონმა საქართველოს დელეგაციას წინა დღეების მანძილზე მომხდარი მოვლენების გააზრების საშუალებაც მისცა. ჟურნალისტებთან ენამჭევრობის ხალისი კი არავის გამოუმჟღავნებია.

დასკვნითმა დღემ მოსკოვში ცხადი გახადა, რომ ორი ქვეყნის პარლამენტართა მიერ ოფიციალურად გახმოვანებული ინფორმაციების ფონზე, არსებობს ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის გასაიდუმლოებული თემატიკაც. ამის საუკეთესო დადასტურება იყო ირინა ხაკამადას კაბინეტიდან მოულოდნელად გამოსული ბურჯანაძე, რომელიც თბილისიდან მიღებულმა ზარმა აიძულა, ხაკამადასთან დიალოგი შეეწყვიტა და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ალექსანდრ ვოლოშინთან „გაქცეულიყო". სხვა სიტყვა ნამდვილად არ მოეძებნება იმ ტემპს, რითიც ქართული დელეგაციის სულ რამდენიმე წევრმა ხაკამადას სართული დატოვა. ჟურნალისტებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თბილისიდან ბურჯანაძემ რაღაც დირექტივა მიიღო. რუსი ჟურნალისტები ამბობდნენ, რომ მათ საკუთარი თვალით ნახეს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ისევ პარლამენტში დაბრუნებული

გაგრძელება A3 გვერდზე

## პუტინმა 24 საათში საქართველოსთვის გაზის მიწოდება ბრძანა

მაია ურუშაძე

გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა "გაზპრომს" **"საქართველოსთვის გაზის მიწოდების ერთ დღე-ღამეში აღდგენა"** უბრძანა. "რია ნოვოსტის" ცნობით, ეს მოთხოვნა პუტინმა "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარესთან ალექსეი მილერსა და "РАО ЕЭС РОССИИ"-ს ხელმძღვანელ ანატოლი ჩუბაისთან შეხვედრაზე წამოაყენა. მილერის ინფორმაციით, "გაზპრომი" ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გაზსადენი უმოკლეს დროში აღდგეს. **"მუშაობს ორი ბრიგადა – 71 კაცი და 27 ერთეული ტექნიკა,"** – აცნობა მან პუტინს. ჩუბაისმა კი თქვა, რომ ქართველმა კოლეგებმა "РАО ЕЭС РОССИИ"-ს 250 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის მიწოდების თხოვნით მიმართეს. როგორც ჩუბაისმა პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მან მიიღო განკარგულება **"სერიოზულად იმუშაოს საქართველოსთვის დენის მიწოდების საკითხზე."** პუტინის მითითების შემდეგ "გაზპრომის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ **"პრეზიდენტის განკარგულება შესრულდება და საქართველოს გაზის მიწოდება ერთ დღე-ღამეში აღუდგება."**

როგორც საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი კიზირია აცხადებს, **"გაზის მოწოდების აღდგენა მხოლოდ "გაზპრომზეა" დამოკიდებული, ვინაიდან დაზიანების აღდგენაზე მისი ბრიგადები მუშაობენ. სარემონტო სამუშაოები ისეთ სტადიაშია, რომ გაზის მოწოდება უკვე შესაძლებელია. აქამდე უნდა დასრულებულიყო 1200 მილიმეტრიანი მილსადენის შეკეთებაც. 700 მილიმეტრიან მილსადენზე კი, თავიდანვე ნაკლები სამუშაო იყო და, ამდენად, მისი აღდგენაც პარასკევს უნდა დაამთავრონ."**

## პოლიტიკა

### ქართული არმია ფაფების ასაკიდან გამოდის

ქართველი ჯარისკაცები აღარ ივლიან რუსული სამწყობრო ნაბიჯებით და მათ რაციონში აღარ იქნება რუსული ფაფები, რომელთა ზომაზე მეტად ხშირი მიღებისგან სამხედრო ნაწილებში რამდენჯერმე "ფაფის ამბოხსაც" ჰქონდა ადგილი.

A3

## უცხოეთი

### საერთაშორისო თანამეგობრობა ერაყში ომის წინააღმდეგ

გერმანიასა და საფრანგეთს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები, რუსეთი და ჩინეთი უერთდებიან და ვაშინგტონს მოუწოდებენ, ბაღდადზე სამხედრო იერიში არ მიიტანოს.

A4

## ეკონომიკა

### მთავრობა პარლამენტის შენიშვნებს არ ითვალისწინებს

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტებმა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენით განიხილეს. ბიუჯეტის პროექტის განხილვას ხელი იმან შეუშალა, რომ შესწორებული დოკუმენტი მთავრობამ პარლამენტში მხოლოდ წინა საღამოს წარადგინა.

A6

## სამართალი

### ამერიკის სპეცსამსახურები ტერორისტებს ჩვენებებს წამების საშუალებით სძალავენ

რამდენიმე დღის წინ ამერიკულმა გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილია ის მეთოდები, რომლებსაც ამერიკელები ტერორისტობაში ეჭვმიტანილ პირთა დაკითხვისას იყენებენ.

A7

## საზოგადოება

### მიეცით ადამიანებს სამსახური და ისინი გადასახადებს გადაიხდიან

გუშინ 190-ე სკოლაში შეკრებილი ლოტკინის დასახლების მცხოვრებლები, ენერგეტიკული პრობლემის მოგვარებას ცდილობდნენ...

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 13 | ღრუბლიანი |
| ბათუმი | 14 | ღრუბლიანი |
| სოხუმი | 12 | ღრუბლიანი |
| ფოთი | 14 | ნაწილობრივ ღრუბლიანი |
| თელავი | 9 | ნაწილობრივ ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 13 | ნაწილობრივ ღრუბლიანი |
| გორი | 7 | წვიმა |
| ახმეტა | 8 | ღრუბლიანი |
| ქიათურა | 8 | ღრუბლიანი |
| გაგრა | 12 | ღრუბლიანი |
| სამტრედია | 13 | ღრუბლიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3447 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5440 |
| რუბლი | 0.0688 |

## არმიტიჯის განცხადებები შეშფოთების საფუძველს იძლევა

შოთა უტიაშვილი

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის რიჩარდ არმიტიჯის მიერ რადიოსადგურ "ეხო მოსკვისათვის" მიცემული ინტერვიუ საქართველოსათვის ნამვდილი "ცივი შხაპი" გამოდგა. ამერიკელი დიპლომატის მიერ გამოთქმული მოსაზრებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საქართველოს ადგილი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში და აშშ-რუსეთის ურთიერთობებში იცვლება – და არა ჩვენს სასარგებლოდ.

კითხვაზე, როგორი იქნება აშშ-ს რეაქცია რუსეთის მიერ პანკისის ხეობაზე პრევენტიული დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, არმიტიჯმა უპასუხა, რომ ამერიკისათვის, ქვეყნისათვის, რომელიც პრევენტიულ დარტყმის გამოყენებას თავადაც ლეგიტიმურ საშუალებად მიიჩნევს, ამ შემთხვევაში ძნელი იქნება რუსეთის გაკრიტიკება. მაგრამ, აშშ-ს იმედი აქვს, რომ რუსეთი გაითვალისწინებს საქართველოსთან მრავალსაუკუნოვან მეზობლობას და ამ საკითხში ფრთხილად მოიქცევა. ამის შესახებ იუწყება სააგენტო "ინტერფაქსი".

რადიომსმენელის კითხვაზე, რას ფიქრობს შეერთებული შტატები საქართველოსა და ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნის მისწრაფებაზე, გახდეს ნატო-ს წევრი, არმიტიჯმა განაცხადა, რომ ამჟამად ალიანსის გაფართოების შესაძლებლობა არ არსებობს. თუ ეს მაინც მოხდება, მხოლოდ შორეულ მომავალში.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მაჩვენე შენი სპეც-ტრანსფერი და გეტყვი, ვინ ხარ შენ

*საბიუჯეტო ვაჭრობა დასასრულს უახლოვდება. მაჟორიტარებთან დახურულ კარს მიღმა გამართულმა თათბირებმა შედეგი უკვე გამოიღო - რეგიონებისთვის განკუთვნილი ტრანსფერების, განსაკუთრებით კი "სპეც-ტრანსფერების" მოცულობა პირველ ვარიანტთან შედარებით საკმაოდ გაზრდილი გახლავთ.*

თამარ ხორბალაძე
მაია ურუშაძე

***"ეს არის ფასი, რომელიც ხელისუფლებამ ბიუჯეტის დამტკიცებისთვის გაიღო..."*** *- ამბობს დამარცხებული ოპოზიცია.*

"სპეც-ტრანსფერი", მარტივად, იმ თანხას ჰქვია, რომელსაც ბიუჯეტი რეგიონებს "სპეციალური ღონისძიებების", ანუ მკვეთრ ჩარჩოებში მოუქცეველი ხარჯების დასაფინანსებლად ურიცხავს.

დღევანდელ ბიუჯეტში ამ მიზნებისთვის გათვალისწინებული თანხა არ აღემატება გასული წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლებს, თუმცა, აშკარაა - მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფერი თითქმის ყველა რაიონს აქვს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტსა და დღევანდელ ვარიანტში სერიოზული ცვლილება ძირითადად იმ რაიონებს შეეხო, რომელთა მაჟორიტარიც სახელისუფლებო ძალებთან არის დაახლოებული, ან პირველი კენჭისყრის შემდეგ "კარგად ვაჭრობა" შეძლო.

რა დაუჯდა ხელისუფლებას ბიუჯეტის დასამტკიცებლად საჭირო

გაგრძელება A3 გვერდზე

## უშბამ წრიაპი დაგვიწუნა

B5



ტრავმირებული მერაბ ხაბაზი.

## აფხაზეთი - საქართველოს შემადგენლობაში, არძინბა - ჰააგაში

სოფო ბუკია

*"ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ" აფხაზეთის დასაბრუნებელი გეგმა-პროექტი შეადგინა, რომლის გარშემოც ქართული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანებას აპირებს. დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, არძინბა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს. "ქრისტიან-კონსერვატორებს" კონსულტაციები უკვე ჰქონდათ "გაერთიანებულ დემოკრატებთან". უახლოეს დღეებში შეხვედრები იგეგმება სხვა პოლიტიკურ ძალებთანაც.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ვისწავლოთ ცხოვრება შევარდნაძის გარეშე"

მაია მოსიაშვილი

*"თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ "ქართველობა" არ გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, "ნაციონალისტის" სამარცხვინო სახელი ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღებაო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან, აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და "შავრაზმელ ნაციონალისტთა" ამომგდებიო!" - ეს სიტყვები არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის და ზუსტად ასი წლის წინ დაიბეჭდა ქართულ პრესაში. ერთი საუკუნის შემდეგ "ნაციონალისტობა" კვლავ "შავრაზმელობის" ტოლფასია, თუმცა, სხვა მიზეზების გამო.*

საპარლამენტო არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები საქართველოში არსებული ოპოზიციური ძალების გაერთიანების იდეით გამოდიან და რეგიონებში გასვლას იწყებენ. გორის შემდეგ სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების სტუმრობის პატივი რუსთაველებსაც ხვდათ წილად, მიზეზი ადგილობრივი ორგანიზაციის დაფუძნება იყო, რომელიც აქამდე საარჩევნო ბლოკის ფორმით არსებობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# "ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებები"

## აფხაზეთის კონფლიქტის კონტექსტში

*ნათქვამია, თუ ეშმაკმა წიხლის კვრა მოინდომა, თავის ჩლიქს სულ არ გამოაჩენს და კაცის ფეხით დაგწიხლავს. ჰოდა, რუსეთის ხელისუფლებაც ჩრდილში დგას და თავის ანტიქართულ პოლიტიკას აფხაზების ხელით (ანუ ფეხით) ახორციელებს. მათზე ზრუნვის დეკლარირებით აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და ადლერს შორის, რიგდება რუსული პასპორტები, განზრახულია არაღიარებული რესპუბლიკის აღჭურვა კომუნიკაციების საშუალებებით... ვიდრე ეშმაკი აქტიურობს, თვითგადარჩენის ინსტიქტდაქვეითებული საქართველოს ხელისუფლება ღობე-ყორეს ედება. თუ აქამდე ის რიხით საუბრობდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე, ახლა უკვე ამ კონფლიქტის დაკონსერვება ქცეულა მის სანატრელ ოცნებად. შექმნილ ვითარებაში ოფიციალური თბილისის უძლურება არანაკლებ საშიშია, ვიდრე რუსეთის ძალმომრეობა.*

გიორგი ასანიშვილი

ასეთი უძლურების კიდევ ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე დროებითი საპარლამენტო კომისიისა (თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია) და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივით გუშინ ჩატარებული შეკრება. ეს თავყრილობა, რომელზეც "ქალთა სამშვიდობო საბჭოს" მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინეს, ძალიან ჰგავდა მოვალეობის მოხდის მიზნით, ზემოდან მოსული დირექტივის საფუძველზე გამართულ ღონისძიებას - დაწერილი მოხსენებები, მეტად ზოგადი ფრაზები და შეფასებები, თითქმის არც ერთი სიტყვა რუსულ პასპორტებზე და სარკინიგზო მიმოსვლაზე...

უხერხემლო, თითქმის არაფრისმთქმელი და კომიკურიც კი არის საპარლამენტო მოსმენის შემდეგ მიღებული თითქმის ყველა რეკომენდაცია.

**"ეთხოვოს შესაბამის უწყებებს, რომ შეიქმნას მონაცემთა ბაზა აქტიურ ლიდერ ქალებზე** (?!), **რომელთაც აქვთ სურვილი და გამოცდილება, მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში,"** - ნათქვამია ნომერ პირველ რჩევაში ისე, რომ არ კონკრეტდება, ვინ არიან ეს "შესაბამისი უწყებები".

გუშინ ჩატარებული ღონისძიების მონაწილეებმა განსაკუთრებით "დატვირთეს" სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, თანაც - ფრიად უცნაური დავალებებით. მან უნდა იზრუნოს, რომ **"შეხვედრებზე უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ხედვა, იმსჯელონ ქალთა პრობლემებზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს (?) და შემდეგ, როგორიცაა ქალთა და გოგონათა უსაფრთხოება, ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება ყოველდღიურ ცხოვრებაში (?), მათი დაცვის მექანიზმების შემუშავება".**

სახელმწიფო მინისტრი, იმედია, რეკომენდაციების ტექსტის გაუმართაობას ყურადღებას არ მიაქცევს (თუმცა, ბატონ ავთანდილს ნამდვილად გაუჭირდება იმაში გარკვევა, რას ითხოვენ მისგან) და იუმორით მიიღებს რჩევას. თანაც, შეახსენებს მათ, რომ რამდენადაც ჯანდაცვის მინისტრი უკვე აღარ არის, **"ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება"** (მით უმეტეს, "ყოველდღიურ ცხოვრებაში") მის ფუნქციებში არ შედის.

ამასთან, ავთანდილ ჯორბენაძეს ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს "საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრებზე მიღებული ორმხრივი შეთანხმებების შესრულების მონიტორინგი", ხოლო განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს - "საკოორდინაციო საბჭოს პირველივე შეხვედრაზე უზრუნველყოს ამ რეკომენდაციების განხილვა".

ამაში გასაკვირი შეიძლება არაფერი ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება - საკოორდინაციო საბჭოს სხდომა უკვე დიდი ხანია, არ ჩატარებულა და არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ იგი ახლო მომავალში გაიმართება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეკომენდაციები მკვდრადშობილია; მათ, ფაქტობრივად, არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ.

ერთადერთი, ვისაც მათი გამოიყენება შეიძლება რამეში დასჭირდეს, ელენე თევდორაძეა. იგი ამ დღეებში სტრასბურგში მიემგზავრება და აპირებს, ეს დოკუმენტი ევროსაბჭოში წაიღოს იმის დასადასტურებლად, თუ როგორ დღენიადაგ ფიქრობენ საქართველოში აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე.

# აფხაზეთი - საქართველოს შემადგენლობაში, არძინბა - ჰააგაში

პირველი გვერდიდან

სოხუმი-სოჭის მატარებელმა ისე ხმაურით ჩაიგრიალა, რომ ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის იმედად დარჩენილი აფხაზეთი ისევ ნომერ პირველ პრობლემად აქცია.

პოლიტიკურმა პარტიებმა ახალი მოდა დაამკვიდრეს: ოდნავ მაინც თავმომწონე პარტია საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, აფხაზეთის დასაბრუნებელი გეგმა შეიმუშაოს. გეგმების ავტორები საკუთარი დოკუმენტის გარშემო გაერთიანებისთვის ეპატიჟებიან ყველა პოლიტიკურ, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ძალას.

ამაში ცუდი არაფერია, პირიქით. ოღონდ გეგმა-პროექტები და გადამწყვეტი დოკუმენტები ბევრი გვახსოვს, მათ გარშემო პოლიტიკური ძალების გაერთიანებას კი, რატომღაც, ვერ ვიხსენებთ.

ერთი ამგვარი დოკუმენტის პრეზენტაცია გუშინაც შედგა. "ქრისტიან – კონსერვატიულმა პარტიამ" აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებელი საკუთარი გეგმა ჟურნალისტებს გააცნო. გეგმა რვა პუნქტისაგან შედგება, **"აფხაზების ინტერესებსაც ანგარიშს უწევს"**, არც რუსოფილურია და, რაც მთავარია, **"რეალურად შესრულებადია"**. დოკუმენტის ავტორებს ველოსიპედის გამოგონების პრეტენზია არა აქვთ, უბრალოდ - **"რეალობა გაითვალისწინეს"**.


შოთა მალაშხია.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით: ქართულმა მხარემ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს შემადგენლობაში უნდა მიანიჭოს მაქსიმალურად ფართო უფლებები; საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას დაშვებული იურიდიული და სამხედრო ხასიათის შეცდომები; არძინბას ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული – ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნოწმენდა - საერთაშორისო სამართლის მიერ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რისთვისაც არძინბა, იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის მსგავსად, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს უნდა გადაეცეს; არძინბას ჯგუფის ხელისუფლებაში მოყვანისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს რუსეთს, რომლისგანაც შესაძლებელია, რომ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება მოვითხოვოთ.

დოკუმენტში გაეროს ფუნქციაცაა განსაზღვრული: **"ეთხოვოს გაეროსა და ევროკავშირს, რომ 2003 წლიდან სამშვიდობო მისია აფხაზეთში განახორციელონ ისეთივე ფორმით, როგორც ეს ხდება ბოსნია-ჰერცოგოვინაში. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე კონსტიტუციით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებამდე შემოღებულ იქნას გაეროს მმართველობა."**

რაც შეეხება აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ამ დოკუმენტის თანახმად, მას აფხაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტატუსი უნდა მიენიჭოს. ამ შემთხვევაში ლეგიტიმურ ხელისუფლებას საშუალება მიეცემა ღიად დაეხმაროს პარტიზანებს და ოფიციალური ბიუჯეტიდან დააფინანსოს ისინი. პარტიზანთა მოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ველარ ჩაითვლება საერთაშორისო ნორმების დარღვევად.

მალაშხიას თქმით, ამ დოკუმენტიდან მხოლოდ **"არძინბას ჰააგამდე მიყვანის პუნქტი"** თუ შესრულდა, **"უკვე საქართველოს დიდი გამარჯვებაა"**.

# მაჩვენე შენი სპეც-ტრანსფერი და გეტყვი, ვინ ხარ შენ

პირველი გვერდიდან

ხმების მოპოვება? რითი მოულბო გული მაჟორიტარებს, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, "სპეც-ტრანსფერების" მთავარი განმკარგველები არიან და რომელთა ხმაც, "მრეწველების" ხმებთან ერთად, გაუფორმებელი უმრავლესობის მთავარი მონაპოვარია?

პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობენ ის რეგიონები, რომელთა მაჟორიტარებმაც პირველი კენჭისყრისას ბიუჯეტს ხმა არ მისცეს, მეორედ კი ხელისუფლება დააფასეს:

მაგალითად, რევაზ არველაძე ახმეტის რეგიონის მაჟორიტარია. იგი პირველ კენჭისყრას არ ესწრებოდა, მეორეში კი ბიუჯეტს მხარი დაუჭირა. რა თქმა უნდა, ეს აქ არაფერი მოსატანია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ ახმეტის რაიონისთვის 2003 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტში 50 000 ლარის სპეცტრანსფერი იყო გათვალისწინებული, ამდენივე მიიღო ახმეტამ გასულ წელს, ახალ, ანუ "შეთანხმებულ" პროექტში კი ახმეტისთვის უკვე 150 000 ლარია გათვალისწინებული.

პირველ კენჭისყრას ასევე არ დასწრებია, მეორეზე კი ხელისუფლებას შეაწია ხმა დავით ბეჟუაშვილმა, რომელიც თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატია. თეთრიწყაროს რაიონისთვის ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში სპეც-ტრანსფერი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, გასულ წელს ეს თანხა 25 000 ლარს შეადგენდა, ახლა კი იგი 70 000 ლარამდე გაიზარდა.

ნიკო ლეკიშვილი, მოგეხსენებათ, ამბროლაურის მაჟორიტარი გახლავთ. მანაც ასევე შეიცვალა პოზიცია და თუმცა საეჭვოა, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ტრანსფერებში იყოს, მაინც საინტერესოა, რომ ამბროლაურს ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში სპეც-ტრანსფერი საერთოდ არ ეძლეოდა, ახლა კი ეს მუხლი 60 000 ლარით, ანუ შარშანდელი მოცულობით განისაზღვრა.

ვალერი გელაშვილმაც, რომელიც პირველ კენჭისყრას არ დასწრებია, შეძლო ბიუჯეტში თავდაპირველად გაუთვალისწინებელი 150 000-ლარიანი ტრანსფერის მოპოვება.

არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს საკუთარი რაიონების ლობირების დროს იმათ, ვინც იმთავითვე ბიუჯეტის გამტანთა პოზიციაზე იდგა.

განსაკუთრებით იყოჩაღა ამ მხრივ ნიკა კვეზერელმა, რომელმაც ბიუჯეტის ავტორებს გურჯაანის რაიონისთვის გათვალისწინებული თანხა ნულიდან 380 000-მდე ააყვანინა.

ჩანს, განსაკუთრებული დამსახურებები აქვს ხელისუფლების წინაშე ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს პეტრე ბერაიასაც, რომელმაც ფოთისთვის 250 000-ლარიანი ტრანსფერი მოიპოვა იმ ფონზე, როცა თავდაპირველ ვარიანტში ასეთი ხარჯი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

მელორ ტყეშელაშვილმა ვანის რაიონს, თავდაპირველი 60 000-ლარიანი ტრანსფერის ნაცვლად, 260 000 ლარი "გაუხერხა".

როზა ლორთქიფანიძემ წყალტუბოსთვის თავდაპირველი 70 000-ის ნაცვლად 210 000 მოიპოვა.

საჩხერის მაჟორიტარმა თეიმურაზ ხურციძემაც შეძლო სპეცტრანსფერის სახით 260 000 ლარის მოპოვება მაშინ, როცა თავდაპირველად ამ მიზნისთის სულ 10 000 ლარი იყო ბიუჯეტში გათვალისწინებული.

არც ჯგუშიას დაუკარგავს ვაჭრობის ნიჭი - მან ზუგდიდის სპეცტრანსფერის 40 000-დან 222 000 ლარამდე გაზრდა შეძლო.

ლევან პირველსაც დაუფასდა პარლამენტის სხდომაზე ოპოზიციის წინააღმდეგ განსაკუთებული აქტიურობა - მან მესტიისთვის სპეცტრანსფერად 100 000-ის ნაცვლად 220 000 ლარი მოიპოვა.

დემურ გადელიამ 45 000-ლარიდან სპეც-ტრანსფერი ხელისუფლებას 435 000 ლარამდე გააზრდევინა სენაკისთვის, რაც, ქუთაისსა და თბილისს თუ არ ჩავთვლით, თითქმის რეკორდული მაჩვენებელი გახლავთ.

წალენჯიხის მაჟორიტარმაც ბოლომდე არ დააჩაგვრინა თავი და სპეც-ტრანსფერტის სახით 165 000 ლარის მოპოვება შეძლო.

გორის მაჟორიტარმა ვახტანგ ყანჩელმა კი გორს ნულის მაგივრად 170 000 ლარი გაუხერხა და ა.შ. და ა.შ.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის ავტორებმა ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებებთან ერთად, ბიუჯეტის მოწინააღმდეგეების რაიონების სპეცტრანსფერებისთვისაც გაიმეტეს გარკვეული თანხა.

მაგალითად, კოტე კემულარიას ხობის სპეც-ტრანსფერებში 5000 ლარი წაუმატეს და ამ თანხის საერთო მოცულობამ 70 000 ლარი შეადგინა, კაკო ბობოხიძეს ხონისთვის - 20 000 ლარი უფეშქაშეს და მთლიანი სპეცტრანსფერი 50 000 ლარამდე გაუზარდეს, ფრიდონ ინჯიამ ესეც ვერ მოახერხა და მარტვილის რაიონისთვის გამოყოფილი 25 000 ლარი 25 000 ლარად დარჩა. ბოლნისის რაიონის სპეცტრანსფერის თანხა კი თავდაპირველი ოდენობით, ანუ ისევ ნულით განისაზღვრა. ერთადერთი, ვინც ოპოზიციონერ მაჟორიტართაგან ყველაზე მეტად იმარჯვა, ნოდარ გრიგალაშვილი გახლდათ - მან ბორჯომის რაიონს 120 000 ლარი "მოუტანა".

ცალკე თემაა აჭარა, აფხაზეთი და თბილისი.

აფხაზეთის დეპუტაციამ თავდაპირველ ბიუჯეტში გაწერილი თანხა, არც მეტი, არც ნაკლები - გაასამმაგა. სპეც-ტრანსფერი აფხაზეთისთვის, ახალი პროექტის მიხედვით, 1 მილიონ 260 000 ლარს შეადგენს.

თბილისისთვის სპეც-ტრანსფერი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. დღეს კი მან 4 მილიონ ლარს მიაღწია. ამის გამხერხებლის ვინაობის განსაზღვრა თქვენთვის მოგვინდია.

და აჭარაც - აჭარას ახალ ბიუჯეტშიც დაუკანონეს, რომ ადგილზე დასახარჯი თანხები ცენტრში საერთოდ აღარ უნდა გადმოირიცხოს, ახლა კი სპეც-ტრანსფერის სახით 200 000 ლარიც წაუმატეს.

რა თქმა უნდა, არავინ ამტკიცებს, რომ ეს თანხები გადამწყვეტი აღმოჩნდა ბიუჯეტის დამტკიცებისთვის. უბრალოდ, ეს იმ აისბერგის ხილული ნაწილი გახლავთ, რომელმაც ხელისუფლებას მხარდამჭერები გაამრავლებინა. მაგალითად, ისიც საინტერესოა, რომ საინვესტიციო სააგენტოს, რომელიც "მრეწველების" სახელს უკავშირდება, ხელისუფლებამ ახალ ვარიანტში გასულთან შედარებით 6 მილიონით მეტი, ანუ სულ 9 მილიონი ლარი გამოუყო.

და ბოლოს - ყველას, ვინც ხელისუფლებასთან საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებულ გარიგებაზე წავიდა, ავიწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის პროექტში ჩაწერილი ციფრი ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალურად გასაწევ ხარჯებს. ამის მაგალითი თუნდაც 2002 წლის ბიუჯეტია, რომელიც ყველაზე ოპტიმისტური ვარიანტით 100-მდე მილიონი ლარით გაირღვა.

# რუსეთი საკუთარი საელჩოს წინ მიმდინარე აქციას გამოეხმაურა

თამარ ხორბალაძე

საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოთხშაბათს საღამოს, აქციის დასრულების შემდეგ გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია: **"უკვე რამდენიმე დღეა, თბილისში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის წინ მიმდინარეობს საპროტესტო აქცია ანტირუსული განწყობილებით. გამოფენილია მტრული შინაარსის ლოზუნგები.**

**დემონსტრანტები, სარგებლობენ რა ხელისუფლების მიშვებულობით, აფერხებენ საელჩოს შენობაში შესვლას და გამოსვლას, ხელს უშლიან საელჩოს ნორმალურ საქმიანობას.**

**დროდადრო მომიტინგეთა ქმედებები იძენენ აშკარად აგრესიულ ხასიათს: გაისმის არა მხოლოდ ანტირუსული მოწოდებები, არამედ მუქარა რუსეთის ფედერაციის და თბილისში რუსეთის წარმომადგენლობის მისამართით.**

**რუსეთის საელჩოს მიერ არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ადგილობრივი სამართალდამცველები არავითარ ზომას არ მიმართავენ მათი ქმედებების აღსაკვეთად.**

**შედეგად, რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას და მის თანამშრომლებს საფრთხე ექმნებათ.**

**საელჩოს წინ მიმდინარე აქცია აშკარად შეკვეთილ ხასიათს ატარებს და მიმართულია ქართულ-რუსული ურთიერთობების წინააღმდეგ. ამიტომ შედეგებზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დაეკისრება".**

შეგახსენებთ, რომ "მეომართა და ვეტერანთა კავშირის" ინიციატივით საპროტესტო აქცია რუსეთის საელჩოს წინ გასულ ხუთშაბათს დაიწყო და 22 იანვარს შუადღით დასრულდა. აქციის მონაწილენი რუსეთის სამშვიდობო ძალების და ბაზების გაყვანას მოითხოვდნენ, ამასთან, აყენებდნენ რკინიგზაზე მოძრაობისა და აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგების პროცესის შეწყვეტის საკითხს.

## მოკლედ

**მოსკოვი.** პანკისის ხეობაში არსებულ სიტუაციას პრაქტიკულად მთლიანად საქართველო აკონტროლებს, - განაცხადა მოსკოვში საქართველოს საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიიდან სარწმუნო წყაროს ცნობით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო არ ურჩევს პრეზიდენტს რუსეთის სამხედრო ბაზების სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ბლოკადას, რადგანაც ამას შეიძლება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსას ნავთობსადენების პროექტთა რეალიზაციაში სერიოზული პრობლემები მოჰყვეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის ინფორმაციით, განცხადებები კოდორის ხეობაში ჩეჩენი "ბოევიკების" არსებობის შესახებ, "სრული დეზინფორმაციაა". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26-27 იანვარს საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მონაწილეობას მიიღებს ნეაპოლში გამართულ ნატო-ს სამხრეთის მიმართულების კონფერენციაში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციების ინიციატივით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტს შესაძლოა, სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის უფლება ჩამოართვას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** თუ ცხინვალის რეგიონში შექმნილ ქართველ და ოს სამართალდამცველთა ერთობლივ ჯგუფს უფლებები არ შეეზღუდება და დაკისრებული მოვალეობების შესრულების საშუალება მიეცემა, სულ მალე კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის საჭიროება მოიხსნება, - განაცხადა კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების ქართული დანაყოფის მეთაურმა მიხეილ ქებაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აფხაზეთის დევნილთა და მეომართა კავშირებმა გუშინ ქუთაისში ფართომასშტაბიანი აქცია გამართეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.**"მეომართა კავშირის" წევრებმა რუსეთის საელჩოს შენობის წინ 16 იანვრიდან მიმდინარე შიმშილობის აქცია შეწყვიტეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე მზად არის მხარი დაუჭიროს აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის განახლებას, მაგრამ მხოლოდ დევნილების დაბრუნების პარალელურად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა მოქმედებათა გეგმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში. **პრაიმ-ნიუსი**

# თვითმმართველობის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია საკანონმდებლო ბაზა

ბელა მახარაძე

შერატონ-მეტეხი პალასში "თვითმმართველობის დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციამ", "ურბანული ინსტიტუტისა" და აშშ-ს "საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" მხარდაჭერით გამართა შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს ორი კანონპროექტი, რომელთა ამოქმედებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების გაზრდას, ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას და იმ ქონებით უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია კანონით მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად. ეს კანონპროექტები შედეგია "დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციის" მიერ ბოლო ექვსი თვის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ოცზე მეტი დიალოგისა.

დისკუსიას უძღვებოდა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ტუღუში. შეხვედრაზე ინიციატივის მხარდასაჭერად იმყოფებოდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, ფინანსთა და ქონების მართვის სამინისტროების წარმომადგენლები.


გიგი წერეთელი კანონპროექტის პარლამენტში განხილვის იმედს იძლევა.

ბატონმა გიგი წერეთელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ **"დღევანდელი დღე არის ძალზე მნიშვნელოვანი, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მთლიანად ხელისუფლებისთვის, რადგან მოქნილ და რეალურად მოქმედ კანონმდებლობაზეა დამყარებული ხელისუფლებისადმი ნდობა, მოსახლეობისთვის ელემენტარული პრობლემების სწაფად და ეფექტურად გადაჭრა. საკითხები, რომლებიც დღეს წარმოადგინა "თვითმმართველობის დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციამ", დიდი ხანია დგას პარლამენტის წინაშეც, მაგრამ მათი განხილვა ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა."** გიგი წერეთელმა იმედი გამოთქვა, რომ საგაზაფხულო სესიაზე ეს კანონპროექტები დამტკიცდება.

დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ტუღუშმა საუბრისას გამოთქვა იმედი, რომ **"პარლამენტში, ამ კანონპროექტების განხილვისას, არ იქნება დარღვეული ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება ბიუჯეტის დამოუკიდებლობას, ქონების უსასყიდლოდ გადაცემას, შემოსავლების ზრდას."**

ბატონმა ტუღუშმა აღნიშნა ისიც, რომ მათი ორგანიზაცია ყოველთვის მხარში ამოუდგება თვითმმართველობის ყველა ინიციატივას. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მეტად გიორგი ტუღუშს პარლამენტის მხრდაჭერის იმედი აქვს, რადგან ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და დეპუტატები, განსაკუთრებით კი მაჟორიტარები, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ იმ პრობლემებით, რომელიც აწუხებს თვითმმართველობის ორგანოებს.

ახალი კანონების მიღებამდე კი თვითმმართველობა კვლავ აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის გარეშე რჩება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "ვისწავლოთ ცხოვრება შევარდნაძის გარეშე"

პირველი გვერდიდან

"ჩვენი დევიზია, საქართველო შევარდნაძის გარეშე!" - საკუთარი ხმის აუდიო ჩანაწერი სააკაშვილმა დარბაზთან ერთად მოისმინა და სხდომაც დაიწყო. რუსთავის დრამატული თეატრის დარბაზში შეკრებილთ პირველად კობა დავითაშვილმა აუწყა, რომ მათი პარტიის ამჟამინდელი პრიორიტეტი პენსიონერებზე ზრუნვაა. **"ჩვენ ვაპირებთ სასამართლო პროცესების დაწყებას და სასამართლოს ძალით გასული წლების განმავლობაში "გაყინული" პენსიების ამოღებას, რადგან ხელისუფლება საკუთარი ნებით ამას არ გააკეთებს,"** - განაცხადა დავითაშვილმა.

**"2003 წელი ჩვენი გამარჯვების წელი გახდება. საქართველოს ხელისუფლება შეიცვლება მშვიდობიანი გზით და ეს წელი შევარდნაძის რეჟიმის დემონტაჟის დასაწყისის დასასრული იქნება,"** - ასე დაასრულა კოტე კემულარიამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკა.

**"ხელისუფლებამ აღიარა საკუთარი მარცხი. გახსოვთ, რა ხდებოდა აქ არჩევნების წინ, დღეს იგივეს გამეორება აღარ უცდიათ, ესე იგი ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ რუსთავიდან ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ხელისუფლებას ქვემო ქართლი ერთ დიდ საარჩევნო უბნად აღარ დავუტოვოთ; რომ აჭარა აღარ დავუტოვოთ აბაშიძეს. მოვუწოდებთ ყველა ოპოზიციურად განწყობილ ძალას გაერთიანებისაკენ - ვინც ჩვენთან არ იქნება, ის იქნება შევარდნაძესთან, ან საერთოდ აღარ იქნება ქართულ პოლიტიკაში. დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა ქართველების ერთიანობაა. ვისწავლოთ ცხოვრება შევარდნაძის გარეშე, დროა პატიოსანი და წესიერი ხალხი მოვიდეს ხელისუფლებაში,"** - დავით ბერძენიშვილის ემოციური გამოსვლა დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

**"ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლების ალტერნატივაა. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა შეძლონ ხალხთან დგომა და მათი წინამძღოლობა. ერთადერთი ძალა, რომლისაც ხელისუფლებას ეშინია, ეს ხალხია, წარმოიდგინეთ რა მოხდება, 3 მილიონი კაცი, თუნდაც ნახევარი საათით, ერთ პოზიციაზე რომ დადგეს,"** - 90-იანი წლების დასაწყისის განწყობა გადმოღვარა დარბაზში ზვიად ძიძიგურმა.

"ნაციონალური მოძრაობის" რუსთავის ორგანიზაციის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ მომავალ არჩევნებში გამარჯვება იწინასწარმეტყველა და ყველა "ჯვართმოძულის" ჯინაზე მიხეილ სააკაშვილს ჯვარი უსახსოვრა.

**"რუსთავი არის ქალაქი, რომელიც გაანადგურეს, რომელსაც ვერ გაუყვანეს ათწლეულების მანძილზე დაპირებული წყალი, რომელსაც წაართვეს დენი, წაართვეს გაზი,"** - რუსთავის ცხოვრების ასეთი რეალისტური სურათის დახატვის შემდეგ სააკაშვილმა რუსთავში და ქვემო ქართლში არსებული სიტუაცია მიმოიხილა და, რა თქმა უნდა, კბილგაუკრავად არც გუბერნატორი მამალაძე დატოვა, "თეთრი მელას" იატაკქვეშა ტერმინის ლეგალიზებაზეც იზრუნა და რუსთაველებთან შეხვედრა ასე დაასრულა:

**"ჩვენ მივუახლოვდით გადამწყვეტ რუბიკონს. ჩვენ ერთ დიდ ოპოზიციურ ალიანსში გავაერთიანებთ ყველას, ვისაც მომავლის იმედი აქვს. მთელი სისტემა თავიდან ბოლომდე კორუმპირებულია და ამ სიტუაციის შესაცვლელად ქუდზე კაცია გამოსაყვანი. მჯერა, რომ არა მარტო ახალგაზრდები, ჩვენი ბაბუა-ბებიებიც შეძლებენ ნახონ, რა არის უკეთესი ცხოვრება."**



გოგიტა ბახაძის ფოტო

*„მჯერა, ჩვენი ბაბუა-ბებიებიც შეძლებენ ნახონ, რა არის უკეთესი ცხოვრება".*

# გორის გამგებელი ბრალდების საპასუხოდ საგანგებო პრესკონფერენციას მართავს

ვასილ გულეური

21 იანვარს საღამოს, რაც გორში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდა, რეგიონული ტელეკომპანია "თრიალეთის" პირდაპირ ეთერში, გადაცემაში "რეგიონის სტუმარი", მიწვეული იყო ახლადდაფუძნებული ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი. საუბარში მან ახსენა, რომ გორის გამგებელს პაატა ჩხეიძეს, რომელიც "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელია, 70 ათას დოლარად ღირებული უცხოური მარკის ავტომანქანა აქვს. პაატა ჩხეიძემ მეორე დღეს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და როგორც თავიდანვე აღნიშნა, ამის მიზეზი წინა დღეს ტელევიზიით გაჟღერებული რამდენიმე ფრაზა გახდა.

**"ჩემი მიმართვის ობიექტი ამ შემთხვევაში არ არის მიხეილ სააკაშვილი. იგი ცნობილი პოლიტიკოსია და საქართველოს სასიკეთო საქმეში წარმატებებს ვუსურვებ. ჩემი მიმართვის ობიექტი არც ირაკლი ოქრუაშვილია, რომელიც გორში მაჟორიტარ დეპუტატად არჩევას აპირებს. იგი გორელი არ არის, არ მიცნობს და ახმოვანებს იმ ინფორმაციას, რაც მიაწოდეს,** - განაცხადა გორის გამგებელმა, – **მე მივმართავ ბატონ ზვიად ძიძიგურს და ბატონ დავით ბერძენიშვილს. ერთი ჩემთან ერთად იყო უზენაესი საბჭოს წევრი, დავით ბერძენიშვილთან ერთად ვიყავი პარლამენტის წევრი. თვითონ მათ განაცხადონ, რამდენად ძვირადღირებული მანქანა მყავს."**

პაატა ჩხეიძემ მათ საქციელს "მელაკუდური" უწოდა და აღნიშნა, რომ ეს არის მათგან მოყენებული შეურაცხყოფა და არა იმათგან, ვინც მას არ იცნობს. **"მე ვურჩევ, რომ თბილისს მიხედონ, სანამ სხვას დაარიგებდნენ ჭკუას. გაიხსენონ, რომ მე მათთან ერთად ვმუშაობდი და მათზე ნაკლები საქმე არ გამიკეთებია...**

**როცა სახის დანახვა უნდა, ადამიანი სარკეში იყურება. ჩემი სახე არის განვლილი ცხოვრება და მოღვაწეობა, მამაჩემის ცხოვრება, პაპაჩემის ცხოვრება... გორის სახე არის ელიზბარ ერისთავი, რომლის ძეგლიც ახლახან გაიხსნა. თუ მათ უნდათ, გორის სახე კამო იყოს, მე ვერ დავეხმარები."**

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობასთან "ახალი მემარჯვენეების" გაერთიანებას, პაატა ჩხეიძემ განაცხადა, რომ იგი გამოდის როგორც ქალაქის გამგებელი, როგორც მოქალაქე და როგორც პოლიტიკოსი, ხოლო რა ქმედება მოჰყვება პარტიიდან, ამას ვერ იტყვის. თუმცა, აღნიშნა, რომ ალოგიკურია, ცილისწამების შემდეგ თანამშრომლობაზე იყოს საუბარი.

# ნინო ბურჯანაძის ვიზიტის საიდუმლო თემატიკა

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძე, რომელიც რუსმა კოლეგამ, გარეშე თვალისაგან მოშორებით, ერთი-ერთზე სასაუბროდ მიიპატიჟა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას, მოსკოვის ანალიტიკური წრეების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დღეს სწორედ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაა ის ადგილი, სადაც წყდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბედი, პირველ რიგში კი - სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისა. რუს პოლიტოლოგებს უყვართ ერთი ფრაზის გამეორებაც, რომ **„სწორედ ალექსანდრ ვოლოშინია დღეს მოსკოვ-ვაშინგტონს შორის გადებული ის ბეწვის ხიდი, რომელზედაც გავლა უხდება პირველ რიგში ვლადიმირ პუტინს და შემდეგ დაშლილი საბჭოთა სივრცის სუვერენული რესპუბლიკების ყველა პრეზიდენტს."**

არავინ იცის, კრემლის რა კონკრეტულ დირექტივას ასრულებს დღეს რუსეთის საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ პრეზიდენტის მორჩილი დუმა რომ კრემლის მითითებების უკრიტიკო შემსრულებელია, ამას ქვეყანაში არავინ მალავს. ამიტომ ექსპერტები ასკვნიან, რომ **დღეიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები პროვოკაციულ მოულოდნელობებს მოკლებული იქნება.** მაგრამ რის ხარჯზე მოხდება ეს ყველაფერი, ამაზე კომენტარებს ერიდებიან. ასეთ დროს ყველას პირზე აკერია ზოგადი ფრაზა - მსოფლიოში შექმნილი თანამედროვე რეალიების გათვალისწინება.

ამ აქტუალური თემის შეხსენების შემდეგ რუსეთის პარლამენტის მემარჯვენე ძალთა ერთ-ერთი წარმომადგენელი „იაბლოკოს" აპარატიდან ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ დღეს **„ქართულ ოპოზიციას კარგ ტონად უთვლიან რუსეთთან საუბრის რეგისტრის შეცვლის საჭიროების აღიარებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება მოსკოვის მარწუხებში გახლართვა."** ფრაქცია „იაბლოკოს" ლიდერი გრიგოლი იავლინსკი რუსულ-ქართულ თემატიკაში არ ერევა, სამაგიეროდ რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი **ვლადიმირ ლუკინი** მიიჩნევს, რომ **„ ორი პრეზიდენტის შეხვედრის წინ, აუცილებელია გამაღიზიანებელი ფაქტორების სიის შედგენა. პრობლემაა ისიც, რომ თბილისს ამ საკითხების გადაჭრაში კონსტრუქტივიზმი აკლია."**

მაგრამ რუსეთის სათათბიროში არსებობს მეორე რადიკალური მოსაზრებაც, რასაც, მაგალითად, გენადი ზიუგანოვის თანაშემწე ახმოვანებს: **„მოსკოვი დღეს თბილისისგან თანასწორობას ითხოვს და არა - ვაშინგტონის კარნახით რუსეთთან პრეტენზიული ტონით საუბარს."** გენადი ზიუგანოვი კი ამბობს: **„საქართველოს ისტორია დღეს აქ, მოსკოვში იწერება, ამიტომ დაანებეთ თავი ოკეანისგაღმური სცენარებით ცხოვრებას, არ არის ვაშინგტონში თქვენი ისტორია."**

მიუხედავად იმისა, რომ რუსი მემარჯვენეები გმობენ თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ქალბატონი ხაკამადაც კი ქართველ კოლეგებს, აფხაზეთში თავდაპირველად ეკონომიკური ბერკეტების მოსინჯვას ურჩევს.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მემარჯვენეებმა ვლადიმირ პუტინის კურსს სოლიდარობა გამოუცხადეს, ნემცოვ-ხაკამადა-ჩუბაისის სტრატეგიაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. ეს ქართულმა მხარემაც იგრძნო. მაგრამ ნინო ბურჯანაძე, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუებში, მოსკოვის დადანაშაულების პარალელურად, ანგარიშს უწევს რუსეთის პროსახელისუფლებო ძლიერი საპარლამენტო გუნდის კონსტრუქტივიზმსაც.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **დმიტრი როგოზინი** ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ აცხადებს:

**"საქართველოს კეთილდღეობა და მისდამი რუსეთის ნორმალური, კარგი განწყობა დამოკიდებულია შემხვედრ ნაბიჯებზე. ან ვირჩევთ ზეწოლის პრაქტიკას, ან - სეპარატიზმის გაღვივების ტექნიკას. ჩეჩნეთის მაგალითის გათვალისწინებით ამის დაშვება არ შეიძლება. რუსეთი ამაზე არ წავა."**

განსაკუთრებით ძნელია ამ ბოლო მოსაზრების დაჯერება მაშინ, როცა ურთიერთკომპრომისებზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ ცნობილი ხდება, რომ ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის დღეებში რუსეთის დედაქალაქში გამოიძახეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების პირველი პირებიც.

კარგად ინფორმირებული წყარო რუსეთის საპატრიარქოდან გვატყობინებს, რომ, რუსეთის პატრიარქის განკარგულებით, აფხაზეთში მალე მართლმადიდებელი მღვდლების გაგზავნა თუ შეგზავნა დაიწყება. რუსეთის საპატრიარქოს ინფორმაციით, აფხაზეთში ქრისტიანულ ეკლესიებს ავიწროებენ. ამის შესახებ პირადად უთხრა კიდეც ნინო ბურჯანაძეს მიტროპოლიტმა სერგეიმ.

მოსკოვის ჟურნალისტური წრეები ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტმა პუტინმა უკვე გასცა განკარგულება საქართველოსთან ურთიერთობის სტრატეგიის შეცვლაზე. ადგილობრივი ანალიტიკოსებიც ამტკიცებენ, რომ მხარეები ელიან 31 იანვარს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებებს. ექსპერტები არ გამორიცხავენ აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანასა და სამშვიდობოების ნაცვლად არმიის შეშვების პერსპექტივას. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ინიციატივით, უკვე შექმნილია აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედების **რაღაც ახალი გეგმა,** რაც გენერალმა ანდრეი ნიკოლაევმა ქართველ სპიკერს შესთავაზა და რასაც ქალბატონი ნინო ბურჯანაძე **„ძალიან საინტერესოს"** უწოდებს, მაგრამ დეტალებს არ ხსნის.

მოსკოვში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის მთავარი ორგანიზაციული შედეგია მორიგი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც რამდენიმე მიმართულებით იმუშავებენ. კერძოდ: გაარკვევენ აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პერსპექტივას, პასპორტიზაციასთან დაკავშირებულ გაუგებრობას და თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტის მართებულობას.

ამთავითვე მოსალოდნელია, რომ სამივე შემთხვევაში მოსკოვი არჩეულ კურსს არ გადაუხვევს, მაგრამ ამის მიუხედავადაც, როგორც ნინო ბურჯანაძე ამბობს, **„მოიხაზა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის მთავარი ორიენტირები."**

ჯარი

# ქართული არმია ფაფების ასაკიდან გამოდის

*საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამშაბათს გამართული სამხედრო საბჭოს სხდომის შემდეგ, საზოგადოებას ნატო-ს სტანდარტების მიხედვით განხორციელებული ორი ცვლილების შესახებ ეუწყა - ქართველი ჯარისკაცები აღარ ივლიან რუსული სამწყობრო ნაბიჯებით და მათ რაციონში აღარ იქნება რუსული ფაფები, რომელთა ზომაზე მეტად ხშირი მიღებისგან სამხედრო ნაწილებში რამდენჯერმე "ფაფის ამბოხსაც" ჰქონდა ადგილი. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ფაფების ასაკიდან გამოსული საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა 2003 წელს სხვა მხრივაც ნატო-ს სტანდარტების მიხედვით იქნება უზრუნველყოფილი.*

მინდია დავითური

სანამ ქართველი პოლიტიკოსები ნატო-ში გაწევრიანების შესახებ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ და თბილისსა და ბრიუსელს შორის მანძილს ზომავენ, საქართველოს სამხედრო უწყებაში მხოლოდ ახლა იწყება ისეთი მიწიერი პრობლემის მოგვარება, როგორიც პირადი შემადგენლობის კვების გაუმჯობესებაა.

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, საბჭოთა ჯარში დამკვიდრებული და ქართულ არმიაში შემორჩენილი მენიუ რადიკალურად შეიცვლება და ნატო-ს სტანდარტებს გაუტოლდება. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, ქართული არმიის კვების რაციონიდან უახლოეს ხანებში ამოიღებენ ფაფებს და მათ ადგილს უფრო მაღალკალორიული პროდუქტი დაიკავებს. გარდა ამისა, ჯარისკაცის მენიუ თანამიმდევრულად "გაქართულდება" და იქ თავს მოიყრის კიტრი, პომიდორი, ბადრიჯნისა და მწვანე ლობიოსგან დამზადებული სადილები და მწვანილი.

თანაც, როგორც ირკვევა, ამ "გასტრონომიული რეფორმების" შემდეგ, რომლის განხორციელება ორი კვირის შემდეგ დაიწყება, საგრძნობლად გაიზრდება კალორიულობა და, თუ იგი ფაფების პერიოდში თითოეულ ჯარისკაცზე 3000 კილოკალორიას არ აღემატებოდა, ამჯერად 4500-6000 კილოკალორიას მიაღწევს.

ძნელი სათქმელია, თუ აქამდე ვინ უშლიდა ხელს სამხედრო ხელმძღვანელობას ბადრიჯნის, ლობიოსა და ქორფა მწვანილის შესყიდვაში, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ნოვაციით, სამხედროების გარდა, აშკარად გაიხარებენ სოფლად დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც თავიანთი პროდუქციის გასაღებისთვის გადამყიდველების ძებნა აღარ მოუწევთ.

მაგრამ ნატო-ს სტანდარტების კალორიებით სამხედროების დანაყრება მაინც მომავლის საქმეა. თანაც ძალზე ცუდია ის, რომ, სანამ ლობიოსა და ბადრიჯნის სეზონი დადგებოდეს, პირადი შემადგენლობის უმრავლესობას, დაახლოებით 30 პროცენტს, საზაფხულო ტანსაცმელში უხდებათ გამოზამთრება. სამხედრო ფინანსისტები სამხედრო ფორმით მომარაგების შეფერხებას წინა წელს წარმოქმნილი დავალიანებით ხსნიან, თუმცა კონტროლის პალატის მონაცემებით, იგივე თავდაცვის სამინისტრო უამრავ გადასახადს იხდის ისეთი ობიექტების შენახვისთვის, რომელთა უმრავლესობა საერთოდ უვარგისია ექსპლუატაციისთვის.

როგორც სააგენტო "კავკას-პრესი" იუწყება, კონტროლის პალატის სარევიზიო შემოწმებამ ცხადყო, რომ თავდაცვის სამინისტროში სრულიად მოშლილი ყოფილა ქონების მოვლა-პატრონობის საკითხი. მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში 677 შენობა-ნაგებობიდან საექსპლუატაციოდ უვარგისი აღმოჩნდა 281, 190 კი ავარიულია. საერთოდ აღურიცხავი აღმოჩნდა 4 სამხედრო ქალაქი, სადაც 126 შენობა-ნაგებობა ყოფილა განთავსებული. თანაც, შენობების გარდა, იჯარის წესით უკანონოდ გაიცემა სამხედრო აეროდრომის ტერიტორიებიც, რომელსაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის იყენებს.

მაგრამ ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლის ცხოველმყოფელმა სურვილმა, როგორც ირკვევა, სამხედრო ხელმძღვანელობაზე ამ შემთხვევაშიც დადებითად იმოქმედა და მათ გადაწყვიტეს, გამოუყენებელი უძრავი ქონება აუქციონზე გასატან სიაში შეიტანონ, რაც სამხედრო უწყებას დამატებით შემოსავლებს მისცემს. მაგრამ უკვე აღარაფერი ეშველება იმ შენობებს, რომლებიც ან თავისი სიძველის გამო განადგურდნენ, ან, გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი კორპუსის მსგავსად, ლამპასებიანი კორუმპირებულების ხელშეწყობით, კერძო პირების მფლობელობაში გადავიდნენ.

# საქართველო მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების ჩატარებისთვის ემზადება

*მაისში, სახელწოდებით "მედქერ-რესქიუერ 2003", საქართველოს ტერიტორიაზე, ერთიმეორის მიყოლებით, ორი მნიშვნელოვანი სამხედრო სწავლება გაიმართება. ხუთშაბათს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დამთავრდა ამ საერთაშორისო სამხედრო სწავლებების დაგეგმარების დასკვნითი კონფერენცია, რომელზეც, რუსეთის გარდა, მონაწილე სახელმწიფოთა ყველა სამხედრო დელეგაციამ მოიყარა თავი. სამხედრო მანევრები, რომლის ორგანიზატორები ამერიკა და საქართველო არიან, ნატო-ს "მშვიდობისათვის პარტნიორობის" სულისკვეთებით ჩატარდება და იგი საგანგებო ვითარებების დროს სამხედრო მედიკოსთა ურთიერთქმედების კოორდინირებას, მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას და საავადმყოფოს შეკეთებასაც ითვალისწინებს.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს სამხედრო ძალების ნატო-ს მოდელზე გადასვლის პროცესი, საერთაშორისო სტანდარტებთან მისი ყველა სეგმენტის მაქსიმალურ თავსებადობას მოითხოვს. ამიტომ ნატო-ს "მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამებში, საბრძოლო ნაწილების ინტეგრირების პარალელურად, ლოგისტიკისა და სამედიცინო ქვედანაყოფების თანამედროვე სტანდარტებით გაწვრთნასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებში საქართველოს ტერიტორიაზე "მედქერის" ტიპის ორი სწავლება გაიმართა, რასაც შედეგად მოჰყვა პროფესიული ცოდნის ამაღლება და სამხედრო-სამედიცინო სამსახურის ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლა.

წინამორბედთა მსგავსად, "მედქერ-რესქიუერ 2003" სამედიცინო ხასიათის სწავლებაა, მაგრამ როგორც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნატო-სთან თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ბატკუაშვილი აცხადებს, ამჯერად რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურებაც იქნება.

***"სწავლება არის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" სულისკვეთების ფარგლებში, ანუ ეს არ არის ნატო-ს სწავლება, ეს არის საქართველო-ამერიკის ორმხრივი სწავლება, რომელზეც ჩვენ ერთობლივად მოვიწვიეთ რამდენიმე ქვეყანა. ძირითადად, ესენი არიან ჩვენი მეზობელი ქვეყნები. სწავლება დაიწყება 17 მაისს და დასრულდება 31 მაისს. ამის შემდეგ 1 ივნისიდან 15 ივნისამდე ჩატარდება უკვე მეორე, კომპიუტერული სამეთაურო-საშტაბო სწავლება, სახელწოდებით "რესკიუერი,"*** - აცხადებს ირაკლი ბატკუაშვილი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის გახლავთ, რომ ზედიზედ ორი საერთაშორისო სწავლება, რომელშიც, სავარაუდოდ, რვა ქვეყნის 120-ზე მეტი სამხედრო სპეციალისტი მიიღებს მონაწილეობას, მთლიანად ქართული საკოორდინაციო შტაბის წევრების მიერ დაიგეგმა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო შემდგომში უკვე დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით შეძლებს, დაგეგმოს და ჩაატაროს ასეთი ხასიათის საველე მეცადინეობები. მით უფრო, რომ "მედქერ-რესქიუერ 2003"-ის დამთავრების შემდეგ, ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე დარჩება კომპიუტერული შტაბი და კიდევ ერთი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის გარემონტებაც საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.

გარდა ამისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია დახმარება, რასაც, სწავლების ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე, ამერიკელი სამხედროები საქართველოს მოსახლეობას გაუწევენ. წესით, სწავლების ლეგენდის თანახმად, მრავალეროვნულმა სამხედრო-სამედიცინო კონტინგენტმა მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის სამაშველო ოპერაცია წარმოსახულ რაიონებში უნდა აწარმოოს. მაგრამ, ვინაიდან საქართველოს ბოლო ხანს ძალიან შემოეჩვია მიწისძვრები და საქართველოს მოსახლეობას არა ვირტუალურად, არამედ რეალურად ესაჭიროება სამედიცინო მომსახურება, თბილისთან ახლოს მყოფი რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი, "მედქერ-რესქიუერ 2003"-ის მსვლელობის დროს, სხვადასხვა სახის უფასო სამედიცინო დახმარებას მიიღებენ. ირაკლი ბატკუაშვილის თქმით, დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტები შეისყიდეს დიდ ბრიტანეთში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ავიაბაზის წარმომადგენლებმა, რომლებიც სწავლების ერთ-ერთი ორგანიზატორები არიან.

გარდა ამისა, ამერიკელმა სამხედროებმა დააფინანსეს ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის - სართიჭალის საავადმყოფოს რემონტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლების დამთავრების შემდეგ "მედქერ-რესქიუერ 2003"-ზე საქართველოში ბევრი კეთილი მოგონება დარჩება.

# რეჯებ ერდოგანს გაპრემიერებაში ხელს ველარაფერი შეუშლის

"თურქეთის ლიდერი რეჯებ ერდოგანი მმართველი "სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" თავმჯდომარედ ფორმალურად ხელახლა აირჩიეს მას შემდეგ, რაც 22 იანვარს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ სკანდალური გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ იგი პარტიის თავმჯდომარედ არ ითვლება,"- იუწყება "როიტერი".

22 იანვარს სასამართლომ დაადგინა, რომ რეჯებ ერდოგანი მმართველი პარტიის თავმჯდომარედ არ შეიძლება ჩაითვალოს. მოსამართლის განცხადებით, ერდოგანმა თავმჯდომარეობაზე ნებაყოფლობით თქვა უარი, როდესაც მან გასული წლის ოქტომბერში "სამართლიანობის" პარტიის მმართველი ორგანო დატოვა.

თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ჰასიმ კილიჩის თქმით, ერდოგანმა საკუთარ თავს განაჩენი თავად გამოუტანა.

"მისი თავმჯდომარეობა დამფუძნებელი საბჭოდან გასვლით დასრულდა", - აღნიშნა მან. "ის ფაქტი, რომ მას თავმჯდომარეობაზე ოფიციალურად ხელი არ აუღია, არ ნიშნავს, რომ ის კვლავ თავმჯდომარეა. შესაბამისად, მას აღარ შეუძლია პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების გამოყენება", - დასძინა მან.

სასამართლოს განაჩენის გამოტანისთანავე პარტიის წევრებმა განაცხადეს, რომ ამ ფორმალობასაც დაუყოვნებლივ გამოასწორებდნენ.

"არ არსებობს დაბრკოლება, რომელიც ერდოგანს თავმჯდომარეობაში ხელს შეუშლის. დამფუძნებელი საბჭო სასწრაფოდ შეიკრიბება და გადაწყვეტილებასაც მიიღებს", - აღნიშნა მმართველი პარტიის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა.

პარტიის თავმჯომარეობა ის უკანასკნელი დაბრკოლება იყო, რომელსაც შესაძლოა, ერდოგანისათვის ხელი შეეშალა არჩევნებში მონაწილეობასა და ქვეყნის ლიდერობაში. თურქეთის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი შეიძლება გახდეს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი.

რამდენიმე წლის წინ სასამართლომ ერდოგანს არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა რელიგიური შუღლის გაღვივების ბრალდებით. თურქეთის ახალმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეცვალა ეს გადაწყვეტილება.

გუშინ, დილით, "სამართლიანობის" პარტიამ საგანგებო სხდომა მოიწვია და ერდოგანის დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე იგი კვლავ თავმჯდომარედ აირჩია. ახლა ერდოგანს უკვე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მარტში დანიშნულ დამატებით არჩევნებში და ქვეყნის დე იურე პრემიერი გახდეს.




რეჯებ ერდოგანს გაპრემიერებას ველარავინ დაუშლის.

# არმიტიჯის განცხადებები შეშფოთების საფუძველს იძლევა

პირველი გვერდიდან

რუსეთის მიმართ შეცვლილი პოზიცია გამოამჟღავნა არმიტიჯმა ზოგიერთ სხვა საკითხშიც, რომლებთანაც საქართველოს არაპირდაპირი შეხება აქვს.

კერძოდ, მან განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი აპირებს, ზოგიერთი ჩეჩნური ორგანიზაცია შეიყვანოს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში. მისი თქმით, ამჟამად, პროცედურული დეტალები ზუსტდება და ჩეჩნური ორგანიზაციების "შავი სია" მალე გამოქვეყნდება. თუ საქართველოში ამ ორგანიზაციების წევრები აღმოჩნდებიან, მაშინ საქართველოს ბრალი დაედება ტერორისტების მფარველობაში, ოღონდ უკვე არა მხოლოდ რუსული, არამედ ამერიკული ვერსიითაც.

გარდა ამისა, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ განაცხადა, რომ აშშ არ აპირებს ავღანეთში ომის დასრულების შემდეგაც შეინარჩუნოს ცენტრალურ აზიაში სამხედრო ბაზები. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აშშ-მ შეცვალა კასპიის აუზის მნიშვნელობის მისეული შეფასება.

სულ რამდენიმე თვის წინ აშშ-ს ოფიციალური პირები ყველაზე მაღალ დონეზე აცხადებდნენ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ყოველგვარი პრევენტიული მოქმედების განხორციელება სრულიად დაუშვებელია. მაშინ ვაშინგტონის მტკიცე პოზიციამ საქართველო რუსეთის აგრესიისაგან იხსნა. ამიტომ, არმიტიჯის განცხადება, თუ იგი რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა სწორად გადმოსცეს, შეშფოთების საფუძველს იძლევა.

საქართველოს ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ პანკისის პრობლემა მოხსნილია და იქ არც ჩეჩენი მებრძოლები და არც ალ-ქაიდას ტერორისტები აღარ არიან. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან პრევენტიული დარტყმა არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც გაუმართლებელია. მაგრამ ოფიციალური თბილისი კვლავინდებურად არ პასუხობს კითხვაზე, როგორ მოხვდნენ ტერორისტები პანკისში და სად წავიდნენ ისინი იქიდან. ნათელია, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხში პირნათელი ვერ არის ვერც რუსებთან, ვერც ამერიკელებთან და, რაც მთავარია, ვერც საკუთარ ხალხთან.

ინფორმაცია იმის შესახებ, რა ხდებოდა პანკისში ბოლო ორი წლის მანძილზე, ნელ-ნელა ჟონავს მსოფლიო პრესაში და საქართველოს საერთაშორისო იმიჯს სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ამავე დროს, ვერავინ გამორიცხავს იმას, რომ თოვლის დადნობასთან ერთად პანკისის პრობლემა შეიძლება კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით დადგეს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელმა ტოცკიმ განაცხადა, რომ მართალია, დღეს პანკისში "გაცილებით ნაკლები ჩეჩენი მებრძოლია, ვიდრე ოპერაციის დაწყებამდე", მაგრამ ბოევიკთა ნაწილი საქართველოს მთიანეთში, წინასწარ მომზადებულ ბანაკებშია გახიზნული და გაზაფხულზე ისევ გააქტიურდება. თოვლის დნობასთან ერთად, "ჩვენ საქართველოდან რუსეთში მებრძოლთა ახალი ნაკადების შემოჭრას ველოდებით," – განაცხადა ტოცკიმ.

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, თოვლის დადნობის შემდეგ, რუსეთს სულ იოლად შეუძლია საზღვრის გასწვრივ ჩეჩენთა რაზმების მოძრაობის პროვოცირება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, პრევენტიული დარტყმისათვის "შესაფერისი" მიზეზია. რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები აფხაზეთში მოწმობს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისაგან ისინი უკან არ დაიხევენ.

უკვე დიდი ხანია, ბევრი ექსპერტი აცხადებს, რომ ერაყში ომის დაწყება აიძულებს აშშ-ს, უფრო მოქნილი გახდეს რუსეთთან ურთიერთობებში. არმიტიჯის განცხადებაც, თუ იგი ისევე არ დაამახინჯეს რუსმა ჟურნალისტებმა, როგორც ეს ვერშბოუს შემთხვევაში მოხდა, შეიძლება ამის დასტური იყოს.

# საერთაშორისო თანამეგობრობა ერაყში ომის წინააღმდეგ

*გერმანიასა და საფრანგეთს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები, რუსეთი და ჩინეთი უერთდებიან და ვაშინგტონს მოუწოდებენ, ბაღდადზე სამხედრო იერიში არ მიიტანოს.*

რევაზ ბახტაძე

გუშინ სტამბოლში ერაყში მოსალოდნელი ომის საკითხების განსახილველად ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ.

ერაყის მეზობელი სახელმწიფოების - თურქეთის, ირანის, საუდის არაბეთის, იორდანიის, სირიისა და ეგვიპტის დიპლომატებმა მოუწოდეს ერაყს, გაერო-ს გადაწყვეტილებებს დაემორჩილოს. რეგიონის სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია ინსპექტორებმა გამოძიება მიუკერძოებლად ჩაატარონ.

შეხვედრის წინ ერაყის ხელისუფლებამ თურქეთს სთხოვა, შეერთებული შტატების მოთხოვნას არ დაემორჩილოს და ბაღდადის წინააღმდეგ ომში მხარი არ დაუჭიროს.

"სტამბოლში შეკრებილი სახელმწიფოებიდან ყველას კარგი ურთიერთობა აქვს შეერთებულ შტატებთან", - განაცხადა ერაყის ელჩმა ტალიპ აბიდ სალიჰ ელ დულეიმიმ. "ჩვენ გვსურს, რომ მათ ეს კავშირები ვაშინგტონის დასარწმუნებლად გამოიყენონ და ომზე ხელი ააღებინონ".

ანალიტიკოსების თქმით, რეგიონის სახელმწიფოებს ამერიკისათვის ომის რეალური ალტერნატიული ვარიანტის შეთავაზება გაუჭირდებათ. მათი აზრით, შეხვედრა, ძირითადად, საკუთარი მოსახლეობის წინაშე იმის დემონსტრირება იქნება, რომ მთავრობებმა ომის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი იღონეს. ამავდროულად, მათი საერთაშორისო ავტორიტეტიც გაიზრდება.

არაბი ლიდერები შიშობენ, რომ რეგიონული ომი მათ ეკონომიკას დიდ დარტყმას მიაყენებს და უსაფრთხოებას დიდ საშიშროებას შეუქმნის.

"ჩვენს სახლებს ხანძარი უახლოვდება", - აღნიშნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იშარ იაკისმა. "მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ომი გარდაუვალია, - დასძინა მან ჟურნალისტებთან საუბრისას, - მშვიდობის შენარჩუნების შანსი არსებობს. ომის აღკვეთა ჯერ კიდევ შეიძლება".

ანკარა ძალზე რთულ ვითარებაში იმყოფება. თურქეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ომის დაწყების წინააღმდეგია. ანკარას განცხადებით, უშიშროების საბჭოს საგანგებო რეზოლუციის გარეშე ის უფლებას არ მისცემს ვაშინგტონს, თურქეთის ტერიტორია სამხედრო იერიშისათვის გამოიყენოს. თუმცა, შეერთებული შტატების ზეწოლის შედეგად თურქეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ პენტაგონს ქვეყანაში შეზღუდული რაოდენობის დამატებითი კონტინგენტის შეყვანაზე დათანხმებულიყო.

თურქმა და არაბმა დიპლომატებმა გადაჭრით უარყვეს, რომ შეხვედრის მონაწილეები სადამ ჰუსეინის ქვეყნიდან გაძევებას განიხილავდნენ.

"ამგვარი საკითხი დღის წესრიგში ნამდვილად არ ყოფილა შეტანილი" - აღნიშნა იაკისმა.

თუმცა, ერაყელები დარწმუნებულები არიან, რომ ამგვარი სცენარი სტამბოლში ნამდვილად განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრამდე თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელმა მიანიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერაყის პრეზიდენტი ქვეყნიდან წასვლას დათანხმდება, ისინი მას თავშესაფარს არ შესთავაზებენ.

რეგიონის სახელმწიფოთა მოწოდებებსა და გერმანიისა და საფრანგეთის ანტისაომარ განცხადებებს ჩინეთი და რუსეთიც შეუერთდნენ.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გუშინ პირადად დაურეკა ამერიკის პრეზიდენტს და მოსკოვის პოზიცია აცნობა: "ერაყის თაობაზე გაერო-ს ინსპექტორების მიერ გაკეთებული განცხადება მთავარი კრიტერიუმი იქნება ვითარების შეფასებისას".

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა, რომ ამჟამად სამხედრო ძალის გამოყენების საფუძველი არ არსებობს.

"ჯერ კიდევ არის პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებები ერაყის საკითხის მოსაგვარებლად", - განაცხადა ათენში მყოფმა ივანოვმა.

ის საფრანგეთისა და გერმანიის მეთაურებს დაეთანხმა, რომ ერაყში მომუშავე გაერო-ს ინსპექტორებს თავისუფალი მუშაობის საშუალება უნდა მისცენ.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი სახელმწიფოთა უმრავლესობის აზრს შეუერთდა და განაცხადა, რომ პეკინის შეხედულება "საფრანგეთის პოზიციასთან ძალზე ახლოს დგას".

პეკინისა და მოსკოვის მიერ ვაშინგტონის პოზიციის უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების მქონე სახელმწიფოთაგან უმრავლესობა (საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი) ომის დაწყების წინააღმდეგია. უშიშროების საბჭოს დანარჩენი ორი მუდმივი წევრი კი თავად შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არიან.

ახლა, მთელი მსოფლიო გაერო-ს ინსპექტორების მოხსენების მოლოდინშია, რომელსაც ჰანს ბლიქსი 27 იანვარს გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე წარადგენს. სწორედ 27 იანვარს გაირკვევა, არღვევს ერაყი უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, თუ – არა.

# ტაჯიკეთი თურქმენბაშს ეკეკლუცება

ზაფარ აბდულაევი
IWPR

უკანასკნელ ხანებში ტაჯიკეთის ხელისუფლება თურქმენეთის შესახებ კრიტიკულ სტატიებს პრესაში არ უშვებს, რათა ახალ მოკავშირეს არ აწყენინოს.

დუშანბეში ამბობენ, რომ მედიის ამჟამინდელი პოლიტიკის თანახმად, "თუ პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვის შესახებ კარგს ვერ იტყვი, მაშინ საერთოდ არაფერი არ უნდა თქვა".

ტაჯიკებმა, ამ თვითცენზურის გამო, თითქმის არაფერი იციან გასულ ნოემბერს ნიაზოვზე განხორციელებული ტერაქტის თაობაზე, რასაც ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა მოჰყვა.

ანალიტიკოსების აზრით, დუშანბე იმიტომ უკმევს გუნდრუკს პრეზიდენტ ნიაზოვს, რომ დაძაბული ურთიერთობები აქვს უზბეკეთთან.

ტაჯიკი ანალიტიკოსის რაშიდ აბდულოს აზრით, ტაშკენტმა დუშანბესა და აშხაბადს შორის ორმხრივი ვაჭრობის გაფართოებას არა ერთი დაბრკოლება შეუქმნა. მისი თქმით, ტაჯიკეთის მთავრობა თურქმენეთს უზბეკეთის ალტერნატივად განიხილავს.

ტაშკენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტაჯიკეთზე. ტაჯიკეთში ექსპორტირებული 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უზბეკეთმა დუშანბეს 48 ამერიკულ დოლარად მიჰყიდა.

დუშანბეს სურს, რომ ამიერიდან ბუნებრივი აირი აშხაბადიდან შემოიტანოს. თურქმენბაში იმავე რაოდენობის გაზში მხოლოდ 35 დოლარს ითხოვს. თუმცა, ტაჯიკეთთან დამაკავშირებელი გაზსადენი უზბეკეთის ტერიტორიაზე გადის და შეკეთებას საჭიროებს. ტაშკენტმა გადაჭრით განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით უზბეკეთი მათ არანაირ დახმარებას არ გაუწევს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქმენეთსა და ტაჯიკეთს შორის არ არსებობს სასაზღვრო დავა, უზბეკეთისა და თურქმენეთისაგან განსხვავებით.

აშხაბადსა და ტაშკენტს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც თურქმენეთმა უზბეკეთს ბრალი დასდო თურქმენეთის ოპოზიციის იმ ლიდერის დახმარებაში, რომელსაც თურქმენბაშის სიცოცხლის ხელყოფაში ადანაშაულებდნენ.

დამოუკიდებელი ექსპერტი ალიშერ ყურბანოვი დარწმუნებულია, რომ აშხაბადის გაღიზიანება გამოიწვია 11 სექტემბრის შემდეგ ტაშკენტსა და ვაშინგტონს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებმაც.

ერთი ტაჯიკი ჟურნალისტის თქმით, ყველა გაზეთის მთავარი რედაქტორი (მათ შორის, კერძო მფლობელობაში მყოფი "აზია პლუსი") ერთგვარ თვითცენზურას ახორციელებს. ეს პროცესი გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც რამდენიმე სტატია გამოჩნდა, რომელიც თურქმენბაშსა და მეზობელ სახელმწიფოში არსებულ პიროვნების კულტს აკრიტიკებდა. სტატიამ, რომელიც "აზია პლუსში" დაიბეჭდა, დუშანბეში თურქმენეთის საელჩოს ოფიციალური პროტესტი გამოიწვია.

თურქმენეთის ელჩმა ხელისუფლებას მოუწოდა, გაერკვია, თუ რატომ იბეჭდებოდა ანტითურქმენული სტატიები.

მას შემდეგ მედიაში თურქმენბაშის შესახებ უარყოფითი მასალა, ფაქტობრივად, არ გამოჩენილა. ახლა ტაჯიკებს თურქმენეთის შესახებ ინფორმაციის მიღება მხოლოდ უცხოური ვებგვერდების მეშვეობით შეუძლიათ.

# ჰოლანდიას ახალი პარლამენტი ჰყავს

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ უკვე ცნობილი გახდა ჰოლანდიაში ჩატარებული პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგები, რომლის მიხედვითაც მმართველ კოალიციაში შემავალმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ კვლავ გაიმარჯვა და 150 საპარლამენტო ადგილიდან 44 მოიპოვა. მისმა მთავარმა კონკურენტმა – ლეიბორისტულმა პარტიამ კი 42 ადგილი მიიღო. მესამე ადგილზე 28 მანდატით სახალხო-კონსერვატიული პარტია გავიდა.

გასული არჩევნების მთავარ გმირად ლეიბორისტული პარტიის ლიდერი 39 წლის ვაუტერ ბოსი იქცა, რომელმაც უკანასკნელ ორ თვეში შეძლო თავისი პარტიის საარჩევნო კამპანიის პროცესში უმნიშვნელოვანესი გარდატეხის შეტანა. მან უმძიმეს ბრძოლაში შეძლო ტელედებატების დროს მთავარი მოწინააღმდეგეების დამარცხება, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა პარტიის ელექტორატი. ყოველივე ამის შედეგად ლეიბორისტებმა დამატებით 19 ადგილი მოიპოვეს და ამჟამად თავისუფლად შეუძლიათ სამთავრობო პოსტებზე საკუთარი კანდიდატურების გაყვანა.

ასევე სიახლედ იქცა ის ფაქტი, რომ წინა საპარლამენტო არჩევნების ფავორიტმა, მემარჯვენე პარტიამ "პიმ ფორტაინის სია" ამჟამად მხოლოდ 8 ადგილის მოპოვება შეძლო. წინა მოწვევის პარლამენტში კი ამ პარტიას 26 მანდატი გააჩნდა, მაგრამ ამომრჩევლებმა მათ პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტში უპასუხისმგებლო მუშაობა ვერ აპატიეს და შედეგიც სახეზეა. სწორედ "პიმ ფორტაინის სია" ითვლება ჰოლანდიაში მთავარ დამნაშავედ იმის გამო, რომ წინა მთავრობა არჩევიდან 87 დღეში გადადგა.

როგორც ყველა ქვეყანაში, ასევე ჰოლანდიაშიც, არჩევნების შემდეგ დგება მომდევნო, არანაკლებ პრობლემატური კითხვა, ვინ დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს? როგორც შედეგებიდან ირკვევა, ამ თანამდებობაზე პირველ რიგში პრეტენზიას ქრისტიან-დემოკრატები განაცხადებენ. ისინი წინა მოწვევის პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ და მათი ლიდერი იანპიტერ ბალკენენდეც პრემიერ-მინისტრი იყო.

ადგილობრივი დამკვირვებლების აზრით, ჰოლანდიის ახალი მინისტრთა კაბინეტი ქრისტიან-დემოკრატთა და ლეიბორისტების კოალიციის საფუძველზე ჩამოყალიბდება. ორივე პარტიას ქვეყნის ხელისუფლებაში ყოფნის კარგი გამოცდილება გააჩნია, თუმცა აშკარაა, რომ ორივე პარტიის ლიდერების პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. სწორედ ამ მიზეზის გამო დამკვირვებელთა გარკვეული ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ქრისტიან-დემოკრატებმა კოალიცია ლეიბორისტების ნაცვლად სახალხო-კონსერვატიულ პარტიასთან გააფორმონ, რადგან მათ შორის იდეოლოგიურად უფრო მეტი საერთო არსებობს. თუმცა ამის მიუხედავად, ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ შექმნიან. მათ ამისათვის 4 ხმა დააკლდებათ და "პიმ ფორტაინის სიასთან" მოუწევთ ალიანსის გაფორმება. ამ შემთხვევაში კი ჰოლანდიას აშკარად გამოკვეთილი მემარჯვენე უმრავლესობა ეყოლება. თუმცა, ამგვარის სცენარის განვითარებას პოლიტოლოგები ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ, რადგან ქრისტიან-დემოკრატებსა და "ფორტაინელებს" შორის ბევრ საკითხზე საკმაოდ სერიოზული უთანხმოებები არსებობს.




უკვე ცნობილი გახდა, რომ ქრისტიან-დემოკრატებმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე კვლავ თავიანთი ლიდერი და მთავრობის ამჟამინდელი ხელმძღვანელი იან-პიტერ ბალკენენდე წამოაყენეს. ლეიბორისტებმა კი თავის ფავორიტად ამსტერდამის მერი ჯობ კოენი დაასახელეს.

თუმცა სავარაუდოა, რომ ახალი მთავრობის ფორმირების პროცესი, შესაძლოა" რამდენიმე თვეს გაიწელოს. ამდენად, ვიდრე ჰოლანდიის დედოფალი ბეატრიქსი ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას მოაწერს ხელს, ქვეყანას კვლავ ძველი მთავრობა ეყოლება.

# ჩრდილოეთ კორეის საკითხს გაერო განიხილავს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯონ ბოლტონმა ოთხშაბათს სეულში სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკება გამართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ბოლტონმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის საკითხი განსახილველად უახლოეს დღეებში გაერო-ს უშიშროების საბჭოს უნდა გადაეცეს. აქამდე ვაშინგტონი ამგვარი მოწოდებებისაგან თავს იკავებდა.

ბოლტონის აღნიშნული ინიციატივა ოფიციალურ ფხენიანს, რასაკვირველია, არ მოეწონება, რადგანაც ამ დრომდე ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ვაშინგტონთან პირდაპირ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და აშშ-სთან თავდაუსხმელობის პაქტზე ხელისმოწერას იმედოვნებდა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ჩრდილოეთ კორეამ გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, რომლის მიხედვითაც მის წინააღმდეგ გაერო-ს სანქციების შემოღებას ის ომის გამოცხადების კვალიფიკაციას მისცემდა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიზიტის პარალელურად, სეულში დასრულდა მოლაპარაკებები ორი კორეის წარმომადგენლებს შორის. მათი შეხვედრა მხარეთა მიერ პრინციპული პოზიციების გამჟღავნებით დაიწყო.. ოფიციალური სეულის განმარტებით, თუკი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების საკითხი არ მოგვარდება, ეს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე საკმაოდ ნეგატიურ გავლენას მოახდენს. კორეის ნახევარკუნძულის გაერთიანების მინისტრმა, ჩრდილოეთ კორეას პოლიტიკის გადახედვისაკენ და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებთან თანამშრომლობის აღდგენისაკენ მოუწოდა.

შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ხელმძღვანელმა კიმ იონ სონმა ხაზგასმით განაცხადა, რომ კორეის ნახევარკუნძულს ომის საფრთხე ემუქრება და ორივე კორეამ ყველაფერი უნდა იღონოს ამის თავიდან ასაცილებლად.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონე-ბი, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან სააბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## მოკლედ

**თბილისი.** ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთზე 700-მილიმეტრიანი ბუნებრივი აირის სარეზერვო მილსადენის შეკეთება, სავარაუდოდ, დღეს უნდა დასრულდეს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში თბილისის ენერგეტიკის სამსახურის უფროსმა თემურ ჭინჭარაულმა განაცხადა, სარეზერვო მილსადენი, ფაქტობრივად, აღდგენილია და მხოლოდ მილების საყრდენებზე დამაგრებაა საჭირო. ჭინჭარაულის თქმით, დღეიდან ბუნებრივი აირის მიწოდება შესაძლებელია აღუდგეს ყაზბეგის რაიონს, რადგან სარეზერვო მილსადენთან ტერიტორიულად ახლოსაა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენის მიუხედავად, რის გამოც „თბილგაზში" თანხა ფაქტობრივად არ შედის, კომპანიამ „იტერას" ანგარიშზე უკვე გადარიცხა 1,7 მილიონი ლარი, სამი მილიონი კი ხვალ გადაირიცხება, - განუცხადა „მედია-ნიუსს" თბილგაზის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ. რაც შეეხება დარჩენილ 1,5 მილიონს, ცაავას თქმით, მისი მობილიზება ამ დღეებში მოხერხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ეს თელასმა" ხელშეკრულებას რუსეთის ერთიან ენერგოსისტემასთან ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე ხელი გუშინ მოაწერა. ბოლო სამი დღის განმავლობაში "ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიას შეზღუდვებით იღებს. ბოლო ორი დღის მონაცემებით, თელასს 150-180 მგვტ-მდე ელექტროენერგია მიეწოდება. რუსეთიდან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დედაქალაქი დამატებით 120-150 მგვტ-ი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის საჰაერო სივრცე დაიკეტება ქართული ავიაკომპანიებისათვის, რომელთაც აეროსანავიგაციო მომსახურებისათვის დავალიანება გააჩნიათ. ამის შესახებ გუშინ საჰაერო მოძრაობის დაგეგმარებისა და რეგულირების მთავარ ცენტრში განაცხადეს. "დღემდე საქართველოს 15 კომპანიას დავალიანება არ დაუფარავს, რომლის საერთო რაოდენობა 3,6 მილიონ დოლარს აჭარბებს", - განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციების ინიციატივით უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტს შესაძლოა, სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის უფლება ჩამოართვას. "ტრადიციონალისტებმა", "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" და "მოძრაობამ დემოკრატიული რეფორმებისათვის" "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი მოამზადეს და პარლამენტს გუშინ საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარუდგინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** "ევროპის სატრასტო ბანკმა" სოხუმში ფიზიკური პირებისათვის ფულადი გადარიცხვების პროგრამის მომსახურების პუნქტები გახსნა. ფუნქციონირების ნახევარი წლის მანძილზე MIGOM-ის პუნქტთა საერთო რაოდენობამ რუსეთის ფედერაციაში, ბელორუსში, უკრაინაში, მოლდოვაში, დნესტრისპირეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და აფხაზეთში 519-ს მიაღწია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო მოითხოვს ერთ დროს ქართული ავიაციის ფლაგმანი კომპანიის "საქართველოს ავიახაზების" დაშლას. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის, მერაბ ადეიშვილის თქმით, კომპანიის დაშლის შესახებ გადაწყვეტილებას კვირის განმავლობაში მიიღებენ. როგორც მინისტრმა განაცხადა, დაინტერესებული ინვესტორების მოძიება ვერ მოხერხდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია და თურქეთის პრემიერ-მინისტრს აბდულა გულისა და სახელმწიფო მინისტრს ქერშად თუზმენის შეხვდა. ჯორბენაძე დღეს ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს თურქეთის ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და ტრანსპორტის მინისტრებთან. დღესვე მას თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახმედ ნეჟდეთ სეზერი მიიღებს. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე თურქეთში ისრაელიდან ჩავიდა, სადაც მან ისრაელის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი დაათვალიერა და IMI კონცერნის წარმომადგენლები საქართველოში მოიწვია. IMI ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების საბრძოლო მასალებით ძირითადი მომმარაგებელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნა არ გაითვალისწინა და 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცსკ-ს საპარლამენტო არჩევნებისათვის მოთხოვნილის მხოლოდ ნახევარი გამოუყო. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ თუ ცსკ-ს ორ მლნ ლარზე მეტი დასჭირდება, მას სარეზერვო ფონდიდან დააფინანსებენ. **ინტერ-პრესი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 18 - 26 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6168 | 0.6633 | 0.0052 |
| US$ | 1.6211 | | 1.0755 | 0.0085 |
| Euro | 1.5075 | 0.9298 | | 0.0079 |
| Yen | 191.43 | 118.1 | 126.97 | |




# მთავრობა პარლამენტის შენიშვნებს არ ითვალისწინებს

მაია ურუშაძე

*გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტებმა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენით განიხილეს. ფინანსთა სამინისტროდან ორი ეკონომიკური პროფილის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას მხოლოდ მინისტრის მოადგილე, ვასილ გიგოლაშვილი ესწრებოდა. ამან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა სიორიძის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, ბიუჯეტის პროექტის განხილვას ხელი უფრო იმან შეუშალა, რომ შესწორებული დოკუმენტი მთავრობამ პარლამენტში მხოლოდ წინა საღამოს წარადგინა.*



ზაზა სიორიძე და დავით სალარიძე უკმაყოფილოები დარჩნენ.

დეპუტატები ფინანსთა სამინისტროს მუშაობით უკმაყოფილონი არიან. **"გული მტკივა, რომ ასეთ ბიუჯეტს პარლამენტმა მხარი დაუჭირა. მთავრობა პარლამენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს არ ითვალისწინებს,"** – განაცხადა სხდომაზე გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რომან დალაქიშვილმა. მისი აზრით, ეს ბიუჯეტი შორს არის დადებითი შეფასებისგან. თუნდაც, მარტო იმიტომ, რომ თავად პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ, მინიმალური ხელფასის 35 ლარამდე გაზრდას, მთავრობა წელს არც კი აპირებს. დალაქიშვილის განცხადებით, მინიმალური ხელფასის ზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები დღის წესრიგში ბიუჯეტის განხილვასთან ერთად უნდა იყოს ჩართული, მაგრამ არ არის. **"ეს ნიშნავს, რომ ამ ცვლილებების განხილვა თებერვლიდან დაიწყება. საბიუჯეტო კანონში წერია, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამ ცვლილებების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ ხუთი თვის მანძილზე უნდა შეიმუშაოს წინადადებები, რომ მინიმალური ხელფასი 35 ლარამდე გაიზარდოს. ამიტომ, წელს მინიმალური ხელფასის ზრდაზე ლაპარაკი, უბრალოდ, უპერსპექტივოა,"** - დაასკვნა რომან დალაქიშვილმა.

**„ცვლილებები მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა,"** - თქვა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა. როგორც გაირკვა, ცვლილება შეეხო პრეზიდენტის ფონდს, რომელიც სამი მილიონი ლარით შემცირდა. აქედან ორი მილიონით საპარლამენტო არჩევნები დაფინანსდება, მილიონი ლარი კი რეგიონების ტრანსფერებს დაემატება.

სხვათა შორის, რეგიონების ტრანსფერებს ჯამში 15 მილიონი აქვს დამატებული. როგორც "ნაციონალი" კოტე კემულარია აცხადებს, **"წინა წლების საპენსიო და სახელფასო დავალიანების დასაფარი თანხები შემცირებულია, ფული კი გადანაწილებულია ე.წ. "პარლამენტის წევრების მოსყიდვის" ფონდში. გარდა ამისა, სხვადასხვა მუხლებიდან მოხსნილია თანხები და იმას ხმარდება, რომ ბიუჯეტი მივიღოთ. ბოლოს და ბოლოს, თვითმიზანი ხომ არ არის ბიუჯეტის მიღება იმისდა მიუხედავად, თუ რა ეწერება შიგ?"**

სოციალური სფეროს დაფინანსების საკითხებში უკეთესობას ვერც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე ხედავს: **"არაფერი განსხვავება არ არის. შეიძლება, კლებაც იყოს."**

პირველი მოსმენით მიღებული ბიუჯეტის მიმართ დეპუტატებს უამრავი შენიშვნა დარჩათ. მაგრამ, ვასილ გიგოლაშვილმა ბიუჯეტში შენიშვნების გათვალისწინების შესაძლებლობა იმთავითვე გამორიცხა. **"პარლამენტში უკვე შეტანილ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. ჩვენ კი ორშაბათამდე პროექტში ცვლილებებს ვერ შევიტანთ. ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ ის შეუძლია, რომ შენიშვნების მიმართ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს,"** - აღნიშნა მან.

"ნაციონალმა" კოტე კემულარიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო პარამეტრების გადასინჯვის იმედზეა და 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას სავალუტო ფონდის მისიის ჩამოსვლამდე - თებერვლამდე შეგნებულად გააჭიანურებს. მოგვიანებით, ამ ვარაუდს დაეთანხმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძეც: **„მთავრობას სურს, რომ ბიუჯეტის მიღება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შენიშვნების ფონზე მოხდეს."** თუმცა, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, რომ ეს ასე არ არის, ვინაიდან **"თუ სავალუტო ფონდს შენიშვნები ექნება, მთავრობა უკვე მიღებულ კანონშიც შეიტანს ცვლილებებს."**

მოკლედ, გუშინდელი სხდომა უშედეგოდ დასრულდა. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მეორე მოსმენით განხილვას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტები ორშაბათს გააგრძელებენ.

# კონტროლის პალატა სასამართლოებს სუბიექტურობაში ადანაშაულებს

სოფო კვინტრაძე

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრმა რომან ბოკერიამ და იურიდიული სამმართველოს უფროსმა ლადო სირაძემ, გუშინდელ პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს ინფორმაცია პალატის ადმინისტრაციული აქტების შესახებ, რომლებიც გასაჩივრებულია სხვადასხვა სასამართლოში. ისინი აცხადებენ, რომ სასამართლოები სუბიექტურად განიხილავენ საქმეებს და ხელოვნურად, ზოგჯერ წლობითაც კი, აჭიანურებენ მათ მსვლელობას. **"საბოლოო ჯამში ვლებულობთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხები წლების განმავლობაში რჩება შემოწმებული ორგანიზაციების საკუთრებაში უკანონოდ, ექცევა ბრუნვაში და, შესაბამისად, უზარმაზარი შემოსავლები მოაქვს ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ დიდი ხნით ადრე მიეცათ ეს თანხები ბიუჯეტისათვის სხვადასხვა გადასახადების სახით,"** – განაცხადა რომან ბოკერიამ. კონტროლის პალატის წარმომადგენლების განცხადებით, ამჟამად სასამართლოებში განიხილება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რომელთა საფუძველზეც კონტროლის პალატამ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 23 მილიონი ლარი გამოავლინა. ეს არის თანხები, რაც ორგანიზაციების ფინანსური შემოწმებისას გამოვლინდა დარღვევების სახით. თუმცა, შემოწმებულმა ორგანიზაციებმა აქტები სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში კი, ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება საბოოლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.



რომან ბოკერია, მიხეილ ჩერქეზია და ლადო სირაძე.

იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებთანაც კონტროლის პალატას სასამართლო დავა აქვს, არიან ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა სააქციო საზოგადოება "აზოტი", "საქგაზი", "საფოსტო ბანკი", "საქთხევადგაზი" და სხვ. იურიდიული სამმართველოს უფროსის ლადო სირაძის ინფორმაციით, "აზოტის" შემოწმების შედეგად მათ გამოავლინეს ოთხ მილიონ ლარზე მეტი უკანონოდ დახარჯული თანხა. მაგრამ, "აზოტმა" კონტროლის პალატის ადმინისტრაციული აქტი გაასაჩივრა და სასამართლო პროცესი, რომელიც 2000 წლის ივნისში დაიწყო, დღემდე მიმდინარეობს.

კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები იმ შემთხვევაშიც კი ასაჩივრებენ კონტროლის პალატის ადმინისტრაციულ აქტს, როცა არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ. სასამართლოზე ზეწოლის მოხდენით, ისინი დროს აჭიანურებენ და უკანონო თანხებით აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა წერილობით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას და იუსტიციის საბჭოს მდივანს ზურაბ აბაშიძეს, რომ მათ შესაბამისი ზომები მიიღონ სასამართლოების მხრიდან საქმეთა გაჭიანურებისა და სუბიექტური მიდგომების აღმოსაფხვრელად.

# საქართველოში უცხოური ინვესტიციებიც არალეგალურია

ზვანცა კვინიკაძე

*ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) უახლესი მონაცემების თანახმად, ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპა 2002 წელს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი რეგიონი იყო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი წელი მსოფლიო ეკონომიკისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპების შემცირებით, კორპორატიული სკანდალებითა და კომპანიათა საერთაშორისო შერწყმათა სიმწირით გამოირჩეოდა, ეს სირთულეები ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაზე არ გავრცელებულა. Economist Intelligence Unit-ის გამოთვლებით, 2002 წელს ამ რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობა 2001 წელთან შედარებით საგრძნობლად, ექვსი მილიარდი დოლარით გაიზარდა და 33 მილიარდ დოლარს შეადგინა. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ინვესტიციების ასეთი ზრდის ფონზე საკმაოდ არასახარბიელოა საქართველოს ანალოგიური მონაცემები. აღნიშნული ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, დაგეგმილი მსხვილმასშტაბიანი ენერგოპროექტების მიუხედავად, საქართველოში 2003 წელს პუი-ს მოცულობა 2002 წლისას მხოლოდ 20 მილიონი დოლარით გადააჭარბებს და 120 მილიონ დოლარს შეადგენს.*

NDI-ის გამოკვლევის თანახმად, უცხოური ინვესტიციების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებული იყო იმით, რომ ინვესტორები ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპას ადრინდელზე გაცილებით ნაკლებად სარისკო რეგიონად მიიჩნევენ. ამის მიზეზი, უმთავრესად, რეგიონის ქვეყნების მშპ-ს ზრდა, მათი მყარი საერთაშორისო ფინანსური მდგომარეობა, ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრულობა და ზოგიერთი ქვეყნის მიერ ევროკავშირის წევრობის მიღწევა იყო. თუმცა, რეგიონში უცხოური ინვესტიციები საკმაოდ არათანაბრად არის გადანაწილებული. ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპა პუი-ს მოცულობით მნიშვნელოვნად უსწრებს დსთ-სა და ბალკანეთის ქვეყნებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით წარმატებულნი არიან: უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი (იხ. ცხრილი).

**უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)**

| რეგიონები და ქვეყნები / წლები | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპა** | **12,878** | **14,021** | **18,162** | **15,064** | **20,000** | **17,600** |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 3,699 | 6,313 | 4,986 | 4,923 | 8,200 | 6,000 |
| უნგრეთი | 2,037 | 1,977 | 1,647 | 2,439 | 1,300 | 2,000 |
| პოლონეთი | 6,365 | 7,270 | 9,341 | 5,713 | 5,200 | 6,800 |
| სლოვაკეთი | 562 | 354 | 2,052 | 1,475 | 4,000 | 1,700 |
| სლოვენია | 215 | 107 | 136 | 503 | 1,300 | 1,100 |
| **ბალკანეთის ქვეყნები** | **3,843** | **3,686** | **3,631** | **4,333** | **3,920** | **5,720** |
| ალბანეთი | 45 | 41 | 143 | 207 | 160 | 150 |
| ბოსნია-ჰერცეგოვინა | 67 | 177 | 146 | 222 | 220 | 350 |
| ბულგარეთი | 537 | 806 | 1,002 | 692 | 620 | 1,020 |
| ხორვატია | 932 | 1,479 | 1,115 | 1,447 | 1,200 | 1,800 |
| მაკედონია | 118 | 30 | 176 | 443 | 70 | 150 |
| რუმინეთი | 2,031 | 1,041 | 1,025 | 1,157 | 1,250 | 1,600 |
| იუგოსლავია | 113 | 112 | 25 | 165 | 400 | 650 |
| **ბალტიის ქვეყნები** | **1,863** | **1,140** | **1,176** | **1,161** | **1,470** | **1,550** |
| ესტონეთი | 581 | 305 | 387 | 539 | 400 | 500 |
| ლატვია | 357 | 348 | 410 | 177 | 420 | 450 |
| ლიტვა | 926 | 487 | 379 | 445 | 650 | 600 |
| **დსთ** | **6,780** | **6,858** | **5,413** | **6,874** | **7,616** | **10,590** |
| რუსეთი | 2,761 | 3,310 | 2,714 | 2,469 | 3,000 | 5,000 |
| უკრაინა | 743 | 496 | 595 | 792 | 850 | 1,200 |
| ბელარუსი | 203 | 444 | 119 | 100 | 150 | 150 |
| მოლდოვა | 76 | 40 | 143 | 94 | 76 | 90 |
| სომხეთი | 221 | 122 | 104 | 70 | 80 | 100 |
| აზერბაიჯანი | 1,023 | 510 | 130 | 227 | 1,000 | 1,400 |
| **საქართველო** | **265** | **82** | **131** | **100** | **100** | **120** |
| ყაზახეთი | 1,151 | 1,587 | 1,283 | 2,763 | 2,000 | 2,200 |
| ყირგიზეთი | 109 | 44 | 2 | 40 | 50 | 50 |
| ტაჯიკეთი | 24 | 21 | 22 | 20 | 25 | 30 |
| თურქმენეთი | 64 | 80 | 100 | 100 | 200 | 150 |
| უზბეკეთი | 140 | 121 | 75 | 100 | 85 | 100 |
| **აღმოსავლეთ ევროპა და დსთ** | **25,365** | **27,705** | **28,382** | **27,422** | **33,006** | **35,460** |

წყარო: ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტები, სსფ, Economist Intelligence Unit-ის პროგნოზები 2003 წლისთვის.

დსთ-შიც, სადაც პუი-ს მოცულობა თანდათან იზრდება მისი განაწილება ძალიან მერყეობს ქვეყნების მიხედვით. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მიუხედავად, მაგალითად, რუსეთმა ვერ შეძლო მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ ქვეყნის პირველი ცხრა თვის საგადამხდელო ბალანსის თანახმად, 2002 წლის ამავე პერიოდში რუსეთში განხორციელებულმა პუი-ს ოდენობამ 1.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 2001 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს ორი მილიარდი დოლარით ჩამორჩება. NDI-ის შეფასებით, ბოლოდროინდელი პროგრესის მიუხედავად, რუსეთში არსებული ბიუროკრატიული კორუფცია და ინვესტორთა ეჭვები, რომ ისინი რუსეთის სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვას შეძლებენ, მათთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს.

დსთ-ს ფონზეც კი, საქართველო საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება, არა მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული, არამედ წელს მოსალოდნელი უცხოური ინვესტიციების მოცულობებითაც (იხ. ცხრილი). თუმცა ამის მიზეზს გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე გარკვეული გარემოებებით ხსნის. თვალჭრელიძის განცხადებით, საქართველოში უცხოური ინვესტიციების აღრიცხვაში სერიოზული პრობლემებია, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. მისი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ კანონმდებლობითაც კი ინვესტორის ხელშემწყობი პირობები, პრაქტიკულად, არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ისინი არც არიან დაინტერესებულნი ინვესტიციის რეგისტრაციით, მისი "გათეთრებით". თვალჭრელიძის მონაცემებით, სწორედ აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო, ოფიციალურად არ აღრიცხულა შარშან საქართველოს ეკონომიკაში გაკეთებული, დაახლოებით 400-500 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციები. ექსპერტის თქმით, მათ შორის ყველაზე მსხვილი – 400 მილიონ დოლარამდე განხორციელდა სამშენებლო სფეროში. **"ამ თანხების უდიდესი ნაწილი აღურიცხავია, რადგან ქვეყანაში შემოვიდა ამერიკის ვირჯინიის კუნძულებიდან, ნაწილი კი საკმაოდ გაურკვეველი წარმოშობის – რუსულნარევი კაპიტალია",** - განაცხადა თვალჭრელიძემ. მისი ინფორმაციით, ინვესტიციების აღრიცხვა ასევე რთულია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სფეროშიც.

თვალჭრელიძის თქმით, ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში შარშან განხორციელებული დაახლოებით 100 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიციის აღურიცხაობის ობიექტური მიზეზებიც არსებობს. მისი განმარტებით, ის თანხები, რაც "ბრიტიშ პეტროლიუმი"-ს საქართველოს წარმომადგენლობამ ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შესასწავლად, საწყობების მშენებლობისა თუ სხვა მიზნებისთვის დახარჯა, აღირიცხა არა უცხოური, არამედ კორპორატიული ინვესტიციების სახით.

ნავთობისა და გაზის სფეროში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივის თვალსაზრისით, NDI მომავალ რეკორდსმენად ყაზახეთს მიიჩნევს. ამ ქვეყანაში ყოველწლიურად ორი მილიარდი დოლარის შედინებაც კი არის ნავარაუდევი დასახელებულ სექტორებში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის წყალობით, მნიშვნელოვანი ახალი ინვესტიციების მიზიდვას NDI უწინასწარმეტყველებს აზერბაიჯანს. თუმცა, თვალჭრელიძის თქმით, ინვესტიციების გარეშე არც საქართველო დარჩება: **"წელს, საქართველოში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაახლოებით 500 მილიონი დოლარის პირდაპირი, ხოლო 2003-2007 წლებში - 1.5 მილიარდ დოლარამდე არაპირდაპირი ინვესტიციის განხორციელება".** ასეთი პერსპექტივის მიუხედავად, გაეროს განვითარების ექსპერტის აზრით, საგადასახადო კოდექსის შეცვლისა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ კანონის მიღების გარეშე საქართველო ახალი ლეგალური ინვესტიციების მოზიდვას ვერ შეძლებს.

# ამერიკის სპეცსამსახურები ტერორისტებს ჩვენებებს წამების საშუალებით სძალავენ

*რამდენიმე დღის წინ ამერიკულმა გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილია ის მეთოდები, რომლებსაც ამერიკელები ტერორისტობაში ეჭვმიტანილ პირთა დაკითხვისას იყენებენ.*

სოფიკო ჩხაიძე

ავღანეთში, ამერიკულ ავიაბაზა "ბაგრამზე", აკრძალული ზონის სიღრმეში განთავსებულია წინასწარი დაკავების იზოლატორი – სპეციალურად განკუთვნილი "ალ ქაიდას" და "თალიბანის" წევრებისთვის. იზოლატორი, რომელშიც დაკავებულებს მეტალის კონტეინერებში ამყოფებენ, ეკლიანი მავთულის სამმაგი ხვეულებითაა შემოღობილი. აქვეა დაკითხვებისთვის განკუთვნილი ადგილიც. მათ, ვინც უარს ამბობს შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობაზე, ხშირად საათობით აიძულებენ ფეხზე ან მუხლებზე დგომას, თანაც ისე, რომ მათ თავზე ან შავი ჩაჩები აქვთ ჩამოცმული, ან მინებშეღებილი სათვალეები უკეთიათ. ამასთან, დაკავებულებს აიძულებენ, შეინარჩუნონ პოზა, რომელიც ტკივილს იწვევს. მათ დღეღამის მანძილზე არა აქვთ ძილის საშუალება მოციმციმე, ძლიერი შუქის გამოყენების გამო. მოკლედ, ტყვეთა მიმართ სტრესებისა და იძულების პრაქტიკას იყენებენ. ამასწინათ "ბაგრამის ბაზაზე" ორი პატიმარი გარდაიცვალა. ამერიკელი სამხედროები აცხადებენ, რომ მათი სიკვდილის გარემოებები დადგენილია. ბაზის ხელმძღვანელობის განცხადებით, ერთი მათგანი ფილტვების ემბოლიით დაიღუპა, მეორე – გულის უკმარისობით.

როგორც ცნობილია, ფართოდ გამოიყენება ტერორიზმში ეჭვმიტანილთა სხვა ქვეყნებისთვის გადაცემის პრაქტიკაც. ეს ძირითადად ეხებათ განსაკუთრებით ურჩებს. მათ იმ ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებს გადასცემენ, რომელთა შესახებაც საქვეყნოდ ცნობილია, რომ ისინი დაკითხვისას დაკავებულებს აწამებენ.

ამერიკის ოფიციალურ წრეებში არც უარყოფენ, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებულ გლობალურ ომში ყველაზე რთული (ერთ-ერთი მნიშვნელოვანიც) ფაქტორია ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვა. შეერთებული შტატების ოფიციალური პირები ცდილობენ, გაასაიდუმლონ, რამდენი პირია დაკავებული ტერორიზმის ბრალდებით, ვინ არიან ისინი, სად ამყოფებენ და რა მეთოდებს იყენებენ მათგან საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მიუხედავად ამისა, დაზვერვის რამდენიმე ყოფილი თუ ახლანდელი ოფიცრისგან გაჟონილი ინფორმაციით, გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. მათი ნაამბობი დაკითხვების უსასტიკესი მეთოდებით ჩატარების სურათს იძლევა. ხშირ შემთხვევაში ეს დაკითხვები იმ მოკავშირეებთან ერთად ტარდება, რომელთა რეპუტაცია, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ძალზე საეჭვოა. შესაბამისად, დაკითხვებისას განსხვავება კანონიერსა და უკანონოს, შესაძლებელსა და არაადამიანურს შორის, ფაქტობრივად, წაშლილია.



ავღანელ ტყვეთა ერთ-ერთ ბანაკში.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება წამების ფაქტებს უარყოფს, თავად ჩინოვნიკები, რომლებიც ნაციონალურ უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს, ტყვეთა მიმართ ძალადობას ამართლებენ; მეტიც, ამას აუცილებლადაც კი მიიჩნევენ. ამასთან, დარწმუნებულნი არიან, რომ ამერიკის საზოგადოებრიობა მათ მხარს უჭერს. რაც შეეხება ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს (CIA), რომელიც მთავარი პასუხისმგებელია დაკითხვებზე, იგი კომენტარებისგან თავს იკავებს.

"თუ ზოგჯერ ადამიანის უფლებები არ დაარღვიე, ეს ნიშნავს, რომ დაკისრებულ მოვალეობებს ცუდად ართმევ თავს", - თქვა ერთმა ჩინოსანმა, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავება და გადაყვანა ევალებოდა.

"ბაგრამის ავიაბაზის" იზოლატორსა და კუნძულ დიეგო-გარსიაზე არსებულ კიდევ ერთ საიდუმლო ციხეში სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები დიდად არ აქცევენ ყურადღებას ადამიანის უფლებათა შევიწროებასა და პროცესუალური ნორმების დაცვას. თანაც, ეს და რამდენიმე სხვა მსგავსი დაწესებულება, "გუანტანამოს ბაზის" ციხისგან განსხვავებით, გარეშე პირთათვის მთლიანად დახურულია. შესაბამისად, ხშირად იქ პატიმრებზე ზემოქმედებისთვის სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის მეთოდებს იყენებენ. ხშირად CIA-ის მაღალჩინოსნები თავად (თარჯიმნის საშუალებით) აწარმოებენ განსაკუთრებულ საშიშ დამნაშავეთა დაკითხვას. გამოიყენება "სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ" ყოლის პრაქტიკაც ანუ როცა დაკავებულს უქმნიან შთაბეჭდილებას, რომ იგი იმყოფება ქვეყანაში, რომელშიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ადამიანის უფლებათა დაცვას და დაკითხვასაც, თითქოს, ამ ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები ატარებენ. აპრობირებულია ხერხი, როცა მუსულმან პატიმრებს ქალი-გამომძიებლები დაკითხავენ. ეს ფსიქოლოგიური შოკია მამაკაცებისთვის, რომელთათვისაც ქალი მხოლოდ მათი ნება-სურვილის შესასრულებლადაა ქვეყნად მოვლენილი. ისინი მათ მბრძანებლობას ვერ იტანენ. ნაკლებ მნიშვნელოვან პატიმრებს CIA ყოველგვარი პროცედურული ნორმების დაუცველად გადაცემს უცხოეთის სპეცსამსახურებს; კერძოდ - იორდანიას, ეგვიპტეს, მაროკოს. მათ კითხვარსაც აყოლებენ, იმ კითხვებს, რომლებზე პასუხები აინტერესებთ.

სხვათა შორის, სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის ერთობლივ მოსმენებზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა კოფერ ბლეკმა განაცხადა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ თანამშრომლები, რომლებიც ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვებს აწარმოებენ, "ხელთათმანების გარეშე" მუშაობენ. ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა კი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ტყვეების უცხო ქვეყნისთვის გადაცემაში, აღიარა, რომ "დაკავებულებს ჩვენ სიქას არ ვაცლით, უბრალოდ, მათ სხვა ქვეყნებს გადავცემთ, რომლებიც სიქას გააცლიან." ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დაკავებულებზე ზემოქმედების მოსახდენად იყენებენ ფსიქოტროპულ საშუალებებს. სპეცსამსახურთა ინტერესებისთვის იყენებენ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებსაც. როგორც ცნობილია, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავება, ძირითადად, ძალის გამოყენებით ხდება ხოლმე. დაჭრილი და დაშავებული კი თავისთავად საჭიროებს ასეთ პრეპარატს. პრეპარატებს დაკავებულებს ხანგამოშვებით აძლევენ და შესაბამისი შედეგიც არ აყოვნებს. მაგალითად, მარტში დაპატიმრებულთა შორის ყველაზე საშიში ალ-ქაიდელი – აბუ-ზუბაიდა - დაკავებისას მუცელში დაიჭრა. CIA-ის ოფიცრებმა პაკისტანელ კოლეგებს შესთავაზეს, რომ მისთვის შერჩევით მიეცათ ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, რაც მის დაკითხვასაც გააიოლებდა. ახლა ამბობენ, რომ აბუ ზუბაიდა აქტიურად თანამშრომლობს სპეცსამსახურებთან და სწორედ მას უნდა უმადლოდნენ ბევრი ალ ქაიდელის დაკავებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის სპეცსამსახურები ნებისმიერი ხერხით მიღებულ ინფორმაციას იყენებენ.

სხვათა შორის, 11 დეკემბერს CIA-ის შეფმა ჯორჯ ტენეტმა აღიარა, რომ უცხოეთის ქვეყნებში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვა სასურველ შედეგებს იძლევა. მისივე შეფასებით, სწორედ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ჩვენებების წყალობით გახდა შესაძლებელი "ალ ქაიდას" ხელმძღვანელობის მესამედის ლიკვიდაცია. შეერთებული შტატების არმიის აწ გადამდგარი გენერალი უეინ დაუნინგი ამბობს, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ერთ წელიწადში, მათ გაცილებით მეტი შეიტყვეს ტერორისტების შესახებ, ვიდრე როდესმე იცოდნენ.

# პოსტიდან გაქცეულ ჯარისკაცს, ნაწილში დასაბრუნებლად ორდღიანი ვადა მისცეს

თავდაცვის სამინისტროს დაცვის პოლკის რიგითმა, 20 წლის ნიკოლოზ ზანდარაშვილმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შენობას იცავდა, გუშინ, გამთენიისას, პოსტი მიატოვა და თან წაიღო "აკმ"-ის ტიპის ავტომატური იარაღი ორი მჭიდით.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას ინფორმაციით, სოფელ დიღომში მცხოვრები ნიკოლოზ ზანდარაშვილი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასული წლის ნოემბერში გაიწვიეს, ხოლო ჯარისკაცის სამსახურიდან გაქცევის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. "პროკურატურის ჯგუფი აწარმოებს მოწმეთა დაკითხვას და იკვლევს, თუ რატომ მიატოვა ზანდარაშვილმა პოსტი. შესაძლოა, ადგილი ჰქონდა მის შევიწროებას; შესაძლოა, მოხდა ჩხუბი, შესასწავლია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც," – ამბობს გია ჯიქია.

გუშინ საღამოს ნიკოლოზ ზანდარაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოსტიდან გაქცეული ჯარისკაცი ცეცხლსასროლი იარაღის მითვისებაშია დადანაშაულებული.

გუშინ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და კანონდამცველები მთელი დღის განმავლობაში ეძებდნენ ჯარისკაცს. ნიკოლოზ ზანდარაშვილის კვალმა ისინი სოფელ დიღომში ჩაიყვანა, სადაც იგი გაქცევის შემდეგ უნახავთ.

თუ გაქცეული ჯარისკაცი სამხედრო ნაწილს 2 დღეში დაუბრუნდება, მის წინააღმდეგ მხოლოდ დისციპლინური სასჯელი განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დეზერტირად გამოცხადდება და აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც 3-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## მოკლედ

გუშინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების უკან მდებარე ხევში ათი წლის ბავშვის გვამი იპოვეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ტაბახმელელი ლაშა მგალობლიშვილი, რომელიც ეპილეფსიით და შიზოფრენიით იყო დაავადებული, დილით ტყეში წასულა. როგორც გამოძიება ვარაუდობს, ბავშვს გზა აებნა და თბილისში №1 დაწესებულების უკან მდებარე ტყეში გადავიდა, საიდანაც დაგორდა და ხევში ჩაიჩეხა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონის პროკურორის განცხადებით, ლაშა მგალობლიშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** 15 იანვარს, გალის რაიონის სოფელ "ჩელალის" დასახლებაში, სამშვიდობოების 204-ე საგუშაგოზე განხორციელებული თავდასხმის გამოძიება რუსმა სამშვიდობოებმა მკაცრად მოითხოვეს. მათ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე შეიარაღებული თავდასხმის მუხლით სოფელ "ჩელალის" მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი ლეიტენანტის ალიკ ხაშბას წინააღმდეგ. მან, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა, ხელყუმბარის აფეთქების მუქარით დაცხრილა სამშვიდობოების საგუშაგო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "შიდა ქართლში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და პროფილაქტიკური სახის ღონისძიებები კიდევ უფრო გაძლიერდება და ახალ ფაზაში შევა," - აცხადებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი. იგი რეგიონში ამჟამად არსებულ მდგომარეობას გაუმჯობესებულად მიიჩნევს. მისი თქმით, ავტომაგისტრალებზე არსებული სიტუაცია დამაკმაყოფილებელია და უკვე თვეზე მეტია, დანაშაული არ მომხდარა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის არჩილ იმერლიშვილის ინფორმაციით, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართველი სამართალდამცავების მიერ ძებნილი 50-მდე დამნაშავე აფარებს თავს. აქედან 31 ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" მცხოვრებია, დაახლოებით 20 კი შიდა ქართლის ქართული სოფლებისა და რაიონების მკვიდრია. თითოეულ მათგანს სხვადასხვა სახის დანაშაული აქვს ჩადენილი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ცხინვალის მიმართულებით გატაცებული მანქანების შესაძლო რაოდენობის შესახებ კი კონკრეტული ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს უზენაესი სასამართლო „გაერთიანებული ქართული ბანკის" მეანაბრეების საკასაციო სარჩელს განიხილავს, რომლითაც ისინი თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვენ. მეანაბრეები ბანკისგან 110 ათასი აშშ დოლარის დაბრუნებას ცდილობენ. 50-მდე მეანაბრემ აღნიშნული თანხა ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ვანო ჩხარტიშვილის ბანკში 2000 წელს შეიტანა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის პოლიციამ დააკავა 27 წლის ვახტანგ ფანიაშვილი და 23 წლის ლევან ბეჟანიშვილი, რომლებმაც გორის რაიონის საავადმყოფოს ეზოდან გაიტაცეს ივანე ხაბელაშვილის ავტომანქანა „ვაზ-2106". **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დაცვის სამსახურის „ფარის" თანამშრომელმა, 22 წლის პაატა გაბისონიამ, ურთიერთშელაპარაკებისას საფანტის პისტოლეტით მუცელში დაჭრა მკვლელობისთვის ნასამართლევი, 25 წლის ნუგზარ ტაბატაძე, რომელიც მას დანით ემუქრებოდა. გაბისონია გაშვებულია ხელწერილით. პისტოლეტი „გოლდსტარი" ამოღებულია. **მედია ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარტიზანული დაჯგუფება "ტყის ძმების" ლიდერი დავით შენგელია უარყოფს ინფორმაციას, რომ მისი რაზმი სოჭი-სოხუმის მატარებლის აფეთქებას აპირებდა. დავით შენგელიას განცხადებით, იგი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ვიღაცეები აფხაზეთში ხიდის აფეთქებას გეგმავდნენ. შენგელიას თქმით, თავად მას ამასთან არავითარი კავშირი არ აქვს. "მე ინფორმაცია გამოვაქვეყნე იმ მიზნით, რომ აღმეკვეთა ხიდის აფეთქება და შესაძლო მსხვერპლი", - განაცხადა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თელავი.** კახეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსის ვაკანტური თანამდებობა დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსმა ლევან შაშიაშვილმა დაიკავა. მის პოსტს კი შს კახეთის სამმართველოს ყოფილი გამომძიებელი ირაკლი ბაზიერაშვილი დაიკავებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თელავი.** დღეს შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი კახეთში ვიზიტს გეგმავს.

მინისტრი შს რეგიონული სამმართველოს 2002 წლის მუშაობის შედეგებს მოისმენს და პირადად გადასცემს ჯილდოებს იმ პირებს, რომლებიც პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ.

"მეორე ხარისხის გორგასლის ორდენს" ნარჩემაშვილი კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსს ზურაბ ტუშურს გადასცემს, სამმართველოს რიგი თანამშრომლები კი მესამე ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდებიან. **ინტერ-პრესი.**

# პოლიციელთა დანაშაული და ხელისუფლების დანაშაულებრივი გულგრილობა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

მესამე დღეა, რაც ქუთაისის მერიის წინ საპროტესტო აქციას ატარებს და სახელმწიფოს მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას სთხოვს მეორე ჯგუფის ინვალიდი, ქუთაისელი მარიამ ფანჩულიძე.

საქმე ისაა, რომ ფანჩულიძეების ოჯახში რამდენიმე წლის წინ ტრაგედია დატრიალდა- მარიამ ფანჩულიძის ბინას ყაჩაღები დაესხნენ თავს. ყაჩაღებისთვის წინააღმდეგობის გაწევისას იგი მეოთხე სართულის აივნიდან გადმოვარდა და ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რისთვისაც 14 ოპერაცია გაიკეთა. იგი ამჟამადაც გადაუდებელ ოპერაციას და მკურნალობას საჭიროებს.

მარიამ ფანჩულიძეს ბედმა ესეც არ აკმარა; 1999 წელს მისი ერთადერთი, 18 წლის ვაჟი ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილებაში სასტიკად სცემეს. დაკავებულს ცემის შედეგად შინაგანი ორგანოები დაუზიანდა და გარდაიცვალა.

**"1999 წლის აგვისტოში ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილების პოლიციელებმა შვილი მომიკლეს. იგი სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ნაღველი დაუზიანდა. შვიდ სექტემბერს ბავშვი კომაში ჩავარდა, 18 სექტემბერს კი დაავასაფლავე. პოლიციამ შვილი ცემაში ისე მომიკლა, რომ მისი განყოფილებაში მიყვანა რეგისტრირებულიც არ ყოფილა. ათი თვის დამარხული შვილი ჩემი ხელით ამოვთხარე, რადგან პოლიციის შიშით არავინ დამეხმარა და გვამს ექსგუმაცია ჩავუტარე. ამ საქმით არავინ დაინტერესებულა. უკვე რამდენი წელია, ვითხოვ დამნაშავეთა დასჯას, მაგრამ - უშედეგოდ,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა მარიამმა.

იგი წლებია პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვს და მის მიერ გაგზავნილ საჩივრებზე ედუარდ შევარდნაძის მიერ რეზოლუციადადებულ წერილებს იღებს. ერთ-ერთ წერილში საქართველოს პრეზიდენტი მარიამ ფანჩულიძეს დაჰპირდა მისი ვაჟიშვილის მკვლელობის საქმის განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანას. აღნიშნულ დოკუმენტებს მარიამ ფანჩულიძე ხელისუფლების უმაქნისობის ნიმუშად ინახავს.

მარიამ ფანჩულიძემ ქუთაისის მერიის წინ საპროტესტო აქცია გუშინ, შუადღისას შეწყვიტა. თუმცა - დროებით. ანალოგიური მოთხოვნებით საპროტესტო აქციის გამართვას იგი თბილისში, პარლამენტის წინ აპირებს; შემდეგ კი ამერიკის საელჩოს წინ გადაინაცვლებს. "თუკი ამის შემდეგაც არაფერი გამოვიდა, პარლამენტის შენობის წინ თავს დავიწვავ,"- ამბობს მარიამ ფანჩულიძე.

# ადამიანის უფლებების „დაცვა" აჭარულად

*არსებობის 4 წლის თავზე აჭარის სახალხო დამცველმა ზორბეგ წუწუნავამ აჭარის სენატს ანგარიში ჩააბარა. "აქ ვერ შეხვდებით ადამიანის უფლების დარღვევის ისეთ მძიმე ფაქტებს, როგორიცაა გატაცება, ტრეფიკინგი..." – ირწმუნება აჭარის ომბუდსმენი, რომლის განცხადებითაც, საანგარიშო პერიოდში (2001 წელი და გასული წლის ორი თვე) მასთან 185 განცხადება-საჩივარი შევიდა.*

ნესტან ცეცხლაძე
ბათუმიდან

აჭარის ომბუდსმენი ადამიანის უფლებების მასიურად შელახვას მიაწერს "საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების დანაშაულებრივ პოლიტიკას" და "შექმნილ საგანგაშო სიტუაციაში" ადგილობრივი ხელისუფლების "წვლილს" ვერ ამჩნევს. მეტიც, ზორბეგ წუწუნავას ანგარიშის მოსმენის შემდეგ იფიქრებთ, რომ აჭარაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ სანიმუშო სიტუაციაა. თუმცა, ომბუდსმენის მსუბუქი კრიტიკის ობიექტი აჭარის პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო მაინც გახდა. მან დარღვევების დამადასტურებელი ორიოდე მაგალითიც მოიშველია და სამართალდამცველი სტრუქტურებისადმი კეთილგანწყობილმა ომბუდსმენმა საკუთარი პოზიციაც იქვე დააზუსტა: "არ მინდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ სახალხო დამცველი წინააღმდეგობაშია სამართალდამცველებთან, როგორც ამის წარმოსახვას ცდილობდა ერთ-ერთი გაზეთი და რომელსაც მე ასევე გაზეთის ფურცლებზე საკადრისი პასუხი გავეცი."

აჭარის სახალხო დამცველის მონაცემებით, წესრიგია პენიტენციალურ სისტემაშიც. ბათუმის N3 სატუსაღოში "გადამეტებული სიმკაცრით" მოპყრობა პატიმრების მიმართ არ დაფიქსირებულა, "მომჩივანთა პრეტენზიები. „ძირითადად". გამოძიების არასწორად წარმართვას ეხებოდა, რაც ზოგჯერ დასტურდება, ზოგჯერ - არა", - ამბობს ზორბეგ წუწუნავა, რომელსაც აჭარის უშიშროების იზოლატორი თვალთახედვის არედან, რატომღაც, საერთოდ გამორჩა.

სახალხო დამცველი იმასაც ირწმუნება, რომ აჭარაში ბავშვთა პროსტიტუცია არ არსებობს; თუმცა, გასულ წელს გაზეთ "ბათუმელების" რედაქტორს თავში ქვა ჩაარტყეს სწორედ ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული სტატიის გამო. დამნაშავეს კი აჭარის საქალაქო სასამართლომ წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სულ ახალახანს კი ექსპერტიზამ იგი ფსიქიურად დაავადებულად ცნო...

"... არსებული პრობლემების მიუხედავად, არ შეიძლება, არ აღინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევა, რათა ადამიანის უფლებები დაცული იყოს. ხელისუფლება ზრუნავს, რათა საერთო შეჭირვების ფონზე სისტემამ წინსვლა განაგრძოს..." – აჭარის ომბუდსმენის ანგარიშს ასეთი ამაღლებული პათოსი ფონად გასდევდა. ანგარიშის ჩაბარების შემდეგ ადამიანის უფლებების დამცველმა ხელისუფლებას უკეთესი მუშაობისა და ოპერატიულობისათვის ავტომანქანა მოსთხოვა.

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

## ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები რამ გაყო

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს პრეზიდენტმა და პატრიარქმა შარშან, 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება რატიფიცირებულია პარლამენტისა და წმინდა სინოდის მიერ.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიიჩნევს, რომ კონკორდატი არც ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არ არის მიღებული და რომ ასეთი დოკუმენტი პირველია მართლმადიდებელ ეკლესიაში.

პატრიარქის აზრით, კონკორდატი ეკლესიისთვის იმით არის სასიკეთო, რომ ყველა საეკლესიო ნივთი, შენობა, მიწები და ის საეკლესიო ნივთებიც, რომლებიც სახელმწიფო მუზეუმებში ინახება, აღიარებულია ეკლესიის კუთვნილებად.

ბუნებრივია, ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას ახალი კანონები, მაგალითად, მიწის გადაცემის შესახებ, ეკლესიასა და ჯარს შორის ურთიერთობის შესახებ, განათლების სისტემასთან, ჯანდაცვასთან და სოციალურ სფეროსთან ურთიერთობის განმსაზღვრელი კანონები. მაგალითად, ჯვრისწერა სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, როგორც კანონიერი და იურიდიული აქტი. ასევე, სახელმწიფო დღესასწაულებად აღიარებულია დიდი საეკლესიო დღესასწაულები, რომლებიც უქმე დღეებად გამოცხადდა. გარკვეული ცვლილებები კანონში იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დღეს მოძალებულ სხვადასხვა სექტასა და მათ განუკითხავ მოქმედებებს, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებაში გადადის, ალბათ, საზღვარს დაუდებს, - ბრძანებს ილია II.

ეკლესია და სახელმწიფო რომ განუყოფელია, კონკრეტულად ამ მაგალითიდანაც ჩანს. რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ საქართველოს საპატრიარქოს მიმართა წინადადებით, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებამდე ნება დაერთოთ რუსეთის საპატრიარქოსთვის, აფხაზეთში გაეგზავნათ რუსი სასულიერო პირები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა: "ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და რუსეთის პატრიარქს ვუთხარი კიდეც, რომ ასეთი ნაბიჯი კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობას რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთის პატრიარქი დამთანხმდა, მაგრამ სამწუხაროა, რომ, არაოფიციალურად, რუსი სამღვდელოება მაინც ჩადის აფხაზეთში, იქ თვეებისა და წლების განმავლობაში რჩებიან და წირვა-ლოცვას ლოცვა-კურთხევის გარეშე ასრულებენ".

ვიდრე კანონი მოაწესრიგებდეს ეკლესიისა და სახელმწიფოს მართვის მექანიზმების ურთიერთობას, ერთი მღვდლის მაგალითით თვალსაჩინოა, თუ რა მარტივად შეიძლება ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი დაპირისპირების აღმოფხვრა. ბოლნისის რაიონის სოფელ ქოლაგირში, ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიაში, მღვდელმსახურმა კვირიკემ ოთხი ადამიანი მონათლა: იეზიდები - 15 წლის სუსანა და 14 წლის დიანა ირბოევები და აზერბაიჯანელები, 36 წლის გილბარა საბაევა და 22 წლის კავკაზ ხობოვი; ჯვარი დაიწერა შარშან გაქრისტიანებულმა წყვილმა - რაჯი პარასკევომ და ილონა ედგაროვამ. ახლად ჯვარდაწერილები საკუთარი გადაწყვეტილებით კმაყოფილნი არიან და აცხადებენ, რომ ისინი ქრისტიანული წესით იცხოვრებენ. მღვდელი კვირიკე ორი წელია მსახურობს. შარშან მან 55 ბოშა და ხუთი აზერბაიჯანელი მონათლა.

გორში ღვთისმშობლის შობის ეკლესიას მართლმადიდებლები და კათოლიკეები ეცილებიან ერთმანეთს. საპატრიარქოს პრესმდივანმა, გიორგი ანდრიაძემ განაცხადა, რომ "1801 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო ეკლესიამ - ავტოკეფალია, რუსეთის იმპერიალისტური ძალების მიერ ხელოვნურად ხორციელდებოდა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური პროცესი, მათ შორის, სხვადასხვა კონფენსიის ტაძრების მშენებლობა, რომელსაც დღეს ეკლესია ვერ ჩათვლის კანონიერად. მას დღეს არ შეუძლია გორის ღვთისმშობლის შობის ტაძრის არც დანგრევა და არც გადაცემა."

ამის გათვალისწინებით, აცხადებს საპატრიარქო, არ ღირს კათოლიკური ეკლესიის მიერ ამ საკითხის წამოჭრა და პრობლემურ საკითხად განხილვა. მით უმეტეს, რომ, ბოლო ათი წელიწადია, ამ ეკლესიაში მართლმადიდებლური ლოცვა ტარდება.

ცნობილია, რომ ბულგარეთის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი რელიგიური გაერთიანებების შესახებ. მის საფუძველზე ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ქვეყანაში განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება. ეს პრეცედენტი, შესაძლოა, სტიმულად გამოდგეს საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც საქართველოში მართლმადიდებლობისთვის ამ სტატუსის მინიჭებას მოითხოვს.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა განეხილა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის წევრებისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის განცხადება კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის განსაკუთრებული სტატუსის განსაზღვრისთვის საერთო-სახალხო რეფერენდუმის გამართვის შესახებ. "ვინაიდან ცესკოდან ჩამიჩუმი არ ისმის, ჩვენ ვაპირებთ ამ საკითხის ხელმეორედ დასმას", - განაცხადა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ. შესაძლოა, ბულგარეთის ვარიანტი ქართულ სინამდვილესაც მოერგოს.

*"24 საათი"*

## მიეცით ადამიანებს სამსახური და ისინი გადასახადებს გადაიხდიან

მაკა ჭაიანი

*190-ე სკოლაში შეკრებილი ლოტკინის დასახლების მცხოვრებლები, ენერგეტიკული პრობლემის მოგვარებას გუშინ, მათი მაჟორიტარი დეპუტატის, მერაბ სამადაშვილის, გლდან-ნაძალადევის რაიონის გამგებლის, ირაკლი ქორიძის, "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორის, იგნასიო ირიბარენისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლების დახმარებით ცდილობდნენ.*



*იგნასიო ირიბარენი: "როცა ადამიანი უსიამოვნო სიმართლეს გეუბნება, უარყოფით პიროვნებად არ უნდა აღიქვა"*

ზაფხულის ბოლოდან მოყოლებული, ლოტკინის დასახლებას შუქი, ფაქტობრივად, არ მიეწოდება. **"არის დღეები, როცა სინათლე საერთოდ არ გვაქვს. ხანდახან მოვა, მაგრამ იმდენად დაბალი სიხშირით, რომ ვერაფერში ვიყენებთ. ძალიან ცუდ დღეში ვართ. რაც გაზი გამოირთო, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ველარაფრით ვთბებით, სრული გამყინვარებაა! ასე როდემდე ვიქნებით?"** - კითხულობს იქაური მკვიდრი მეგონა ახობაძე.

ლოტკინის დასახლება რომ მძიმე ენერგეტიკულ პირობებში ცხოვრობს, ამას არც "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელობა მალავს. **"როცა ადამიანი უსიამოვნო სიმართლეს გეუბნება, უარყოფით პიროვნებად არ უნდა აღიქვა,** - ამბობს იგნასიო ირიბარენი. - **მე რომ უარყოფითი პიროვნება ვყოფილიყავი, საქართველოში არ ვიქნებოდი. ეს უბანი თბილისის ქსელში ერთ-ერთი ყველაზე ცუდად გადამხდელი უბანია. ახლა, აქ მოსვლამდე, თქვენი ქუჩები ამოვიარე და არალეგალური ელექტროხაზების მთელი ქსელი ვნახე. "ეი-ი-ესი" გამანაწილებელი ორგანიზაციაა და, თუ აბონენტი გადასახადს არ გადაიხდის, კომპანიას ელექტროენერგიის შესყიდვისა და შემდგომი მიწოდების საშუალება აღარ ექნება. ვფიქრობ, იმ პრინციპით, რაზეც თქვენს დეპუტატთან და გამგებელთან შევთანხმდით, ვითარების გამოსწორება შეიძლება. მთავარია, ჩვენი თანამშრომლობა ორმხრივი იყოს."**

შეთანხმების მიხედვით, რომელზეც ირიბარენი საუბრობს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით, ოჯახმა თვეში 10 ლარი უნდა გადაიხადოს. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს თანხა მოსახლეობას წყალში არ ჩაეყრება, "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებულებას იღებს, სულ ცოტა, ორი კვირის განმავლობაში, დასახლებას შუქი ქალაქში დაწესებული გრაფიკის მიხედვით მიაწოდოს, დილით - 3-4, საღამოს კი - 7-8 საათის განმავლობაში. გადახდილ თანხაზე ქვითრები გამოიწერება, ფულის აკრეფა კი ყოველი ქუჩიდან თითო მცხოვრებს დაევალება.

**"თუ დასახლება ამ შეთანხმებას არ დაარღვევს, პირობას ვიძლევი, რომ ელექტროენერგია უწყვეტად გექნებათ. სხვანაირად არაფერი გამოვა,** - აცხადებს მერაბ სამადაშვილი. - **125 ოჯახი რომ ერთი ფიდერიდან იკვებება და იქიდან მხოლოდ 3 ლარია გადახდილი, ამას რა ჰქვია? მესმის, რომ არიან ოჯახები, რომლებსაც 10 ლარის გადახდაც არ შეუძლიათ, მაგრამ რამდენია ასეთი? დიდ ნაწილს USAID-ის პროგრამა აძლევს შეღავათს. არ ვლაპარაკობთ 100-პროცენტიან გადახდაზე! 80 პროცენტმა გადაიხადოს და აღარ იტყვით, დაჩაგრული რაიონი ვართო."**

USAID-ის მიერ დაფინანსებული, გლდან-ნაძალადევის რაიონში მცხოვრები უმწეოების დიდი ნაწილი, სწორედ ლოტკინის დასახლების მკვიდრია. დედაქალაქის სხვა რაიონებს შორის ეს დასახლება აშკარად მძიმე სოციალური მდგომარეობით გამოირჩევა. ამის გამო, 10 ლარი თვეში - ელექტროენერგიის საფასურად, ბევრს ნამდვილად ეძვირა. "ამდენი რომ შუქში გადავიხადო, საჭმელი რითი ვიყიდო?" - გაისმა კიდეც დარბაზის სიღრმიდან. პასუხიც იქვე მოიძებნა: "ჯობს, ეს გადავიხადოთ, თორემ, დადგამენ მრიცხველს და მერე ნახეთ, რამდენი მოგვივა!"

XXI საუკუნის საქართველოში ადამიანები საკვებსა და სინათლეს შორის არჩევნის წინაშე დგანან.

მიეცით ხალხს სამსახური და გადაიხდიან!

## გათბით ცივილურად

### საკრებულო თბომომარაგების ალტერნატიულ საშუალებებზე ალაპარაკდა

*დედაქალაქის საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის კომისია ახალი ინიციატივით გამოდის - თბილისელებს სთხოვს, რადიატორების ჭრისგან თავი შეიკავონ. კომისიის თავმჯდომარე, ზურაბ მინდელი, ცენტრალური გათბობის "მძივივით აწყობილი" სისტემის აღდგენას აპირებს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მოწონებული ცენტრალური გათბობის აღდგენითი პროგრამა, რომელიც წელიწადში ერთი მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის დაზოგვის საშუალებას იძლევა, გუშინ სამინისტროს თბოტექნიკის განყოფილების უფროსმა ნელი ვერულავამ წარმოადგინა.*

ეთერ მამულაშვილი

დედაქალაქის თბომომარაგების ეფექტიანი და უსაფრთხო სისტემის აღდგენას, პროექტის ავტორთა გაანგარიშებით, დაახლოებით, 140 მილიონი ლარი ესაჭიროება. თანხის მობილიზებას ისინი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან, უცხოური და ადგილობრივი ინვესტორებიდან გეგმავენ. გარკვეული თანხის გაღება მოსახლეობასაც მოუწევს. მართალია, თბომომარაგების ალტერნატიული ვარიანტით ერთდროულად თბილისის ყველა უბნის უზრუნველყოფა არ მოხერხდება, მაგრამ საპილოტო-სადემონსტრაციო პროექტი უკვე გაზაფხულიდან დაიწყებს განხორციელებას. გათბობა-ცხელწყალმომარაგების საჩვენებელი პროექტი დედაქალაქის რამდენიმე მნიშვნელოვან შენობაში (მათ შორის, ბაგა-ბაღებში) მოეწყობა. საკრებულო პროექტის ავტორებს ჰპირდება, რომ საცდელი პროგრამისთვის საჭირო 100 000 ლარი ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

თბომომარაგების ამ პროექტის არსი შემდეგში მდგომარეობს: ვინაიდან თბომეურნეობის აღდგენა თითქმის შეუძლებელია, პროექტის ავტორები, გათბობითა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის, მცირე მასშტაბის საქვაბეების დამონტაჟებას საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში გეგმავენ. ნელი ვერულავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ დანახარჯების შესამცირებლად სამამულო წარმოების წყალგამაცხელებელი ქვაბების გამოყენებას აპირებენ. ასეთი ქვაბების გამოშვება რუსთავის ლითონ-კონსტრუქციების ქარხანამ ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო. **"საწვავი, რომელსაც მოსახლეობა გასათბობად ხარჯავს და რომელიც ბინებში ჰაერს აბინძურებს, ეზოებში დაიწვება. თბორესურსები კი სახლებში სპეციალური გაყვანილობით შევა",** - ასე აგვიხსნა ნელი ვერულავამ.

მისი თქმით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, გათბობა-ცხელი წყლით უზრუნველყოფა თითოეულ ოჯახს თვეში, საშუალოდ, 35-40 ლარი დაუჯდება. **"სამაგიეროდ, სუფთად უსაფრთხოდ და ცივილურად გათბებიან",** - დაამატა ზურაბ მინდელმა.

პროექტი, რომლის საერთო ღირებულება სახელმწიფოს მთლიანი ბიუჯეტის ერთი მეათედია, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ განხორციელდეს. ავტორებს საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი იმედი აქვთ. სავარაუდო დონორებს წერილები უკვე გაეგზავნათ. პასუხის მიღებამდე კი ზურაბ მინდელი თბილისელებს ურჩევს: **"შეწყვიტეთ რადიატორების მოჭრა, თორემ ახლო მომავალში მისი ყიდვა მოგიწევთ".**

## ინფორმაცია

### ენგურჰესზე წყლის რეზერვი ამოიწურა

"ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს თელასი" რუსეთის ერთიან ენერგოსისტემასთან ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე ხელშეკრულებას დღეს გააფორმებს", - განაცხადა დღეს „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა თბილისის მერთან ვანო ზოდელავასთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, ბოლო სამი დღის განმავლობაში კომპანია ელექტროენერგიას შეზღუდვებით იღებს. ირიბარენის ინფორმაციით, გუშინდელი და დღევანდელი მონაცემებით, თელასს 150-180 მგვტ-მდე ელექტროენერგია მიეწოდება. რუსეთიდან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დედაქალაქი დამატებით 120-150 სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს. ირიბარენის თქმით, ელექტროენერგიის იმპორტის თანხებს „ეი-ი-ესი" გადაიხდის. მისი ინფორმაციით, ენგურჰესზე, საიდანაც ძირითადად დედაქალაქი მარაგდება, წყლის რეზერვი თითქმის ამოიწურა. როგორც ჟურნალისტებს ვანო ზოდელავამ განუცხადა, ვიდრე გაზის მიწოდება არ აღდგება, თბილისში არსებული გრაფიკი შენარჩუნდება. ამ საათისთვის ცნობილი გახდა: „ეი-ი-ეს თელასმა" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე ხელი მოაწერა. **მედია-ნიუსი**

### რუსეთმა საქართველოს სუვერენიტეტი კავშირგაბმულობაშიც დაარღვია

"რუსეთმა საქართველოს სუვერენიტეტი დაარღვია არა მარტო ტრანსპორტის, არამედ კავშირგაბმულობის სფეროშიც", - განაცხადა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა. ერთი კვირის წინათ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რუსეთის რადიოსიხშირეების მთავარი ცენტრის წერილი მიიღო, რომელიც ადლერში ახალი რადიოსარელეო სადგურის ამოქმედებას ეხებოდა. კომისიის ცნობით, ამ სადგურის რადიოსიხშირეები საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდება, ამიტომ, საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, აუცილებელია ქართული მხარის თანხმობა. კომისიის ცნობით, წერილში მითითებულია ამ კავშირის მეორე მხარე - ბიჭვინთის სადგური (აფხაზეთი), რომელიც მოხსენიებულია როგორც კრასნოდარის ოლქში მდებარე „როსტელეკომის" საკუთრება.

კომისიაში აცხადებენ რომ რუსეთი აფხაზეთთან დაკავშირებით ხშირად უშვებს მსგავს „შეცდომებს". გუშინ კომისიამ კვლავ მიიღო წერილი რუსეთიდან, სადაც ბიჭვინთის სადგურის ადგილმდებარეობა საქართველოს სასარგებლოდაა შეცვლილი, ხოლო მესაკუთრედ კვლავ „როსტელეკომი" დარჩა. მომხდართან დაკავშირებით კომისიამ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრებს. კომისიაში აცხადებენ, რომ ადლერის სადგურის ამოქმედებაზე თანხმობას მხოლოდ რუსეთის მხრიდან დარღვევების აღმოფხვრის შემთხვევაში გასცემენ.

მერაბ ადეიშვილი საპროტესტო წერილით რუსეთის რადიოსიხშირეების მთავარ ცენტრს და ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირს მიმართავს. **მედია-ნიუსი**

## შვილობილობის კანონმდებლობა დასახვეწია

### უპატრონო ბავშვების პრობლემა კი მარტო კანონის ბრალი არ არის...

*გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში შვილად აყვანისა და შვილობილობის პრობლემებზე დისკუსია გამართა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორმა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ საკითხებს ყოველდღიურად ეხებიან: არასამთავრობოები, როგორც საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციების შვილობილები და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც, NGO-თა შუამავლობითა და კერძო ინიციატივით, ბავშვებზე პასუხისმგებელნი არიან.*

ირინე სანებლიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამომადგენლობის თავმჯდომარის ჰამლეტ ჭიპაშვილის თქმისა არ იყოს, ალბათ, არავისა აქვს იმის ილუზია, რომ შვილად აყვანისა და შვილობილობის პრობლემები საქართველოში დისკუსიით გადაიჭრება. გუშინდელი შეხვედრის მიზანი ის იყო, რომ "საზოგადოებაში არ დარჩეს ამ საკითხის მიმართ ზერელე დამოკიდებულება, ხოლო ტენდენცია, რომ საზოგადოებას უამრავი პრობლემა აქვს და თითოეულ მოქალაქეს - საკუთარი შვილის პრობლემები, შეიცვალოს", - გვითხრა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.

დისკუსიამ ლოგიკური ტრანსფორმაცია განიცადა და თემა - "შვილად აყვანისა და შვილობილობის პრობლემები საქართველოში" - უპატრონო ბავშვთა პრობლემების გადამჭრელი გზების ძიებით შეიცვალა. ძირითადი თემისგან არცთუ რადიკალურად განსხვავებულ პრობლემებზე საუბარში მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ: სხვადასხვა, ძირითადად კი, სოციალური მიზეზით ქუჩაში გამოსული ბავშვები მიტოვებული არიან ოჯახისგანაც და სახელმწიფოსგანაც.

ბატონმა ჭიპაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ, ისევე, როგორც სხვა პრობლემები საქართველოში, შვილად აყვანის, შვილობილობისა და უპატრონო ბავშვების საკითხებიც, გადაუწყვეტელი და მოუგვარებელია: "უცხოური გრანტები და დახმარებები საკმარისი არ არის. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სისტემა, უმთავრესად, კანონმდებლობის კუთხით და, რაც მთავარია, გამოიჩინოს ელემენტარული სურვილი, რომ ამ ბავშვებზე რეალურად იზრუნოს. ამ სისტემაში მოსაწესრიგებელია განათლების პრობლემაც. უნდა შეუქმნას მეურნეობები, სადაც ბავშვები, ვისთვისაც დღეს მათხოვრობა და ქურდობა უფრო ადვილია, პატარაობიდანვე დასაქმდებიან".

რაც შეეხება ბავშვთა გაშვილების პრობლემას, ამ პროცესის მიზანი ხომ ბავშვთა უფლებების დაცვაა - გაიზარდოს ოჯახურ გარემოში, რომელიც აღიარებულია ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციით.

ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებზე საუბრისას პედიატრმა ყარამან ფალავამ აღნიშნა: "ასეთ დაწესებულებებში, რაც უნდა კარგი პირობები შევქმნათ, ბავშვის ფსიქომოტორული და ინტელექტუალური განვითარება ძნელად მიმდინარეობს". ბატონმა ყარამანმა ბავშვების ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებში მოხვედრის მიზეზებიც განიხილა. მისი თქმით, ბავშვები ამ დაწესებულებებში ხვდებიან ან სოციალური პირობების გამო, ან მაშინ, როცა ბავშვი მძიმე ავადმყოფია. უმთავრეს მიზეზად კი მან ის დაასახელა, რომ საზოგადოებაში არ არსებობს სექსუალური განათლება და კულტურა.

"UNICEF"-ის განათლებისა და ბავშვთა პროგრამების ხელმძღვანელი მაია ყუფარიძეც გაშვილებას უფრო ლოიალურად უყურებს, ვიდრე ბავშვის ინტერნატში გაჩერების საკითხს. იგი თვლის, რომ "დახურული ტიპის დაწესებულებები ბავშვებს ეზიზღებათ" და, ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა, ამ მიზეზითაც გამოდიან ქუჩაში. "თავშესაფრისა და საკვების გარდა, ეს ბავშვები საჭიროებენ განათლებისა და განვითარების პროგრამებს", - თქვა მაია ყუფარიძემ. მისი აზრით, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მთლიანი სისტემის დეინსტიტუციონალიზაციაა საჭირო. პირველ რიგში კი, ყველაზე მეტად, თავად ბავშვების აზრის გაზიარებაა აუცილებელი.

საერთაშორისო ორგანიზაცია "Every Child"-ის წარმომადგენელი მანანა თურმანიძე მიიჩნევს, რომ პატარები, ძირითადად, სწორედ ბავშვთა სახლებიდან ხვდებიან ქუჩაში და ასეთი ბავშვები პოტენციური დამნაშავეები არიან.

დისკუსიას ესწრებოდა იურისტი, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს "კანონი შვილად აყვანის წესის შესახებ" დამაკმაყოფილებელია და ბევრ ცვლილებას არ საჭიროებს. მისი აზრით, პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფომ, პირველ ყოვლისა, სოციალური პრობლემის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს.

ამ ნათქვამმა საზოგადოება აახმაურა. განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თქმით, "რეალურად, 400-მდე მშვილებელი არსებობს, მაგრამ იმის გამო, რომ დედათა მეორადი ხელწერილები არა გვაქვს, ბავშვთა გაშვილება ვერ ხერხდება". საქმე ის გახლავთ, რომ, არსებული კანონმდებლობით, ახალდაბადებული ბავშვის დედამ, გაჩენის დღიდან ექვსი თვის თავზე, უნდა წარმოადგინოს მეორადი ხელწერილი, რომლის საფუძველზეც გაშვილება კანონიერად ჩაითვლება.

ვიდრე ბავშვთა შვილად აყვანისა და შვილობილობის კანონმდებლობა დაიხვეწებოდეს და უპატრონო ბავშვების პრობლემები გადაწყდებოდეს, საზოგადოების წარმომადგენლები, გუშინდელის მსგავსად, კიდევ ბევრჯერ შეიკრიბებიან.

## მოკლედ

**ქუთაისი.** დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა საჭირო სოფელ ხრეითიდან მოსახლეობის ევაკუაცია, გეოლოგები ერთ კვირაში გამოაქვეყნებენ. ამასობაში კი მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაზიანებული სახლები შეიძლება, მცირე წვიმამაც კი დაშალოს. დღეს გეოლოგებმა ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად შექმნილი მდგომარეობის შესწავლა დაასრულეს, თუმცა დეპარტამენტს დასკვნის გამოქვეყნებისათვის ერთი კვირა სჭირდება. როგორც ჭიათურის გამგებელმა დავით ივანიშვილმა განაცხადა, ხრეითში 2500 კომლი ცხოვრობს, ჯერჯერობით ხრეითში არცერთი სახლი არ დანგრეულა. 21 იანვარს ჩამოწოლილი მეწყერი სოფლის 10 მოსახლესთან 10-15 მეტრის დაშორებით შეჩერდა. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**ახალციხე.** ახალციხეში ყინვების გამო სასწავლო პროცესი შეწყდა. 3 თებერვლამდე სასწავლო პროცესის შეწყვეტის თხოვნით სასკოლო ოლქის ხელმძღვანელობას განათლების ახალციხის რაიონულმა განყოფილებამ მიმართა. რაიონის გამგებელის რაულ სამსონიძის განცხადებით, უკანასკნელ პერიოდში ახალციხეში ტემპერატურა ხშირად მინუს 20 გრადუსამდეც ეცემა, რის გამოც სკოლებში საკანალიზაციო სისტემა გაიყინა და ეპიდაფეთქების საშიშროება შეიქმნა. **ინტერ-პრესი**

## ქართველ პროფესიონალთა თვალით დანახული ამერიკა

*საქართველოში არსებული "ამერიკის შესწავლის ცენტრი" სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ოცდაათამდე წევრს აერთიანებს. დაარსების დღიდან, მათ ოთხი საერთაშორისო კონფერენცია მოაწყვეს, ახლა კი მეხუთის ჩასატარებლად ემზადებიან. გუშინ მათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი კრებულის - "ამერიკის შესწავლის საკითხების" - პრეზენტაცია მოაწყვეს.*

თამარ დვალი

"ამერიკის შესწავლის ცენტრს" 1994 წელს, "ამერიკანისტიკის" ლაბორატორიის დაარსებით ჩაეყარა საფუძველი. 2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაფართოვდა შესასწავლი საკითხების სპექტრი და გასცდა ისტორიისა და პოლიტოლოგიის ფარგლებს, მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ამერიკის შესწავლის ცენტრის" სტატუსი მიიღო. იგი აერთიანებს ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებულ პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებს, მაგისტრებსა და სტუდენტებს. "ამერიკა წარმატების სიმბოლოა და ყველა ცდილობს, მას მიბაძოს. ჩვენი მიზანია, გავაერთიანოთ საქართველოში არსებული ინფორმაცია შეერთებული შტატების შესახებ და პროფესიულ დონეზე წარვუდგინოთ ქართულ საზოგადოებას. გვინდა, ამ კრებულში გავაერთიანოთ ამერიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გამოცდილება, რათა მან კონკრეტული დახმარება გაუწიოს ქართველ სპეციალისტებს", - განაცხადა ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ.

კრებულში თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლით დასაქმებულ და დაინტერესებულ მეცნიერთა და სტუდენტთა სტატიები. კრებული გამოვიდა ამერიკის საელჩოს დაფინანსებით. მეხუთე კონფერენციისთვის მზადება (ის მაისში გაიმართება) უკვე დაიწყო. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ასოციაციის თანამშრომლებთან ერთად, განიხილავენ იმ თემებს, რომლებიც საინტერესო იქნება ქართული საზოგადოებისთვის.

წლეულს უნივერსიტეტი "ამერიკანისტების" პირველ ნაკადს გამოუშვებს.

უნივერსიტეტში არსებულ ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას ამერიკის საელჩომ 600-მდე დასახელების ჟურნალის დისკები გადასცა. ახლო მომავალში ბიბლიოთეკას რამდენიმე კომპიუტერს აჩუქებენ.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# პოლიტიკაში მყოფი ადამიანი მაკედონელის ამბიციით უნდა იყოს შეპყრობილი და არა - გოჭის...

*...უბიუჯეტო ქვეყანას გარეშე მტერი შემოსევია და შინააშლილობაც მძვინვარებს... ხომ ჰგავს გურამიშვილს? ერთადერთი პოზიტიური მოვლენა, რაც ამ ბოლო ხანს მოხდა, საფრთხეში მყოფი ქართველი ალპინისტების მშვიდობიანი დაბრუნებაა. პოლიტიკაში კი - ოპოზიციის მოსალოდნელი გაერთიანება. მწარე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში არც ერთი გაერთიანება არ ხდება დიდი ხნით, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროიდან (როცა ეს ტრადიცია დამკვიდრდა), დღემდე ბევრი რამ შეიცვალა და პირველ რიგში, ის, რომ ხალხს ბრმად აღარ სჯერა ხელისუფლების, ნაკლებად იმედიანად უყურებს მომავალს და რაც მთავარია - მისი მოტყუება ასე ადვილი აღარ არის. თავად ოპოზიცია როგორ უყურებს ამ გაერთიანებას, რას ელის ხელისუფლებისგან და სწორედ დღეს რატომ დადგა გაერთიანების დრო - გვესაუბრება პარლამენტარი, "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი ვასილ მაღლაფერიძე.*

მაია ქალაბანიძე

**- რას დაარქმევდით დღევანდელ პარლამენტს...**

- მარტივად დავარქმევდი - პარლამენტს. პარლამენტში რომ ქაოსი, ხმაური და ზოგჯერ ჩხუბია, ეს არ არის მთავარი პრობლემა. მთავარი პრობლემაა ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ აზრზე მაღლა (თუ საერთოდ გააჩნიათ ასეთი რამ) აყენებენ ბრძანებას, ტელეფონის ზარს. პარლამენტარს ევალება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ცუდი ან კარგი და სხვას გადააბაროს პასუხისმგებლობა.

კომუნისტებმა ადამიანები სერიოზულად გაწვრთნეს. როგორც ჯარისკაცი სწორდება ბრძანება смирна-ზე, ისე ავტომატურად სწორდებიან ბრძანებებზე... არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვისაც ქრთამავენ - ესენი ცალსახად კრიმინალები არიან, ვსაუბრობ ადამიანებზე, ვისაც ნებელობა აქვთ დაქვეითებული. სამწუხაროდ, ასეთები ბევრნი არიან. შეხლა-შემოხლა და ჩხუბი, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ტრაგედია არ არის - ეს ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტარისთვისაა დამახასიათებელი. უბრალოდ, ჩვენ არ ვართ მიჩვეული ამას. იქ, სადაც აზრთა სხვადასხვაობაა, ბუნებრივია, ასეთი რამ მოხდება. ვერ ვიტყვი, რომ წინა პარლამენტებზე უარესი პარლამენტია, პირიქით, პროცესებში გარკვეული წინსვლაც არის.

**- რა ჰქვია იმ თამაშებს, ბიუჯეტის კანონის მიღებისას ღამის 3 საათამდე რომ თამაშობდით?**

- მათ, ვისაც ხმა უნდა მიეცათ ბიუჯეტისთვის, დილიდან დავა დაიწყეს, რადგანაც ვერ ინაწილებდნენ ინტერესებს. ისე გახდა საღამოს 10 საათი, რომ ვერ გადაინაწილეს და ბიუჯეტი ვერ შემოიტანეს. პარალელურად აფხაზეთის საკითხი იხილებოდა... არ შეიძლება, ბიუჯეტი ასე გადიოდეს. პრეზიდენტი კი ამბობს, რომ ბიუჯეტის ჩაგდებით ნიშნის მოგება არასახელმწიფოებრივ აზროვნებაზე მიანიშნებსო, მაგრამ არა მგონია, პრეზიდენტმა არ იცოდეს ის ხერხები, რომლითაც ბიუჯეტის მიღება ხდება და ამას სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუში ეწოდოს... ამას სხვა - ცუდი სახელი ჰქვია.

**- იქნებ გვითხრათ, რატომ წელავენ დროს ხელოვნურად, როდის და რა პრინციპით მიდიან ფრაქციები მიკროფონებთან, რატომ კითხულობენ ერთს და პასუხობენ მეორეს... ეს წერია კანონში დეპუტატის შესახებ?**

- ეს ყველაფერი საპარლამენტო ბრძოლის ხერხებია, ოღონდ რეგლამენტის ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს. ამან არ უნდა გაგვაღიზიანოს. ერთ ჯგუფს უნდა ბიუჯეტის გატანა, მეორეს - არა. თითოეულ ფრაქციას რეგლამენტით აქვს უფლება, კენჭისყრის წინ შესვენება მოითხოვოს. ჩვენ მოვითხოვეთ შესვენება და ეს დროის გაყვანის მიზნით არ გაგვიკეთებია. ჩვენ რომ ხმების მოგროვება გვჭირდებოდეს და ვიცოდეთ, რომ ჩვენი მომხრეები მოდიან, ასეთ დროს შესვენებას აზრი აქვს. ამ შემთხვევაში ამას აზრი არ ჰქონდა. დათვლილი გვყავდა დეპუტატები და გვინდოდა, რომ რეგისტრაციის ფურცელი ამოგვებეჭდა და შეგვემოწმებინა. აი, ამისთვის მოვითხოვეთ შესვენება. აღმოჩნდა, რომ სამი ადამიანი მართლაც არ იყო დარბაზში, ხმა კი მიცემული ჰქონდა... პარლამენტი აზრთა ჭიდილის ადგილია, ამიტომაც, ყველა დადგენილი მეთოდით მიმდინარეობს ბრძოლა. მეთოდების რეგლამენტს მიღმა გამოყენება კი არასწორია.

**- რეალურად რომ ვისაუბროთ, რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს შანსი, დამოუკიდებლად გადალახოს 7 პროცენტიანი ბარიერი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში?**

- სხვათა შორის, მოვლენების პროგნოზირებისას ძალიან არ ვცდები ხოლმე. მაგალითად, კენჭისყრის შედეგებს დიდი სიზუსტით ვხვდები. ბიუჯეტზეც ზუსტად გამოვიცანი ხმების რაოდენობა... ასე რომ, ჩემი აზრით, 7 პროცენტიან ბარიერს დამოუკიდებლად ნამდვილად გადალახავენ "ნაციონალები", "ლეიბორისტები", "აღორძინება", "ახლები" და ჩვენ, "დემოკრატები". ვერ დავუკარგავ და ვიტყვი, რომ გადალახავს კანცელარიის პარტიაც. არ გამოვრიცხავ, რომ ამ პარტიამ სხვა სახელით გადალახოს. დაიმახსოვრეთ - ვფიქრობ, რომ ეს რაღაც გაუგებარი კონგლომერატი იქნება, რისი ნიშნებიც დღეს ჩანს. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. სავარაუდოდ, მათ მაქსიმუმ 30-35 ადამიანის გაყვანა შესძლონ. ეს იმის გამო არ მოხდება, რომ მათ ენდობიან. უბრალოდ, ისინი გამოიყენებენ სახელისუფლო ბერკეტებს... ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის შანსი სხვას არავის აქვს.

**- რატომ არ აძლევენ ბიუჯეტს ხმას "გაერთიანებული დემოკრატები"?**

- ჩვენს ფრაქციას კიდევ აქვს მცირე იმედი, რომ ბიუჯეტს ხმას მისცემს. ჩვენ ხმა არ მივეცით ცუდ ბიუჯეტს. ძირითადად, ორი მიმართულებით გვაქვს პრეტენზია... პირველი - მინიმალური 115 ლარი. დიდი დავის მერე, როცა გაინაღდეს და ბიუჯეტი პირველი მოსმენით მიიღეს, მინისტრმა დაგვიდასტურა, რომ ამას მართლაც 115 მილიონი სჭირდება. მოგეხსენებათ, ბიუჯეტში, საშემოსავლო ნაწილში 200 მილიონის მატება ნამდვილად ჩადეს და შესრულებასაც აპირებენ. ჩვენ შევთავაზეთ, რომ ეს ხელფასებისკენ მიემართათ, რაზეც გვიპასუხეს, რომ ეს პროცესი ინფლაციას გამოიწვევდა. მატება წავა რემონტებში, მშენებლობებში, ჯიპებში და ა.შ. ეს იქნება "ატკატები". ე. ი. თუ 200 მილიონი ჩინოვნიკთა ჯიბეში დაივანებს, არ გამოიწვევს ინფლაციას, ხელფასებისკენ მიმართვის შემთხვევაში - გამოიწვევს. ეს აბსურდია...

მეორე პრეტენზია - აფხაზეთის თემა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობა რომ არის და აფხაზეთის დაკარგვის პირას ვდგავართ, ამაზე არავინ დაობს. პროცესი მიდის, მაგრამ უკან. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის (პასპორტები, კავშირგაბმულობა, რკინიგზა), რომ აფხაზეთი დე-იურედაც დაიკანონოს. რუსეთი დღეს თვითონ გვემუქრება თავისი ჯარების გაყვანით - თქვენს სისხლიან პრობლემებს თავად მოუარეთო... და რუსეთს ამ საკითხში უნდა ენდო - აასრულებს (არაერთხელ დავრწმუნებულვართ). რუსეთმა რომ ჯარი გაიყვანოს, პირველი მსხვერპლი აფხაზეთის ქართველობა იქნება. პარლამენტის იმ ფრაქციებსა და იმ აღმასრულებლებს, ვინც საომრად მიიწევს - მინდა ვკითხო - ეს ფული ბიუჯეტში სადმე დევს? ნორმალური მთავრობა ამ 200 მილიონს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ჩადებდა (არ ვამბობ, რომ ომისთვის). მტერმა უნდა დაინახოს, რომ რაღაცას მართლა აპირებ. სხვაგვარად ყველა საუბარსა და ომისკენ გაქაჩვ-გამოქაჩვას კიტრის ფასი აქვს... ახლავე უნდა დაიწყო მზადება... ბოლოს 80 მილიონის ჩადებას ვთავაზობდით, ლტოლვილები მოვიდნენ და ეხვეწებოდნენ, ის 14 ლარიც არ გვინდა, ჩვენი ფული ამაში ჩადეთო... არ გააკეთეს და იცით, რა იყო პასუხი? ჩვენ 129 ხმა გვაქვს, ბიუჯეტს მაინც გავიტანთ, თქვენი აზრი საერთოდ არ გვაინტერესებსო... დღეს კი სამშვიდობო ძალების გასაყვანად ჩვენი ბიუჯეტი მზად არ არის.



*ვასილ მაღლაფერიძე*

**- რა არის ის შეცდომა, რაც პირველად დაუშვა ხელისუფლებამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისას და რამაც დღეს აქამდე მიგვიყვანა?**

- ხელისუფლება წლების მანძილზე გვატყუებდა. ერთადერთი სამხედრო საიდუმლოება, რაც ჩვენს სახელმწიფოს აქვს, აღმოჩნდა ის, რომ სინამდვილეში აფხაზეთთან დაკავშირებით არანაირი გეგმა არ გააჩნია და არც არავინ იცის, რას აპირებს პრეზიდენტი. ერთადერთი არსებული გეგმა ასლან აბაშიძის არის (მოგვწონს თუ არა, ეს სხვა საკითხია). ის პრეზიდენტის მიერ დანიშნული წარმომადგენელია, ე.ი. - აღმასრულებელი. მეორე აღმასრულებელი კი, რომელმაც ამის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო, გუბერნატორი შაშიაშვილი იყო და საომრად წასვლას დაგვპირდა... აფხაზეთის საკითხი პრეზიდენტმა შიდა ინტრიგებისთვის - აბაშიძისა და ნადარეიშვილის გადასაკიდებლად გამოიყენა...

**- თქვენი პარტია ერთ-ერთი ინიციატორია ოპოზიციის საყოველთაო გაერთიანებისა. რა მნიშვნელობა და პერსპექტივა აქვს ამ გაერთიანებას დღეს?**

- ამ გაერთიანებას ერთი კონკრეტული ავტორი არ ჰყავს. ავტორი თავად ცხოვრებაა... ყველა შეხვედრაზე, სადაც კი ვყოფილვარ, თავად ადამიანები ითხოვენ ამ გაერთიანებას.

საქმე ისაა, რომ იწყება ძალზე მნიშვნელოვანი პოსტშევარდნაძისტული პერიოდი. შევარდნაძე მარტივი ფენომენი არ არის. პრეზიდენტს ახლავს ქარიზმა, ჭარბად აქვს ერთადერთობის და განუმეორებლობის შეგრძნება და დღეს საქართველოში არსებული სისტემა მნიშვნელოვნად ეფუძნება ამ ერთ პიროვნებას და არა კონსტიტუციასა და კანონებს. ახლაც ვამბობ, რომ მან მართლაც ბევრი რამ გააკეთა... მაგრამ ჩემი და ქვეყნის სამწუხაროდ, მან, საბოლოო ჯამში, ძალიან ბევრ რამეს გადაუსვა ხაზი და ამას დღემდე აგრძელებს. ეს ჩვენი შვილების გადასახადი იქნება. ის ტოვებს ქვეყანას, რომელშიც აბსოლუტურად დამკვიდრებულია კორუმპირებული მართვის სისტემა... მან კარგად ჩამოაყალიბა და ააგო ის სისტემა, რაც იცოდა. დღეს ცალკეა კონსტიტუცია და კანონები და სულ სხვაა რეალობა. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება, მაგრამ არ არსებობს ერთი ისეთი პარტია, რომელიც ხელში აიღებს მმართველობას, ამიტომაც იმ ძალებმა, რომელთაც საერთო პრინციპები აქვთ (ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერში ეთანხმებიან ერთმანეთს), უნდა აიღონ კოალიციური პასუხისმგებლობა. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

მეორე მხარე აუცილებლად იბრძოლებს კორუფციული პირამიდის შესანარჩუნებლად. ამიტომაცაა გაერთიანება დადებითი მომენტი... თუმცა, ოპოზიციაც პირობითი რამეა. ჩვენი კონსტიტუცია აბსოლუტურად არ არის მორგებული ჩვენს ქვეყანაზე. დაახლოებით იგივეა, "ფორდის" ჩონჩხი რომ აიღო და "ზაპოროჟეცის" ნაწილები მიუყენო. ამერიკაში, სადაც ტრადიციულად ორი პარტიაა (რესპუბლიკელები და დემოკრატები), აუცილებლად იქნება უმცირესობა და უმრავლესობა. ჩვენთან დღეს არ არსებობს უმრავლესობა, რომელიც თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას, ოპოზიციაც არ არის გაფორმებული. ვინ რას აკეთებს და ვინ რაზეა პასუხისმგებელი, არავინ იცის... ჩვენი კონსტიტუცია გაერთიანებისთვის პირობებს არ ქმნის. ჩვენი უმრავლესობა მთავრობის ფორმირებას არ ახდენს, კონსტიტუციის მიხედვით იგი მმართველი ძალა ვერ იქნება. ერთადერთი ნიშანი, რის მიხედვითაც უნდა გაერთიანდე, არის დაპირისპირება პრეზიდენტთან, ან მეორე - პრეზიდენტის კუდი უნდა იყო... პარლამენტის ფუნქცია და პასუხისმგებლობა იკარგება. ამიტომაცაა, რომ ვთქვათ, გამგებლის არჩევითობაზე ერთი ფრაქციიდან სამი აძლევს ხმას, ორი - არა, ლიდერები აძლევენ, სხვები - არა და ა.შ. მთავრობამ თავად შექმნა ეს კრიზისი და ამიტომაც ახლა ბიუჯეტის გატანის გამო ვაჭრობა უხდება. დღეს პარლამენტში ვერც ერთ ჯანსაღ წამოწყებას ვერ გაიტან... ასეთი ვითარება რომ არ იყოს, საწყისი პირობები უნდა შეიცვალოს - არჩევნების გზით, რა თქმა უნდა.

**- რამ შეიძლება დაამარცხოს ოპოზიციის გაერთიანება? ცხადია, მზად უნდა იყოთ ყველაფრისთვის...**

- თუ ეს გაერთიანება მოხერხდა, მივესალმები. არჩევნებში გაერთიანება გაიმარჯვებს და სწორედ ეს იქნება ხავერდოვანი შეცვლა. მისი დამარცხება კი მხოლოდ ფიზიკურ ძალას შეუძლია. ამაში შეიძლება ვიგულისხმოთ ის საარჩევნო კანონი, რომელიც ჩუმად მზადდება და სადაც დევს ასეთი პუნქტი: არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ პარტიებმა, ვინც 1999 წელს გადალახა 7 პროცენტიანი ბარიერი... სხვათა შორის, ამას, ჩემდა გასაკვირად, "მოქალაქეებიც" და "მრეწველებიც" მიესალმებიან. მაგრამ ეს საერთოდ არაფერს ნიშნავს, რადგან რეალობას ძალზეა აცდენილი... აშკარაა - დემოკრატიულ ოპოზიციას მოსახლეობაში გაცილებით მეტი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ხელისუფლებას.

ჩვენთან რომ ნორმალური საარჩევნო ვითარება იყოს, ამგვარი საპარლამენტო კრიზისისას პარლამენტი უნდა დაიშალოს და ხელახალი არჩევნები ჩატარდეს.

ამაზე მოგვიგებენ, რომ არჩევნები ქვეყანას ძალზე ძვირი, დაახლოებით, 5-6 მილიონი უჯდება. მე კი გეტყვით, რომ ეს თითოეულ მოქალაქეს იმაზე 10-ჯერ ნაკლები დაუჯდებოდა, ვიდრე ამ ბიუჯეტს ცალკეულ დეპუტატთა ინტერესების დაკმაყოფილება.

**- თავადვე აღნიშნეთ, რომ დღეს პარლამენტში ჯანსაღი აზრის გამარჯვება შეუძლებელია. როგორ ფიქრობთ, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უკვე მოახერხა პარლამენტის დისკრედიტაცია?**

- თუ მივიჩნევთ, რომ ამაზე მეთოდურად და მიზანმიმართულად მუშაობენ - კითხვა ბუნებრივია. ამას ხელისუფლება მხოლოდ ერთი პრაგმატული მოსაზრების გამო ცდილობს - მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს. სინამდვილეში კი სიმართლის ნაპერწკალი დღეს მხოლოდ პარლამენტშია. იქვე, პარლამენტიდან ხუთას მეტრში, ყოფილი ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე მაღალი შენობა (გვარს არ დავასახელებ) უფრო დისკრედიტებულია. პარლამენტი ღია ორგანოა და ეს ტრადიცია ჟვანიასგან დაიწყო. აქ ღიად მიდის საუბრები და უფრო მეტად ჩანს ყველაფერი. თქვენ წარმოიდგინეთ, ინტრიგებიც ნაკლებია, ვიდრე იმ მაღალ შენობაში. ის ხელჩართული ჩხუბები (თუმცა, მიუღებელია) გაცილებით სჯობს დამალულ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს შენობაში, სადაც პრეზიდენტი ზის. პარლამენტი არ არის თანამოაზრეების ორგანო. პარლამენტი იმით ფასობს, რაც უფრო სხვადასხვა ხმა ისმის და აზრთა ჭიდილია. მტერს, 235 კაცი ერთ ხმაზე რომ ჭიკჭიკებდეს - ქვეყანა სულ დაიქცევა... ასე მოდის ძველი ათენიდან...

**- ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებას ხომ არ სძლევს პირველობის მოპოვების საყოველთაო ქართული სენი?**

- მიხარია, რომ ჩვენთან ღვთაებისა და ბუდების პერიოდი დამთავრდა. უნდა გითხრათ, რომ ცოტაა გამოკვეთილი ლიდერი - უფრო მეტნი უნდა იყოს. ოღონდ, ლიდერი და არა - ბელადი. არსებული პოლიტიკური სპექტრის ლიდერები კი უკვე აღარ არიან ბელადები და ეს ძალიან კარგია... მათ შორის თანამშრომლობის დროს იქნება თანამშრომლობა და კონკურენციის დროს - კონკურენცია.

თუ ეს გაერთიანება მოხდა, პირველობა ძალზე უმნიშვნელო პრობლემა იქნება, რომელსაც იოლად გადავჭრით. ფეხბურთის გუნდში ხომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა ნომრით გამოდის - ეს ერთი გუნდია. გაერთიანებაში იმთავითვე აღიარებულია, რომ ის არ არის ერთადერთი. გარწმუნებთ, რომ ვინ ეწერება პირველად, ამას მნიშვნელობა არ ექნება...

**- ხომ არ ამარტივებთ? ეს არ იქნება გენერალური რეპეტიცია საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?**

- აბსოლუტურად არავითარი კავშირი არ აქვს. ჩემს აზრს მოგახსენებთ: ამ ტიპის პრეზიდენტი საქართველოსთვის საჭირო არ არის. ჩემი აზრით, ძალაუფლება გადანაწილებული უნდა იყოს... ჩვენ უნდა მოვიგოთ ეს ეტაპი, რათა შეიქმნას პირობები იმისთვის, რომ ამ ლიდერებიდან რომელიმე აირჩიონ პრეზიდენტად. თუ ეს ასე არ მოხდა და გაერთიანება დამარცხდა, მივიღებთ ახალი ტიპის შევარდნაძეს, რომელიც ძველზე უარესი იქნება.

**- თქვენი საყვარელი ოპონენტი. რომლის მიკროფონთან მისვლითაც აუცილებლად გელით "მხიარულება"?**

- ასეთი ნიჭი ვახტანგ რჩეულიშვილს აქვს და ამას ბოლომით არ ვამბობ. მიუხედავად იმისა, რომ მისი შეხედულებების დიდი ნაწილი პოლიტიკურად მიუღებელია, მაინც ვიტყვი, რომ ის ნამდვილი პარლამენტარია. არის აქტიური, იბრძვის თავისი პრინციპებისთვის, ლიდერია, არ არის გულბოროტი ადამიანი. მე ის ბევრად მირჩევნია იმ კონსტრუქციულ ტომრებს, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება პარლამენტში.

**- 18 წელი იყავით პედაგოგი. რატომ მოხვედით პოლიტიკაში? მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ურთიერთობა ხომ ნაკლები თავის ტკივილი, უფრო დიდი სიამოვნება და მეტი პასუხისმგებლობაა...**

- ცხოვრება არ შედგება მუდმივი სიამოვნებებისგან. განათლების საკითხებზე კი დღესაც ვმუშაობ. თანაც, როცა სტადიონზე ტრიბუნიდან უყურებ შენი გუნდის თამაშს, თავადაც გიჩნდება მოედანზე ჩასვლის სურვილი... პოლიტიკა მაინტერესებდა, ამის საშუალება მომეცა და არა მგონია, რომ მაინცადამაინც საკუთარ კარში გამაქვს გოლები...

**- ხვალინდელ დაბადების დღეს ხომ არ მიულოცავდით პრეზიდენტს?**

- ცხადია, მივულოცავ და ყოველივე კარგს ვუსურვებ. მას ჯერ კიდევ შეუძლია, მოიქცეს სწორად. შეეძლო, ყოფილიყო დიდებული მოღვაწე. მართალი გითხრათ, ჩემთვის აუხსნელია, რას გადააყოლა ყველაფერი... მან ბევრი იზრუნა იმისთვის, რომ საქართველოში თავისუფალი პრესა ყოფილიყო, მაგრამ ეს გონებით გააკეთა, გულით კი ვერ ხვდება, რა არის თავისუფალი პრესა. სინამდვილეში, მისი საყვარელი პრესა სახელმწიფო პრესაა. ჩვევებისგან გათავისუფლება რთულია. მისთვის ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ადამიანი კომკავშირის ან რაიკომის მდივანი იყო ოდესღაც. მან ალტერნატივაც შექმნა, მაგრამ გული მისი იქ დარჩა. ის ვერ იტანს დემოკრატიულ ვითარებას. ამას გაემიჯნა და დაეყრდნო ადამიანებს, რომელთაც ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ და ახლაც ჰკიდიათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ის ვერ ხვდება, რომ ადამიანებს შეიძლება მართლაც უყვარდეთ ქვეყანა და ამის გამო არ იღებდნენ ქრთამს... პოლიტიკაში მყოფ ადამიანს არ უნდა ახასიათებდეს გოჭის ამბიცია, ის მაკედონელის ამბიციით უნდა იყოს შეპყრობილი... შექსპირი გენიოსი იყო. შევარდნაძეს მეფე ლირივით სწორედ ისინი ამოთხრიან, ვინც დღეს გარს ეხვევა და მამალოსავით ლოკავენ...

შევარდნაძეს ვუსურვებ, დარჩენილი პერიოდი თუნდაც იმისთვის გამოიყენოს, რომ ძალიან ცუდად არ შევიდეს საქართველოს ისტორიაში. ეს გულდასაწყვეტი იქნება მისთვისაც და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნისთვისაც.







# ᲐᲚᲚᲣᲛᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

## ნურიევის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა



თამარ სუხიშვილი

"რასაც ვაკეთებ, ყველაფერი სისხლში მაქვს გამჯდარი," – ხშირად იმეორებდა ხოლმე მსოფლიო სცენის დიდოსტატი რუდოლფ ნურიევი.

კრიტიკოსები და საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემლები კი ასე ამბობდნენ: ნურიევი ისე მოვიდა ბალეტის სცენაზე, როგორც დაუღალავი მაძიებელი, რომელმაც ახალი ქვეყანა აღმოაჩინა, მაგრამ ამ აღმოჩენის სიხარულმა შემოქმედის სული ვერ დააკმაყოფილა და ახალი კუნძულის საძებნელად გაემართაო.

წლეულს იანვარში ნურიევის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა. საუკუნის მოცეკვავემ, რომელიც 54 წლის ასაკში გამოეთხოვა სიცოცხლეს, უკანასკნელი პარტია 1992 წლის 8 ოქტომბერს შეასრულა "ბაიადერაში", ეს იყო პარიზში, Palais Garnier-ის სცენაზე. ერთი წლის შემდეგ საბალეტო სცენის ვარსკვლავი გარდაიცვალა. ამ სცენაზე ნურიევი პირველად 1961 წლის 19 მაისს ავიდა და მაშინვე მოაჯადოვა მაყურებელი. პარიზის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ თეატრში ყოველდღე და ყოველ წუთს იხსენებენ დიდ ქორეოგრაფსა და მოცეკვავეს, იხსენებენ დიდი სითბოთი, სიყვარულით და ტკივილით... ნურიევის სახელს გაიგონებთ ყველგან, იქნება ეს რეპეტიცია, შეხვედრა თუ წარმოდგენა. არცაა გასაკვირი: მართალია, საბჭოთა კავშირიდან წასვლის შემდეგ ნურიევის მშობლიური სახლი ლონდონის სამეფო ბალეტი გახდა, მაგრამ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ხანგრძლივი პერიოდი, მათ შორის, განსაკუთრებით ძვირფასი წლები, ისევე როგორც არაერთი ხელოვანისთვის, სწორედ პარიზულ ცხოვრებას უკავშირდება. 1983-1989 წლებში რუდოლფ ნურიევი პარიზის ოპერისა და ბალეტის თეატრს ედგა სათავეში, უამრავი სპექტაკლი დადგა პარიზის თეატრისათვის - "მაკნატუნა", "რომეო და ჯულიეტა", "დონ კიხოტი", "გედის ტბა", "ბაიადერა" და ბევრი სხვაც, საფრანგეთის დედაქალაქში იცეკვა უკანასკნელად და სიკვდილის წინაც პარიზს შეავლო თვალი. რუდოლფ ნურიევი პარიზში დაკრძალეს...

წელს, გარდაცვალების მე-10 წლისთავზე, ნურიევი ოპერისა და ბალეტის თეატრის დასთან ერთად მთელმა პარიზმა გაიხსენა. გრანდიოზული კონცერტისთვის მონაწილეები დიდხანს ემზადებოდნენ. ერთმანეთს ცვლიდა ნაწყვეტები ნურიევის დადგმებიდან და იმ სპექტაკლებიდან, საგანგებოდ მოცეკვავისთვის რომ დაიდგა. პარიზული კონცერტი ჩვეულებრივ ხალხმრავალ კონცერტებს არ ჰგავდა - ეს იყო სცენის ვარსკვლავების ჯადოსნური ღამე; ბალერინებს შორის გამოირჩეოდნენ ნურიევის ცნობილი პარტნიორები, მაგრამ ეს არ ყოფილა კონცერტის ყველაზე დიდი სიურპრიზი: ნურიევის ხსოვნის საღამო გაიხსნა ალლუმით, რომელშიც 250 მოცეკვავე მონაწილეობდა – პარიზის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის მთელი დასი და საბალეტო სკოლის მოსწავლეები. ისინი ფეხშეწყობილნი, ნელი ნაბიჯით მიემართებოდნენ აუდიტორიისკენ, უკრავდა მარში ბერლიოზის ოპერიდან "ტროელები"... მაყურებელი მონუსხულივით უყურებდა ამ სანახაობას, როცა სცენაზე დაკიდებულ უზარმაზარ ეკრანზე ნურიევის დიდი სურათი გამოჩნდა, ამის შემდეგ კი ნაჩვენები იქნა ფილმი, ლეგენდად ქცეული ხელოვანის ცხოვრებაზე რომ მოგვითხრობდა.

ვისაც ნურიევი სცენაზე უნახავს, მის ოსტატობას ვერასოდეს დაივიწყებს. ცეკვის დროს ის ჯადოქარს ჰგავდა, მისი გამოსვლა – ბომბის აფეთქებას - ასეთი დარჩა თვითმხილველთა მეხსიერებაში. მოსაგონებელი მის ცხოვრებაზე ბევრია. დიდი ხელოვანის პიროვნებაზე კარგსაც იხსენებენ და - ცუდსაც: ხშირად უხეშობდა, ვულგარულადაც იქცეოდა, მაგრამ, ამავე დროს, იყო ძალიან საინტერესო პიროვნება, რომლის უშრეტი ენერგია სცენის მიღმაც კი ყველა შემხვედრზე შოკივით მოქმედებდა. ისტორიაში რუდოლფ ნურიევი საბალეტო ხელოვნების ბრწყინვალე ვარსკვლავის სახელით ჩაიწერა.

## კალენდარი

# 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ



ამ მშვენიერი ქალის დაბადების წელი სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვაგვარადაა მითითებული – 1959, 1960, 1962. ნასტასია გერმანელი მსახიობის, კლაუს კინსკის ასულია და მისი ნამდვილი გვარი ნაკშინსკაია გახლავთ. ის ჯერ ფრანგ დედასთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ თავის მეუღლეს, პროდიუსერ იბრაჰიმ მუსას იტალიაში გაყვა, ამჟამად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

ნასტასია კინსკის დებიუტი 1975 წელს შედგა ვიმ ვენდერსის ფილმში "ცრუ მოძრაობა". მაგრამ პოპულარობა და სერიოზული აღიარება რომან პოლანსკის "ტესმა" მოუტანა. ამ ფილმში ნასტასიამ არატრადიციული, "ინფანტილური" სექს-სიმბოლო შექმნა – მკაცრი რეალობის წინაშე მდგომი მგრძნობიარე, ღრმად ემოციური ქალი. ასევე დაუვიწყარი სახეები შექმნა მსახიობმა ფილმებში "მარიას საყვარლები", "გაზაფხულის სიმფონია", "პარიზი, ტეხასი"... ხოლო მისი სამსახიობო ბიოგრაფიის მწვერვალად კინომცოდნეები კვლავ ვიმ ვენდერსის ფილმს, "რევოლუციას" მიიჩნევენ.

ნასტასია კინსკი კლასიკური femme fatale-ს ტიპს განეკუთვნება, და მიუხედავად უჩვეულო გარეგნობისა, მრავალ ფილმში სწორედ ასეთ ქალებს თამაშობს.

გერმანელი მსახიობი, **ნასტასია კინსკი**, 24 იანვარს დაიბადა.

# ᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲨᲛᲔᲢᲘ - 50

## დიდი მუსიკოსი და მომხიბვლელი მამაკაცი

ანა კორძაია-სამადაშვილი

გამოჩენილი ალტისტი, პედაგოგი და დირიჟორი იური ბაშმეტი დღეს 50 წლის გახდა. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოასწრო: მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ისეთი, როგორიც სხვა ალტისტებს არც დასიზმრებიათ; შექმნა "მოსკოვის სოლისტები"; სვიატოსლავ რიხტერის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა "დეკემბრის საღამოებს"; გადაიღო პროგრამების ციკლი "ოცნების სადგური"; დააარსა შოსტაკოვიჩის სახელობის პრემია, რომლის წყალობითაც მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსები გამოვლინდნენ; შექმნა საქველმოქმედო ფონდი. და ბოლოს, ორკესტრ "ახალ რუსეთთან" სოლისტმა ბაშმეტმა უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია – ამიერიდან დირიჟორულ წარმატებებს მოველით.

იური ბაშმეტში ერთდროულად თითქოს რამდენიმე ადამიანი თანაარსებობს. ერთის მხრივ, "მაგარი ტიპია", მდიდარი და წარმატებული მამაკაცის ყველა ატრიბუტით შემკული – სიგარეტით, შავი სათვალით, ჯიპით... მეორეს მხრივ, მარადიულ ღირებულებებზე და მუსიკის ღვთაებრივ ბუნებაზე საუბარი ეხერხება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ალტზე უკრავს, თან ისე, როგორც ვერავინ სხვა.

დღეს, დაბადების დღის აღსანიშნავად, მოსკოვში იური ბაშმეტის წიგნი, "ოცნების სადგური" გამოდის. მკითხველს მუსიკოსის მოგონებებიდან პატარა ნაწყვეტს ვთავაზობთ – მის მიერ მოყოლილ ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი კონცერტის ამბავს.



*"მარცხი" კონცერტის წინ - ამჯერად თბილისში, 2002 წლის შემოდგომა*

**შესანიშნავი დრო იყო. ზაფხული... საფრანგეთში, ქალაქ ტურში გასტროლებზე გამგზავრებამდე მოულოდნელად ძალიან ავად გავხდი... ვმკურნალობდი, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, მოწყენილი ვიყავი – მეგონა, რომ საფრანგეთი არ მეღირსებოდა. მაგრამ გამგზავრების წინა ღამეს მომეშვა და გავფრინდი, თან ცოლს ოვალური სავარცხელი გამოვართვი, თმის დასამაგრებლად – შუბლზე ერთი ღერი თმის შეხებაც კი მტანჯველი იყო...**

**თვითმფრინავში შევედი (იმ წუთას, ეტყობა, დამავიწყდა, რას ვგავდი), და ჩემს ადგილზე დაჯდომა დავაპირე. ორი გოგონა, რომელთაც ჩემს გვერდით ჰქონდათ ადგილები, უცებ გაქრნენ – სხვა რიგში გაიქცნენ. დავწექი სამ სავარძელზე და დავიძინე. პარიზში გამეღვიძა.**

**მენეჯერი დამხვდა, ჩემი გარეგნობა არ შეიმჩნია და ქალაქ ტურში წამიყვანა, 240 კილომეტრის მოშორებით. ჩავედით. აფთიაქთან გაჩერდა, რაღაც მალამო მიყიდა და მომცა. ორი დღის შემდეგ სოლო-კონცერტი უნდა მქონოდა, მე კი ავადმყოფობის გამო ორი კვირა ინსტრუმენტს არ მივკარებივარ, ანუ ფორმაში არ ვიყავი.**

**მაგრამ ახალმა წამალმა მიშველა და კონცერტის დღეს მე და მიშა მუნტიანი მაინც წავედით სარეპეტიციოდ, თუმცა ვერც წარმომედგინა, ასეთი შესვენების შემდეგ ინსტრუმენტს ხელს როგორ ვახლებდი. პირველი, რასაც მივხვდი – ვიბრაცია არაა, არც სიმის გრძნობა, პლასტიკა, ხემის შეხება. არა! არაფერი არაა! ვიფიქრე, ორ საათში როგორ დავუკრა-მეთქი? თან ეს ძალიან საპასუხისმგებლო კონცერტია – დარბაზში მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორები სხედან, სტუდენტები, რომელთაც ვასწავლი...**

**ვიბრაციას ვერ ველირსე, და გამოუსავლობისგან მე და მიშამ მაიმუნობა დავიწყეთ, ოთხ ხელში რაღაც ნახევრადჯაზურ იმპროვიზაციებს ვაკეთებდით როიალზე. მერე დარბაზიდან გასვლა გვთხოვეს, რადგან ხალხი უკვე მოდიოდა. გავედით. ერთი თხუთმეტი წუთი კიდევ ვაწვალებდი ინსტრუმენტს და ხელებს, რომ რამენაირად ფორმაში ჩავმჯდარიყავი. საშინელი შეგრძნება იყო. სცენაზე სრული ავანტიურის განცდით გავედი.**

**პირველი ნაწარმოები – ჰინდემიტის სონატა. საწყისი ფრაზა დავუკარი და, საოცარი ამბავია: ხელები ვერაფერს გრძნობს, შედეგი კი კარგია. სონატის ბოლოს უკვე ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ყველაფერი კარგადაა და საერთოდ, ეს ამ ნაწარმოების ერთ-ერთი საუკეთესო შესრულება იყო. დარბაზიც ძალიან კარგად იღებს. საოცარია!**

**შემდეგი ნაწარმოები – ბრიტენის "ლაკრიმეც", შეიძლება ითქვას, მანამდე ასე არ დამეკრა. მერე ანტრაქტი იყო.**

**მეორე განყოფილებაში – შოსტაკოვიჩის სონატა. იქ ერთი ადგილია, ფინალში, როცა ალტი როიალის გარეშე რჩება. თითქოს პაუზაა აფეთქებამდე. ერთხელ რიხტერმა თქვა: "თითქოს უზარმაზარი ლითონის კარია. ისეთი გრუხუნი უნდა იყოს, თითქოს მოულოდნელად და საშინელი ძალით მიჯახუნდა".**

**და, წარმოიდგინეთ, ამ ადგილას მართლაც რაღაც უზარმაზარი კარი გაჯახუნდა, როგორც ჩანს, ორპირი ქარისგან. ზუსტად ამ ადგილას. საშინლად დაიგრიალა.**

**მთელი შესრულება ჩემი შეგრძნებების საინტერესო მონაცვლეობა იყო. ვინაიდან ყოველთვის უარვყოფ ხოლმე უკვე დაკრულსა და დამუშავებულ, ნაცად მომენტებსა და ჟღერადობას, ამჯერადაც ყველაფერს ეჭვქვეშ ვაყენებდი. მაგალითად, თუ ნოტებში piano წერია, crescendo-ს რატომ ვუკრავ? მაგრამ კანით ვგრძნობდი: შესანიშნავია! ერთდროულად სამ განზომილებაში ვგრძნობდი თავს. სცენაზე ვდგავარ, დარბაზში ვზივარ და საკუთარ თავს ვხედავ დარბაზიდან. და – ნამდვილად! – ზემოდან დავცქერი. და ფონად უცნაური აზრი მომდევდა; ოღონდ არ გაუშვა, ოღონდ არ დაკარგო, ოღონდ კი ბოლომდე მიიტანე ეს მდგომარეობა!**

**როცა დაკვრას მოვრჩი, დარბაზში აპლოდისმენტები არ გაისმა, სრული სიჩუმე იყო. უხერხულიც კი იყო. მიშას მივუბრუნდი და მან ჩუმად მითხრა:**

**- იურა, აბა რა გითხრა? რაღა უნდა გითხრა?... შენ ასე არასოდეს დაგიკრავს!**

# ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ

## დათო მაღრაძე - "ქართულად ლექსის მწერალი"

ნატო თორთლაძე

"თუმცა ხელოვნებაზე სასაუბროდ ქალაქის ცენტრში ხის სახლის აშენება ვერ შევძელით, სარდაფი მაინც ხომ ვიპოვნეთო," თქვა დათო მაღრაძემ. ისე, თეატრალურ სარდაფში ჩატარებული ყოველი ხუთშაბათობა დღემდე ჩემს უსაზღვრო გაოცებას იწვევს – ვერაფრით დამიჯერებია, რომ თბილისელ საზოგადოებას ლიტერატურა უყვარს და სხვისი მოსმენის უნარიც აქვს. არადა, ფაქტია: დარბაზი თითქმის ყოველთვის სავსეა ხოლმე. ამ ხუთშაბათსაც იგივე ვითარება იყო.

გუშინ საღამოს კლუბი დათო მაღრაძეს მასპინძლობდა და მაყურებელ-მსმენელთა შემყურე ავტორს თამამად შეეძლო იმის თქმა, რომ ყველაზე დიდი ჯილდო – სამშობლოში მკითხველის აღიარება – მას უკვე მიღებული აქვს. დამსწრეთა უმრავლესობა ახალგაზრდა იყო, ძალიან ახალგაზრდა, 20-25 წლისა. არ ვიცი, რამდენად გასახარელი იქნებოდა თავად დათოსთვის გოგონების კომენტარის მოსმენა, რომელიც იმდენჯერ გავიგონეთ, რომ ამის არაღნიშვნა ნამდვილად არ იქნებოდა: "აუ, ისე, მაღრაძე რა სიმპატიჩნია, არა?" მაგრამ საწყენიც ნამდვილად არაა.



*ზაალ სამადაშვილი და დათო მაღრაძე*

საღამო, როგორც სარდაფის წესია, დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ ამჯერად ბრალი მასმედიის წარმომადგენლებს მიუძღოდათ: კემბრიჯის ცენტრის მრჩეველთა საბჭოს მიერ წლის საერთაშორისო მწერლის ნომინაციაზე წარდგენილ დათო მაღრაძესთან ინტერვიუებმა დიდი დრო წაიღო. თორემ ამ ლიტერატურული საღამოს შესავალი სიტყვა სულ მოკლე იყო – წიგნის საერთაშორისო პრემიის მფლობელს, წლის საუკეთესო პოეტური კრებულის, "ნიკალას" ავტორს, საღამოს წამყვანის, ზაალ სამადაშვილის თქმით, "უხვსიტყვიანი წარდგენა არ სჭირდება".

ბ-ნმა ზაალმა ბრძანა, საკუთარ ლექსებს პოეტები ყველაზე უკეთ კითხულობენო. აბა, როგორ გითხრათ, გამონაკლისების შემსწრეც ვყოფილვარ, მაგრამ დათო მაღრაძის შემთხვევაში ეს სიტყვები სავსებით გამართლებულია.

დათოს ლექსების შეფასების უფლებას საკუთარ თავს ნამდვილად ვერ მივცემ – მეტისმეტად არაობიექტური ვიქნებოდი. ერთადერთი, დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ გუშინდელი ხუთშაბათობის ყველა სტუმარი კმაყოფილი იყო – პოეტითაც, ლექსებითაც და იმითაც, რომ მსოფლიო აღიარების მიუხედავად, დათო მაღრაძეს ჩვენთან, სარდაფში უხაროდა ყოფნა.

# "ᲐᲡᲡᲐ" ᲓᲐᲘᲥᲝᲥᲐ

## ფოლკოთეკის შოუ-ვერსია "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე

წიწმატი, ღვინო და არღანი – კანაფის, ნარკოტიკისა და ტრადიციული კოქტეილის ნაცვლად – ასე გაგვანდო გუშინ ილიკო სუხიშვილმა მისეული "ასსა ფართის" კონცეფცია. "სუხიშვილების" ბოლოდროინდელი ყველაზე ხმაურიანი პროექტის ფოლკოტეკის სრული, შოუ-ვერსია პირველ თებერვალს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" იგეგმება.

წიწმატი და ღვინო ილიკო სუხიშვილის იდეით მომზადებული "ასსა კოქტეილის" აუცილებელი შემადგენელი ატრიბუტებია; რაც შეეხება მეარღნეს, ესეც უმცროსი ილიკოს კონცეფციიდანაა – ასე უწოდა მან "ასსა ფართის" დი-ჯეი შავს, რომელიც დი-ჯეის პულტთან "სუხიშვილების" ფოლკოტეკის ერთ-ერთი ცოცხალი შემსრულებელია. ეს ყველაფერი (წიწმატი, ღვინო და არღანი) კი "ასსა-ფართის" იდეის ავტორის აზრით, საკმარისია იმ შედეგებისთვის, რაც თანამედროვე დისკოთეკებზე მიიღწევა ხოლმე.

"დღეს ბევრს საუბრობენ აფროამერიკული მუსიკის ზეგავლენასა და მასშტაბებზე. ამაში სადაო არაფერია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა ზეგავლენა მოახდინა კავკასიურმა რიტმებმა მსოფლიოზე", - ნათქვამის საილუსტრაციოდ, ილიკომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, დეივ ბრუბეკის Take a five-სა და "ხორუმის" რიტმები შეადარა. იდეის ავტორებს გუშინ არც დაუმალავთ, რომ "ასსა"-ს პროექტით ისინი, არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, მის საზღვრებს გარეთაც სერიოზულ იმედებს ამყარებენ. საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. "ნოა-ნოაში" გამართული საცდელი "ასსა-ფართის" ირგვლივ ატეხილი ხმაურის შემდეგ, პროექტის ორგანიზატორებს ვანიკო თარხნიშვილის მოსკოველი პარტნიორები დაუკავშირდნენ. ასე რომ, პროექტის საზღვრებს გარეთ გატანაზე საუბარი უკვე დაიწყო, მაგრამ ჯერ შოუ თბილისელებმა უნდა იხილონ.

"ნოაში ჩვენ მოვაწყეთ პროექტის საცდელ-საჩვენებელი ფართი, რითაც პუბლიკის ემოცია გავზომეთ. პირველ თებერვალს ჩვენ ამ პროექტის უნივერსალურ ვერსიას შემოგთავაზებთ", - გვითხრა ვანიკო თარხნიშვილმა. "ასსას" სრული ვერსიის საჩვენებლად პროექტის ავტორებმა ალბათ ნამდვილად საუკეთესო ვარიანტი, ანუ "აჭარა მიუზიკ ჰოლი" შეარჩიეს. სადაო არ უნდა იყოს, რომ თბილისში მსგავსი მასშტაბებისა და საერთაშორისო სტანდარტების კლუბი არ არსებობს. ხოლო, თუკი გავითვალისწინებთ ნამდვილი შოუსადმი საჭირო აუცილებელ მოთხოვნილებებსაც, ანუ იმას, თუ რამდენად საჭიროა ამ შოუსათვის სივრცე, მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდებით, რომ "აჭარა მიუზიკ ჰოლი" "ასსა"-ს შოუს ყველაზე შესაფერისი ადგილია თბილისში.

"ასსა"-ს "აჭარა მიუზიკ ჰოლისთვის" რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი დაემატება. პირველ რიგში ესაა ქორეოგრაფიული ელემენტებისა და ეფექტების გაზრდა, რაც მოცეკვავეთა დამატებას ითვალისწინებს; პროექტს ასევე დაემატა მუსიკოსები და რაც მთავარია, პროექტის მონაწილეები აქ უკვე საკუთარ ფორმებში იქნებიან გამოწყობილნი. ნინო სუხიშვილის თქმით, "ასსა"-ს ფორმებს კომპანია "მაკა ასათიანი" ამზადებს და ისინი თავისუფალი, შეიძლება ითქვას, სპორტული "პიჟამოების" სტილში იქნება შეკერილი; ფორმებს ცხადია, ექნება წარწერა "ასსა" და "სუხიშვილების" ემბლემა. "ალბათ კოსტუმიც არ ჰქვია ამ ფორმებს; ჩვენ უბრალოდ გვინდოდა, შეგვეკერა ისეთი სამოსი, რაშიც მოცეკვავე თავისუფლად იგრძნობდა თავს", - გვითხრა ნინო სუხიშვილმა. ხოლო, "ასსა"-ს ქართულ წარმომავლობას აუდიტორიას ფოლკოტეკაზე (ისევე როგორც "ნოა-ნოაში"), ჩოხაში გამოწყობილი ვანიკო თარხნიშვილი გაახსენებთ. როგორც თავში აღვნიშნეთ, "ასსა"-ს შოუ-ვერსიის აუცილებელი ატრიბუტი იქნება "სუხიშვილების" შემოთავაზებული "ასსა კოქტეილი" და "ასსა კანაპე" (კანაპეს იდეის ავტორი ნინო სუხიშვილია). ამ ყველაფრის დასაგემოვნებლად კი, ალბათ თბილისელები 50 ლარს (vip ადგილების მსურველთათვის 75 ლარი) არ დაიშურებენ, მითუმეტეს, რომ "ნოა-ნოაში" ბევრისთვის ეს ადგილის სიმცირის გამო, შეუძლებელი იყო.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## პოლ გასკოინი ჩინეთში

უკვე ერთი კვირაა, ინგლისური ფეხბურთის ჩამქრალი ვარსკვლავი, პოლ გასკოინი, ჩინეთშია და ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში "ლიონინგ ბადაოში" სინჯავენ.

კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ თუ გასკოინი წარმატებით გაივლის ამ ეტაპს, ისინი ფეხბურთელთან კონტრაქტს გააფორმებენ. თუ გარიგება შედგება, "ნიუკასლის", "ლაციოსა" და "რეინჯერსის" ყოფილ ვარსკვლავს ჩინური კლუბი წელიწადში 120 ათას დოლარს - დღევანდელი მასშტაბებით უმნიშვნელო თანხას გადაუხდის.

"პოლს ძალიან გაუჭირდება ჩინეთის ჩემპიონატში თამაში, მაგრამ, იმედი გვაქვს, სპეციალური ვარჯიშების შემდეგ ის მიაღწევს სასურველ კონდიციას. თუ გასკოინი კლუბის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ჩვენს კონტრაქტს გავაფორმებთ", - განაცხადა "ლიონინგ ბადაოშის" გენერალურმა მენეჯერმა ჩენგ პენხუიმ. კლუბის პრეზიდენტი ჩაო გუხუნი ამბობს: "გასკოინთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს. პირველი: გვინდა, რომ პოლმა ვარჯიში განაგრძოს. გარკვეული პერიოდის, - ერთი ან ორი თვის შემდეგ, - ვნახავთ მის შედეგებს. თუ სიტუაცია ჩვენთვის სასურველი იქნება, მაშინ კონტრაქტს გავაფორმებთ, თუ არა და, უკან დავაბრუნებთ. მეორე ფაქტორი კი მისი ხასიათია. თუ თანაგუნდელებთან საერთო ენას ვერ გამონახავს, მასთან არაფერი გვესაქმება".

ახლა გასკოინი, გუნდთან ერთად, ჰაინანის კუნძულზე ვარჯიშობს. 35 წლის ვეტერანი უგუნდოდაა მას შემდეგ, რაც გასული სეზონის დასაწყისში ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბი - "ბარნლი" მიატოვა. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მას 57 მატჩი აქვს ჩატარებული.

### კალენდარი

## 24 იანვარი



გვიდო ბუხვალდი

**1948 - დაიბადა ნიკოლაი მელნიკოვი. საბჭოთა წყალბურთელი. 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.**

**1955 - დაიბადა ჯეიმს მონტგომერი. ამერიკელი მოცურავე. სამგზის ოლიმპიური და შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი.**

**1961 - დაიბადა გვიდო ბუხვალდი. გერმანელი ფეხბურთელი. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი.**

### ისტორიული ფოტო

## ეს იყო 19 წლის წინათ...



1984 წლის 27 ივნისი, პარიზი.
ევროპის ჩემპიონატის ფინალი "პარკ დე პრენსში".
მიშელ პლატინი და ალან ჟირესი ევროპის თასით.

### ფეხბურთი

# ფრანც ბეკენბაუერი: "მოსაწყენ ვარჯიშებს ყოველთვის ფეხბურთის თამაში მერჩივნა"

*ხვალ ზამთრის არდადეგებიდან გერმანიის ბუნდესლიგაც დაბრუნდება და ჩვეული რიტმით განაახლებს თავის საქმიანობას. ხვალ ბუნდესლიგის მეორე წრე იწყება. გერმანიის ჩემპიონატს წლეულს გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს - მიუნხენის "ბაიერნი" დამაჯერებლად მიიწევს ჩემპიონობისკენ. თუმცა, როგორც კლუბის პრეზიდენტი, ფრანც ბეკენბაუერი ამტკიცებს, ასეთ შემთხვევაში მიუნხენელები სერიოზულობას კარგავენ ხოლმე, ამიტომ ბუნდესლიგას კიდევ ბევრი ინტრიგა ელის. ჟურნალ "Kicker"-ის ჟურნალისტი კარლჰაინც ვილდი ფრანც ბეკენბაუერს შეხვდა და აიღო ინტერვიუ, რომელშიც "ბაიერნის" პრეზიდენტი ბუნდესლიგის მეორე წრესთან დაკავშირებით პროგნოზებს აკეთებს, საუბრობს ახალგაზრდა ტალანტებსა და, ცხადია, თავის "ბაიერნზე".*



*ფრანც ბეკენბაუერი*

**- რას ელით ბუნდესლიგის განმეორებითი ეტაპისგან?**

- "ბაიერნის" პრეზიდენტის გადასახედიდან ჩემპიონობას ვისურვებდი.

**- ეჭვი გეპარებათ ამაში?**

- 6 ქულა კარგი ფორაა.

**- მაგრამ თქვენ არ მონაწილეობთ ევროთასებზე.**

- მართალია. ამიტომაც გუნდს ახალ რიტმზე გადაწყობა სჭირდება. გამუდმებით თამაშის ნაცვლად ფეხბურთელები, ასე თუ ისე, მოსაწყენ ვარჯიშებს უნდა შეეგუონ. პირადად მე ვარჯიშს ყოველთვის თამაში მერჩივნა.

**- ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი?**

- "ბაიერნი". მთავარი კონკურენტი კი "დორტმუნდია".

**- ბუნდესლიგას მოწყენილობა ხომ არ ემუქრება?**

- პირიქით. "ბაიერნს" ცოტათი მაინც ვიცნობ. როდესაც საქმეები კარგად მიდის და გუნდი სოლიდური რაოდენობის ქულებით უსწრებს კონკურენტებს, "ბაიერნი" თავის სერიოზულობას კარგავს. ამიტომაც ბოლო დღემდე ინტრიგა გველის.

**- 1998-99 წლების სეზონში "ბაიერნმა" თავის მდევრებს 15 ქულით(!) გაუსწრო. მოიხსნება თუ არა წლეულს ეს რეკორდი?**

- ცხადია, არა.

**- არის კიდევ "კოტბუსის" გადარჩენის შანსი?**

- არა მგონია. იმისთვის, რომ არ გავარდეს, "კოტბუსს" გამარჯვებების დიდი სერია, ანუ რეკორდის დამყარება სჭირდება. როგორ უნდა მოახერხოს ეს ამ გუნდმა? მას ხომ მხოლოდ ერთი საშინაო მატჩი აქვს მოგებული. "კოტბუსის" მდგომარეობა უიმედოა.

**- და "კაიზერსლაუტერნი"?**

- "კაიზერსლაუტერნს" მე-15 ადგილისგან 6 ქულა აშორებს და მძიმე ვითარებაშია, მაგრამ უკეთესი კადრები ჰყავს.

**- კიდევ ემუქრება საშიშროება "ლევერკუზენს"?**

- არა, "ბაიერის" ფეხბურთელებმა კარგად დაისვენეს, ეს მათ სჭირდებოდათ. დარწმუნებული ვარ, ისინი ზედა სამეულში მოკალათდებიან.

**- არიან ფეხბურთელები ან გუნდები, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე?**

- იმედი მაქვს, ფოილნერს და შვაინშტაიგერს ამიერიდან თამაშის მეტი საშუალება ექნებათ.

**- როდიდან განეწყვეთ ნდობით ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ?**

- გული მწყდება, რომ კლინგი იძულებულია, "ჰამბურგში" გადავიდეს, რადგან ჩვენ გამუდმებით უცხოელ ფეხბურთელებს ვყიდულობთ. თუ ისე გამოვიდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყოველთვის სხვა გუნდებისთვის გავზრდით, მაშინ აღმზრდელობით საქმიანობას თავი უნდა დავანებოთ. კატარში, 20 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატზე, ვნახე ჰუშტერერი და ტრახოვსკი - კიდევ ორი ტალანტი. ახალგაზრდა მოთამაშეებს გამუდმებით უნდა დააკვირდე და იზრუნო მათზე. სულ ახალ-ახალი ფეხბურთელების ძიება საჭირო არ არის.

**- გამოდის, რომ არგენტინელი მარტინ დემიხელისის შეძენას ეწინააღმდეგებით?**

- ეს საკითხი ჩვენი სელექციონერების გადასაწყვეტია. სწორი ნაბიჯი იყო, როდესაც ბალაკი, ზე რობერტო და დაისლერი შევიძინეთ, მაგრამ ყველა დანარჩენი - ეს ახალი, უცნობი ფეხბურთელები - ზედმეტად მიმაჩნია.

**- ორმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, ლაუტმა და კურანიმ, ბუნდესლიგის პირველ წრეში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რა ბედი ეწევათ მათ?**

- მომავალში გაუჭირდებათ, რადგან ამიერიდან მათ უფრო მჭიდროდ დაუწყებენ მეურვეობას.

**- რას ფიქრობთ ვეტერანებზე, 34 წლის ეფენბერგზე და 36 წლის ჰესლერზე - უნდა გააგრძელონ მათ თავიანთი კარიერა?**

- მაშინაც კი, როდესაც მათ, სხვებთან შედარებით, ნაკლები სისწრაფე და ფიზიკური კონდიციები აქვთ, ამ ფეხბურთელთა პოტენციალი ჯერ კიდევ დიდია. 60-70 წუთის მანძილზე მათ მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე სხვებს მთელი მატჩის განმავლობაში. ოლაფ ტონის გამოსათხოვარ მატჩზე ანდი მიოლერს შევხვდი და ვუთხარი: "გააგრძელე თამაში!" მიოლერის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოყენებული.

**- სეზონის დაწყებამდე "ბაიერნის" ხელმძღვანელობა გუნდისგან ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას მოითხოვდა. როგორ იქნება მომავალში?**

- პრაგმატული და ლამაზი ფეხბურთის შერწყმა სავსებით შესაძლებელია. მინდა, ფეხბურთის თამაშისას მეტი სიხარული განვიცადო, მთელი გუნდი მოძრაობაში ვიხილო და არა ის, რომ ბურთი ერთს ჰქონდეს, დანარჩენები კი უმოძრაოდ იდგნენ და მას წარმატებას უსურვებდნენ.

**- ოტმარ ჰიცფელდი ბალაკისგან უფრო დიდ შედეგებს მოითხოვს. ხომ არ გაგიცრუათ იმედი გერმანიის 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა?**

- მე ძალიან კმაყოფილი ვარ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბალაკი წინა წლის შედეგს ვერ გაიმეორებდა. მას ყოველთვის სურს თამაში, მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე ჯანმრთელი არ არის. ეს კი მის მტკიცე ხასიათზე მეტყველებს.

**- რა უნდა გამოასწოროს მეორე წრეში?**

- თამაშში მეტი იმპულსი უნდა შეიტანოს. გასაგებია, რომ ახალ კლუბში გადასვლიდან მეორე დღესვე მას არ შეეძლო, თანაგუნდელებისთვის ეყვირა და მითითებები მიეცა - ამისთვის შედეგების მიღწევაა საჭირო. ამიერიდან ის ლიდერი უნდა გახდეს. ეს თვითონაც კარგად იცის.

**- ზე რობერტომ იმედი გაგიცრუათ?**

- ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც თამაში სურს, მაგრამ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში უნდა გააქტიურდეს, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში მეტად უნდა გარისკოს.

**- რა შემთხვევაში უნდა გადადგეს ოტმარ ჰიცფელდი, როდესაც "ბაიერნს" 2-3 ტიტულს მოაგებინებს, თუ პირიქით – მაშინ, როდესაც ვერავითარ წარმატებას ველარ მიაღწევს?**

- აქ მოცდა გვმართებს. რეალურია, რომ წლევანდელ სეზონში ერთ ტიტულს მაინც მოვიგებთ - გერმანიის ჩემპიონობას. მწვრთნელის თემა ამჟამად ჩვენთან არ განიხილება.

**- შესაძლებელია, რომ ვადაზე ადრე გააგრძელოთ მასთან კონტრაქტი?**

- ამ კითხვაზე სპორტული შედეგები უპასუხებენ. რა საჭიროა, კონტრაქტის დამთავრებამდე წელიწადნახევრით ადრე დავიწყოთ ამაზე ფიქრი! რამდენიმე თვეში, როცა სეზონი დასრულდება, დავსხდებით და დავილაპარაკებთ.

**- ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ დიდხანს იყავით მეთვალყურე. ეს რას ნიშნავს?**

- იმას, რომ მომავალში, რასაც დავინახავ, ყველაფერზე აზრს გამოვთქვამ.

**- და მეტი არაფერი?**

- მერწმუნეთ, ეს საკმარისია.

# სკოლარი პორტუგალიის ისტორიაში შევა

"ლუის ფელიპე სკოლარის შესწევს უნარი, პორტუგალიის ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი მოაგებინოს", - განაცხადა ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" მცველმა რობერტო კარლოსმა ხუთშაბათს, პორტუგალიური გაზეთის, "O Jogo"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

"პორტუგალიას უკვე ჰყავს ჩამოყალიბებული გუნდი. შესაძლოა, იქ შეიცვალოს ერთი-ორი ფეხბურთელი, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ამ ნაკრებს ახალი მწვრთნელი, ძლიერი პიროვნება სჭირდებოდა", - ამბობს კარლოსი და განაგრძობს: "პორტუგალია ლაღ, რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობს. "ფელიპაო" კი ფეხბურთელებს დაარწმუნებს, რომ მათ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების ძალა შესწევთ".

"დიდ ფილად" წოდებულმა ლუის ფელიპე სკოლარიმ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი მიმდინარე წლის დასაწყისში ჩაიბარა. ამ ქვეყანაში მასზე უდიდეს იმედს ამყარებენ. ფეხბურთით გაგიჟებული პორტუგალიელები დარწმუნებული არიან, რომ სკოლარი მათ ნაკრებს ააღორძინებს. ვარსკვლავების სიმრავლის მიუხედავად, პორტუგალიის ნაკრები მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატს ჯგუფურ ეტაპზევე გამოემშვიდობა, რამაც გულშემატკივრები დიდად აღაშფოთა.

"დარწმუნებული ვარ, სკოლარი პორტუგალიაში გაიმეორებს იმ წარმატებას, რომელსაც ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის პერიოდში მიაღწია. ის პორტუგალიის ისტორიაში შევა. დარწმუნებული ვარ, რადგან კარგად ვიცი პორტუგალიელ ფეხბურთელთა შესაძლებლობები და ძალიან კარგად ვიცნობ სკოლარის მუშაობის სტილს", - ამბობს რობერტო კარლოსი.

პორტუგალიის ნაკრების სახით ბრაზილიელ მწვრთნელს ჰყავს ტალანტების ვეებერთელა ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩევიან მსოფლიოს 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლუიშ ფიგუ და "მილანის" ნახევარმცველი რუი კოშტა.

რობერტო კარლოსმა, რომელიც მადრიდის "რეალში" სწორედ ფიგუსთან ერთად თამაშობს, განაცხადა, რომ თავის პორტუგალიელ თანაგუნდელს უკვე უამბო, თუ როგორ უყვარს სკოლარის დისციპლინა. "მე ვუთხარი ფიგუს, რომ სკოლარი უმკაცრესია მუშაობისას, მაგრამ, როგორც ადამიანი, ის არაჩვეულებრივი მეგობარია", - ყვება კარლოსი.

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ კარლოსს მილანის "ინტერში" გადასვლა სურს. მაგრამ "O Jogo"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბრაზილიელმა საპირისპირო განაცხადა: "მინდა, ჩემი ევროპული კარიერა მადრიდის "რეალის"



REUTERS

*ლუიშ ფელიპე სკოლარი და რობერტო კარლოსი*

მაისურაში დავასრულო. ამის შემდეგ ბრაზილიაში დავბრუნდები და კარიერასაც რომელიმე ბრაზილიურ კლუბში დავამთავრებ". კარლოსის კონტრაქტი "რეალთან" 2005 წლამდე გრძელდება.

# მომავალი სეზონიდან კაფუ იაპონიაში ითამაშებს

ოთხშაბათს იაპონიის J ლიგის კლუბ "იოკოჰამა მარინოს"-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას ბრაზილიის ნაკრებისა და იტალიური "რომას" მცველ კაფუსთან იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ფეხბურთელი "იოკოჰამა მარინოს"-ის ღირსებას დაიცავს. კონტრაქტის თანახმად, 32 წლის მცველი "იოკოჰამაში" 2006 წლის 1 იანვრამდე ითამაშებს. კლუბი არ ასახელებს არც ტრანსფერის ღირებულებას და არც იმ თანხას, რომელსაც კაფუ მიიღებს გასამრჯელოს სახით. მაგრამ იაპონურმა საინფორმაციო სააგენტომ "Jiji Press"-მა მაინც გაახმაურა ამის შესახებ ინფორმაცია. "Jiji Press"-ის ცნობით, კაფუს სანაცვლოდ "რომა" 3,75 მილიონ დოლარს მიიღებს.

"იოკოჰამას" ახლად დანიშნული მწვრთნელი, ტაკეში ოკადა, რომელიც მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა, კაფუს შეძენით აღფრთოვანებულია. "იმის გარდა, რომ ჩვენს კლუბს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი შეუერთდება, კაფუს გადმოსვლას სხვა დატვირთვაც ექნება - ის ჩვენს ფეხბურთელებს მენტალიტეტის მხრივაც შთააგონებს", - აცხადებს ოკადა.

კაფუ, რომლის ნამდვილი სახელია მორაეს ევანგელისტა დე მარკოსი, ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი ადამიანია, რომელიც თავის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების სამ ფინალურ მატჩში კაპიტნობდა.

კაფუს სანაკრებო კარიერა დაიწყო 1990 წელს ესპანეთის წინააღმდეგ. "სან პაულოს" შემადგენლობაში მან ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები. 1997 წლიდან ის "რომაში" თამაშობს, კარიერას კი, ალბათ, იაპონიაში დაასრულებს.



REUTERS

*კაფუ*

ალპინიზმი

# უშბამ წრიაპი დაგვიწუნა

გიგა გურასაშვილი

*15 იანვარს ქართველ მთამსვლელთა ოთხკაციანი ჯგუფი სვანეთში გაემგზავრა. მათი მიზანი იყო, უშბაზე ზამთარში ასულიყვნენ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მთამსვლელებს ამინდიც ხელს უწყობდათ, მაგრამ მაშინ, როდესაც მწვერვალის დაპყრობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, ქართველ მთამსვლელთა კვარტეტის ერთ-ერთ წევრს წრიაპმა უმტყუნა...*


ალპინისტები მაშველებს ელიან


მერაბ ხაბაზი

კავკასიონის ერთ-ერთი ურთულესი კატეგორიის მთა - უშბა ოდითგანვე იზიდავდა მოკვდავთ. პირველად ადამიანის წინაშე უშბამ 1888 წელს ჩრდილოეთიდან (4690 მ.) მოიხარა ქედი, მეორედ - 1903 წელს, ანუ ზუსტად 100 წლის წინათ, როდესაც სამხრეთით (4710 მ.) გაუვალ მარშრუტს გერმანია-შვეიცარიის ხუთკაციანი ექსპედიცია ეკვეთა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დადგა ქართველთა ჯერი. 1934 წელს, ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ალექსანდრა ჯაფარიძემ (პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი და, ამასთან, ალიოშას და), იაგორ კაზალიკაშვილმა, გიო ნიგურიანმა, ალექსანდრე გვალიამ და ლევან მარუაშვილმა, ქართველთა შორის პირველებმა, გადმოიხედეს უშბიდან. ასი წლის შემდეგ იმავე მარშრუტს ბიძინა გუჯაბიძე, მერაბ ხაბაზი, ლევ სარქისოვი და შოთა კომახიძე გაუყვნენ.

ამბიციის მქონე ნებისმიერ მთამსვლელს დღესაც ისევე იზიდავს უშბა, როგორც ადრე. ყველამ, ვისაც უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა სურს, ჯერ უშბაზე უნდა ჩააბაროს გამოცდა. გუჯაბიძეს, ხაბაზსა და სარქისოვს, უკვე რა ხანია, ასეთი გამოცდა ჩაბარებული აქვთ, ამასთან, არაერთხელ. თუმცა, ფორმის შესანარჩუნებლად, გავლილი გზის ხელახლა გავლაცაა საჭირო. მათგან განსხვავებით, მხოლოდ კომახიძე გახლდათ გამოუცდელი.

მაშინ, როდესაც ჯაფარიძის მარშრუტით მიმავალნი მიზანთან ახლოს იყვნენ, დაახლოებით, 4200-4500 მეტრ სიმაღლეზე, მერაბ ხაბაზს წრიაპმა უმტყუნა. ქართველი მთამსვლელი ყინულზე დაცურდა და კლდის შვერილს ფეხი მიარტყა. სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ხაბაზი და კომპანია იძულებული გახდნენ, განზრახვაზე ხელი აეღოთ. ეს ყველაფერი 21 იანვარს, საღამოს მოხდა. საგონებელში ჩავარდნილ ექსპედიციას ისღა დარჩენოდა, ძირს დაშვებულიყო. მთამსვლელთა გასაჭირი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ თბილისში მყოფ მათ კოლეგებს - ბენო ქაშაკაშვილს, გელა ოთარაშვილს, მამუკა გიორგაძეს, ზალიკო ქიქოძესა და შოთა კომახიძის მამას, თემურ კომახიძეს. სასაზღვრო ჯარების ვერტმფრენით გუშინ ისინი სვანეთში გადაფრინდნენ. თბილისიდან უშბის მისადგომებთან რომ მაშველები ერთი დღის დაგვიანებით ჩაფრინდნენ, ამასაც თავისი მიზეზი აქვს: ადგილი, სადაც ხაბაზი დაშავდა, რთული რელიეფური მონაკვეთია. ვერტმფრენისთვის იქ მიახლოებაც კი შეიძლება სავალალო ყოფილიყო. ამიტომ გუჯაბიძე, სარქისოვი და კომახიძე იძულებული გახდნენ, ხაბაზი შედარებით მოსახერხებელ ადგილამდე, დაახლოებით, 150 მეტრით ქვევით ჩაეყვანათ. ამას კი, ფაქტობრივად, მთელი დღე დასჭირდა. ამჟამად ექსპედიციის ოთხივე წევრი შინაა, გარდა მერაბ ხაბაზისა – მას ქალაქის პირველ საავადმყოფოში ექიმები მეთვალყურეობენ. ხაბაზს გუშინვე დავუკავშირდით.

“მცირე ტრავმა მაქვს. მარჯვენა ფეხის მყესი გამიწყდა. საგანგაშო არაფერია. ასეთი რამ მთაში ხშირად ხდება. ექიმები მივლიან. ეგაა და ეგ”, - გვითხრა მერაბ ხაბაზმა.

ჩოგბურთი

# უილიამსი VS უილიამსი

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). ნახევარფინალი.*

**ვაჟები**

*ანდრე აგასი (აშშ, 2) - უეინ ფერეირა (სარ) 6:2, 6:2, 6:3*

**ქალები**

*სერენა უილიამსი (აშშ, 1) - კიმ კლიისტერსი (ბელგია, 4) 4:6, 6:3, 7:5*

*ვინუს უილიამსი (აშშ, 2) - ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 5) 6:3, 6:3*

ანდრე აგასიმ ავსტრალიის ღია პირველობა სასეირნო არენად აქცია. ამერიკელმა დაიჯერა გამარჯვება. უფრო სწორად, ის, რომ, ყოველ მიზეზგარეშე, აუცილებლად უნდა მოიგოს და, ჯერჯერობით, არავინ ჩანს ისეთი, ვინც ამბიციურ ამერიკელს საწინააღმდეგოს დაუმტკიცებს. ამ აზრს სპეციალისტებიც იზიარებენ და ამერიკელის სერიოზულ კონკურენტს ვერ ხედავენ.

აგასი ფინალში გავიდა. აქ ტურნირის მეორე ნომერი გერმანელ რაინერ შუტლერს ან თანამემამულე ენდი როდიკს დაუპირისპირდება. სპეციალისტთა ვარაუდით, დღეს ვერც ერთი მათგანი აგასის რეალური კონკურენტი ვერ იქნება. ტურნირის უმთავრეს ფავორიტს უზარმაზარი გამოცდილება და დასვენების მეტი დრო აქვს. ის არ წაწყდომია 5-სეტიან, მომქანცველ ბრძოლებს. მაშინ, როცა, ვთქვათ, ენდი როდიკმა, მაროკოელი იუნეს ელ-აინაუის წინააღმდეგ, მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და მომქანცველი მეოთხედფინალი ჩაატარა. თუ როდიკი შუტლერს მაინც მოუგებს, ფინალისთვის უაღრესად გადაღლილი იქნება. 31-ე ნომრად განთესილ გერმანელ რაინერ შუტლერს კი ამერიკელის ძლევის იოტისოდენა შანსი რჩება.


სერენა უილიამსი


ვინუს უილიამსი

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა ქალთა თანრიგში. აქ ორივე ფინალისტი ცნობილია. მელბურნის მთავარ კორტზე ტურნირის მთავარ ჯილდოს დები უილიამსები გაითამაშებენ. უილიამსი უილიამსის წინააღმდეგ - კარგა ხანია, რაც ჩოგბურთის მოყვარულები ამ ფორმულას შეეგუენ. საკმარისია ითქვას, რომ შარშან უმცროსმა, სერენამ, "დიდი სლემის" სამი ტურნირი მოიგო და მეტოქედ უფროსი და - ვინუსი ჰყავდა.

მას შემდეგ წლევანდელი ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მეოთხე ტურნირია, სადაც ოჯახური ფინალი გაიმართება. ვერაფერს იზამ - უილიამსებმა დაამტკიცეს, რომ დღეს პროფესიულ ჩოგბურთში ბადალი არ ჰყავთ. ნახევარფინალებში უილიამსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ბელგიელებმა - ჟიუსტინ ენინმა და კიმ კლიისტერსმა სცადეს, მაგრამ მათი მცდელობა ამაო გამოდგა. თუმცა, კლიისტერსი ახლოს იყო იმასთან, რომ სერენა სამშობლოში გაესტუმრებინა.

ვინუსმა კი, ჩვეულებისამებრ, დაუბრკოლებლად მოიგო. ორივე ჩოგბურთელი მეტისმეტად ნერვიულობდა. ძნელი სათქმელია, გადაღლილობის ბრალი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ შეცდომების რიცხვმა დასაშვებ ნორმას გადააჭარბა. ამ მხრივ, მატჩის დებიუტში, განსაკუთრებით ამერიკელმა გამოიჩინა თავი. მან ორმაგი შეცდომების კასკადი მოაწყო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს შეცდომები აბსოლუტურად არ უშლიდა ხელს. ვინუსი თავის მოწოდებას აგებდა, თუმცა, სამაგიეროდ, იქვე იღებდა მეტოქის მოწოდებას და თამაშში ბალანსს ინარჩუნებდა. პირველ სეტში, 5:3-ზე, ვინუსმა, როგორც იქნა, თავისი მოწოდებაც მოიგო და პარტიაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი, დაახლოებით, იგივე სცენარით წარიმართა. ვინუსმა უპრობლემოდ მოიგო. თუმცა, აშკარად დაბალი ხარისხის თამაში აჩვენა. ენინმა კიდევ უფრო ცუდად ითამაშა, ამიტომაც ვერ შეძლო, ამერიკელისთვის რაიმე დაეპირისპირებინა.

მეორე ნახევარფინალი, პირველთან შედარებით, ბევრად უფრო საინტერესო გამოდგა. კლიისტერსმა პირველი სეტი იოლად მოიგო. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ თამაშის წინ სერენამ ფეხი ძალიან მაგრად შეიხვია და კორტზე ნორმალურად ვერ მოძრაობდა. მატჩის შეაგულში ექიმსაც კი მიმართა დახმარებისთვის. მან ამერიკელს ფეხი თავიდან გადაუხვია. ასეთ სიტუაციაში ექიმების ჩარევა გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მსაჯმა გადაწყვიტა, სერენასთვის გამონაკლისი დაეშვა - რაც უნდა იყოს, უმცროსი უილიამსი მსოფლიოს პირველი ჩოგანია. მეორე სეტი უკვე უილიამსმა მოიგო და გამარჯვებულის გამოსარკვევად მესამე სეტი გახდა საჭირო.

თავიდან, თითქოს, ანასტასია მისკინას პროგნოზი მართლდებოდა (მისკინამ კლიისტერსს უწინასწარმეტყველა ჩემპიონობა). ბელგიელი, მართლაც, ძალიან ახლო იყო გამარჯვებასთან. ის თავის მოწოდებაზე 5:1-ს იგებდა, მაგრამ ორივე ჩოგბურთელს რაღაც დაემართა. სერენას შემართება დაეტყო - ზედიზედ ექვსი გეიმი და მოიგო ფინალში გავიდა.

ახლა საქმე დებზეა და, ადვილი შესაძლებელია, ფინალის ბედი ოჯახურ სადილზე გადაწყდეს. დები ყველაფერს მშობლებს უჯერებენ. უილიამსების მამა ცდილობს, "დიდი სლემის" ტურნირები დებმა თანაბრად მოიგონ. შარშან ეს ტრადიცია დაირღვა - სერენამ "დიდი სლემის" სამი ტურნირი მოიგო... ვინ იცის, იქნებ წლეულს მამამ ვინუსს რევანშის საშუალება მისცეს?

ცურვა

# ტორპი დაკომპლექსდა

*მოცურავეთა მსოფლიო თასის ბოლოსწინა, სტოკჰოლმური ეტაპის დასკვნითმა დღემაც მსოფლიო რეკორდის გარეშე ჩაიარა. ერთადერთი სიურპრიზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისევ და ისევ ავსტრალიელმა ფენომენმა, იან ტორპმა შემოგვთავაზა. თუმცა, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.*

მათ, ვისაც მსოფლიო თასის გათამაშებაში აქამდე ხელი მოეცარათ და, შესაბამისად, ნაკლები ქულები დააგროვეს, იმედად ბერლინური ეტაპიღა შემორჩათ. შეჯიბრების განაწესით გათვალისწინებული ფულადი პრემიების დასაუფლებლად კი ქულათა მაქსიმუმით ზესამეულში მოხვედრაა საჭირო. ამ მხრივ სტოკჰოლმური ეტაპი იღბლიანი გამოდგა რუსი რომან სლუდნოვისთვის, რომელმაც 100 მეტრზე ბრასში, 57,97 წამში, ქულათა მაქსიმუმი - 1011 ქულა გამოიმუშავა. სლუდნოვს ქულით ჩამორჩება გერმანელი ტომას რუპრატი. გერმანელი, ალბათ, შეეცდება, შინ, ბერლინურ ეტაპზე გამოასწოროს მდგომარეობა. იმავე ჩათვლაში 1002 ქულით მესამე პოზიცია უკავია ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბანდს.

რაც შეეხება ქალ მოცურავეთა პირველ სამეულს, მდგომარეობა ბოლომდე არც აქ გარკვეულა. ჯერჯერობით, ლიდერობს შვედი ემა იგელსტრიომი, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი (1013) დეკემბერში, მელბურნის მეოთხე ეტაპზე, 200 მეტრზე ბრასში გამოიმუშავა. შინ, 50 მეტრზე ბატერფლაის 25,42 წამში მოგებით თანამემამულესთან წამოწევის საშუალება მიეცა ანა-კარინ კამერლინგს. იგი იგელსტრიომს ორი ქულით ჩამორჩება. სტოკჰოლმური ეტაპი წარმატებული გამოდგა სლოვაკი მარტინა მორავცოვასთვისაც. ასაპრეზობის წინა დღეს, 100 მეტრზე ბატერფლაის 57,04 წამით მოგებით და, შესაბამისად, 1007 ქულით, მორავცოვამ მესამე საფეხურზე გადაინაცვლა.

მედლების რაოდენობის მხრივ ცხრილში დაწინაურდნენ შვედებიც. ეს, ძირითადად, განაპირობა ემა იგელსტრიომის სამმა გამარჯვებამ. სხვათა შორის, იგელსტრიომი ერთადერთია, რომელმაც მეექვსე ეტაპზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, თანაც, სამივე ბრასით - 50, 100 და 200 მეტრზე ასპარეზობისას.


ემა იგელსტრიომი

შვედთა დაწინაურებაში საკუთარი წვლილი შეიტანა ტერეზა ალასამარმაც, რომელმაც წინა დღით თავისუფალში მოგებულ 50 მეტრს დასკვნით დღეს 100 მეტრზე გამარჯვებაც დაურთო. რაც შეეხება კამერლინგს, მან ერთადერთი ფინალი - 50 მეტრზე ბატერფლაიში მოიგო. სულ მსოფლიო თასის მასპინძლებმა 7 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

წინა დღის ფავორიტებმა, ბრიტანელებმა კი, 5-5 ოქრო-ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით, მეორე ადგილი დაიკავეს. საგულისხმოა, რომ ბოლო დღეს ბრიტანელებმა ოთხი ფინალი დათმეს - ორი მასპინძლებთან, თითო კი - რუსებთან და ავსტრალიელებთან.

ერთადერთი საინტერესო ამბავი, რომელიც სტოკჰოლმის წყალში მოხდა, იან ტორპის სახელს უკავშირდება. შეჯიბრების მეორე დღეს ავსტრალიელმა, ყველასთვის მოულოდნელად, მისთვის უჩვეულო 200 მეტრზე კომპლექსურ დისციპლინაში პაექრობა ისურვა. შედეგი სურვილზე უკეთესი აღმოჩნდა – ტორპმა, წუთსა და 56,00 წამში, ბრიტანელი ჯეიმს ჰიკმანი დაამარცხა.

“ვიდრე თავისუფალი სტილით ცურვას დავიწყებდი, კომპლექსურებს ვცურავდი. საერთოდ კი, გამოსვლა მიყვარს ყველა იმ დისციპლინაში, რომელსაც ჩემი გამოწვევა შეუძლია,” - განაცხადა ტორპმა.

ჭადრაკი

# ვიშვანათან ანანდი: "კრამნიკმა ხანდახან მაინც უნდა ითამაშოს"

*ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო სუპერტურნირზე გადამწყვეტი მოვლენების დრო დადგა. მე-10 ტურში ტურნირის მონაწილეებს, შეიძლება ითქვას, მთავარი პარტიების გათამაშება მოუწევთ. საყოველთაო ყურადღების ცენტრში, ცხადია, FIDE-ს ვერსიით მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ვიშვანათან ანანდია. თუ ინდოელი ალექსეი შიროვს დაამარცხებს, 7 ქულას მოაგროვებს და მეტოქეთათვის პრაქტიკულად მიუწვდომელი გახდება, ანუ პირველ ადგილს გაინაღდებს.*

ჰოლანდიური ტურნირის დაწყებამდე სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ანანდს მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი და FIDE-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი შეეცილებოდნენ. მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. რუსი ძლივძლივობით ინარჩუნებს ადგილს უძლიერესთა შორის, ხოლო უკრაინელი საერთოდ აუტსაიდერთა მარაქაში - ბოლოსწინა ადგილზეა.

"ვლადიმირ კრამნიკისა და მისი კომპიუტერთან დაპირისპირების მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ ჭადრაკის თამაში ხანდახან მაინც საჭიროა. პრაქტიკის ასეთი სერიოზული უკმარისობით ვეიკ-ან-ზეეს დონის ტურნირზე სერიოზულ შედეგზე საუბარიც ზედმეტია. პონომარიოვი კი... ის ახალგაზრდაა და კასპაროვთან მატჩის ირგვლივ ამტყდარმა აჟიოტაჟმა, უბრალოდ, სიტუაციაზე კონტროლი დააკარგვინა. ვეიკ-ან-ზეეს ტურნირისთვის ის მზად არ აღმოჩნდა", - ასეთი კომენტარი გაუკეთა ტურნირის ფავორიტთა ჩავარდნას FIDE-ს ვერსიით 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ალექსანდრ ჰალიფმანმა.

ანანდს მსგავსი პრობლემები არ შექმნია. ცხრა ტურის განმავლობაში ინდოელი მოჭადრაკე ერთხელაც არ დამარცხებულა. ამასთან, მან მოუგო პონომარიოვს, ტოპალოვს და კარპოვს. 6 ქულით ანანდი ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მისი უმთავრესი კონკურენტები, ჰოლანდიელი ვუნდერკინდი ლუკ ვან ველი და უნგრელი იუდით პოლგარი კი სენსაციის ობიექტებად იქცნენ. თუმცა, ამ ორი მოჭადრაკის საბოლოო წარმატების თითქმის არავის სჯერა.

" სიმართლე რომ ითქვას, პოლგარი და ვან ველი, ანანდის კონკურენტები არ არიან. ისინი უფრო თავიანთი პოზიციების შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ", - ამბობს ჰალიფმანი. "ჭადრაკის ქალბატონი", უკრაინელი ვასილი ივანჩუკის არ იყოს (ივანჩუკმა ცხრავე შეხვედრა ყაიმით დაასრულა), უაღრესად მშვიდობის მოყვარე გახდა. სწორედ ამიტომ გაასწრო მას ვიშვანათან ანანდმა, თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ ნახევარი ქულით. ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი კი, მე-9 ტურში, ანატოლი კარპოვმა ციდან დედამიწაზე ლამაზად ჩამოიყვანა.

